



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

დანართი №1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს ქართულ - ამერიკული საექტონო საზოგადოებრივი
კოლეჯის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები


თავმჯდომარე: ნინო ხაჩიძე


წევრები:

ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილი

ხათუნა მაისაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:




1

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯი“
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო კოდი: 405144785




სახე:

- ☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- ☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- ☒ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

- ☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა
- ☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება
- ☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება




☒ გეგმიური

☐ არაგეგმიური

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	შესაბამისი საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
საექთნო საქმე	105	66	4

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:


IV. საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 29 მარტის N325345 ბრძანებით, რომელშიც ცვლილება შევიდა დირექტორის 2022 წლის 5 აპრილის N350288 ბრძანებით, შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა შპს ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის მიერ ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის "ა", "გ", "დ", "ე" ქვეპუნქტებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო საქმე“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის შემოწმება (გეგმიური მონიტორინგი).

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა შპს ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის მიერ წარმოდგენილი სრული დოკუმენტაცია და შეიმუშავა დღის წესრიგი, რომელიც სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შეთანხმებულ იქნა დაწესებულების ადმინისტრაციასთან. მიმდინარე წლის 13, 14 და 15 აპრილს განხორციელდა დაწესებულებაში ვიზიტი.

დღის წესრიგის შესაბამისად განხორციელდა დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრება; სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხილვა, გეგმების მონიტორინგისა და შეფასების შესწავლა და პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება; სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების, ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტის შეფასება და პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება; დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვასა და შემუშავებასთან დაკავშირებული არსებული პრაქტიკის შემოწმება და შესაბამის პირებთან გასაუბრება; საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პრაქტიკის ინსტრუქტორებთან გასაუბრება; სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტის შესაბამისად, პროცესების შეფასება და გასაუბრება პასუხისმგებელ პირებთან; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეფასება და პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება; სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის არსებული პრაქტიკის შემოწმება; ვერიფიკაციის შედეგების შესწავლა და პასუხისმგებელ პირთან გასაუბრება. ყოველდღიური შეხვედრების ფარგლებში, ეტაპობრივად ხორციელდებოდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:


4



მიგნებების გაცნობა დაწესებულების წარმომადგენლებთან. ვიზიტის ბოლოს, შეჯამებული სახით, კიდევ ერთხელ მიეწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს ძირითადი მიგნებები.

V. ავტორიზაციის 1-ელ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
1) კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება		არ შეესაბამება
1.1) პსდ-ს მისია	-	არ შეესაბამება
1.2) პსდ-ს სტრატეგიული განვითარება	-	არ შეესაბამება
3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები		არ შეესაბამება
3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა	-	არ შეესაბამება
3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები	-	შეესაბამება
4) ადამიანური რესურსები		არ შეესაბამება
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა	-	არ შეესაბამება
4.2) პერსონალის განვითარება	-	შეესაბამება
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები		არ შეესაბამება
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	-	არ შეესაბამება
5.2) საინფორმაციო რესურსები	-	არ შეესაბამება
5.3) ფინანსური რესურსები	-	შეესაბამება

შენიშვნა: ავტორიზაციის 1-ელი, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტები ფასდება როგორც „არ შეესაბამება“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VI. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ვიზიტის ფარგლებში საუკეთესო გამოცდილების მაგალითები არ დაფიქსირებულა.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

დაწესებულებაში ექსპერტთა ჯგუფის ბოლო ვიზიტი განხორციელდა 2019 წელს, ანუ იმ დროს, როდესაც ჯერ კიდევ ძალაში არ იყო შესული დღეს მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტები.

წინა ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაფიქსირდა ორი ხარვეზი. კერძოდ:

- „კოლეჯის ვებგვერდის (<http://www.ganc.ge/>) შესწავლით გამოიკვეთა რომ არ ხდება მისი განახლება რეგულარულად, კერძოდ, 2018 წლის დეკემბრის შემდეგ ვებგვერდზე სიახლე არ განთავსებულა.“
- „კოლეჯის პერსონალის კვალიფიკაცია არ შეესაბამება დაწესებულისავე რეგულაციით დადგენილ მოთხოვნებს და დაკავებულ თანამდებობებს.“

ვიზიტის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ 2019 წელს ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაფიქსირებული ხარვეზები, დღეს მოქმედ ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებით კვლავაც ფიქსირდება.


წინა ვიზიტის ფარგლებში, დაწესებულების მისამართით ასევე გაიცა რამდენიმე რეკომენდაცია. კერძოდ, გაიცა შემდეგი რეკომენდაციები:

- დაწესებულებამ, მოდულების „ქართული ენა A2“ და „ქართული ენა B1“, ზოგადი ინფორმაციის ნაწილი შესაბამისობაში მოიყვანოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 2 ნოემბრის N695-ე ბრძანებასთან. - *ექსპერტთა ჯგუფის მიერ, აღნიშნული რეკომენდაციის შეფასება შეუძლებელია, რადგან პროგრამა არ მოიცავს ქართული ენის მოდულებს.*
- სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგში მიეთითოს, რომ კურსდამთავრებულთათვის კვალიფიკაციის მისანიჭებლად, პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს საექთნო საქმის საგანმანათლებლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:


6




პროგრამით განსაზღვრული 180 კრედიტი და ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა. - *მსგავსი ჩანაწერი კატალოგში გაწერილია.*

- კოლეჯის მიერ „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესისა და საფასურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N98/ნ ბრძანების მე-6 მუხლის საფუძველზე, „შპს ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის მსურველი პროფესიული სტუდენტის განათლების აღიარების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, ან გაუქმების და საგანმანათლებლო განხორციელების წესში“, უნდა იქნეს გაწერილი, რომ უცხოეთში მიღებული განათლების შემთხვევაში, აპლიკანტმა უცხოეთში მიღებული განათლების დამადასტურებელ დოკუმენტთან (ატესტატი) ერთად, კოლეჯში, სტუდენტის სტატუსის მინიჭებამდე, უნდა წარმოადგინოს პროფესიული სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მერ გაცემული უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტი. - *ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი რეგულაციები არ მოიცავენ მსგავს ჩანაწერს.*
- სასურველია, დაწესებულებამ აამოქმედოს შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების მექანიზმები და შედეგები გამოიყენოს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად. - *დაწესებულების მიერ წარმოდგენილია შევსებული გამოკითხვის ფორმები.*
- სასურველია, დაწესებულებამ, შემოსული და გასული კორესპონდენციის აღრიცხვა, მათ შორის ელექტრონული წერილების, განხორციელოს სრულყოფილად. - *ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, საქმისწარმოების მიმართულებით ფიქსირდება ხარვეზი.*
- სასურველია, კოლეჯის მიერ შემუშავებულ „პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევის წესში“ განხორციელდეს ცვლილება, კერძოდ, ამოღებულ იქნას წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტიდან ჩანაწერი „პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონით“, რადგან, პროფესიული განათლების მასწავლებლისადმი ეს მოთხოვნები, ამჟამად მოქმედ საქართველოს კანონში „პროფესიული განათლების შესახებ“, აღარ ფიქსირდება. - *შესაბამისი ცვლილების განხორციელების მიზნით, გამოცემულია დირექტორის ბრძანება.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





VIII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

1.1.1 პსდ-ს გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში.

3. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებას, შემუშავებული არ ჰქონდა ხედვა და ღირებულებების დოკუმენტი და ის არც რომელიმე სხვა დოკუმენტის შემადგენელი ნაწილი არ იყო.

შესაბამისად, სტანდარტი ფასდება როგორც „არ შეესაბამება“.


4. ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების მენეჯერთან გასაუბრებით დგინდება, რომ მისიის გაზიარების მიზნით, კოლეჯის წარმომადგენლებს სამიზნე ჯგუფებთან შეხვედრები არ ჩაუტარებია. შესაბამისად, არც დირექტორისთვის მომხდარა შესაბამისი ანგარიშის წარდგენა. სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნებიდან გამომდინარე, მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებული არ არის დაინტერესებული მხარეების მიერ და ვიზიტის პერიოდში არც საჯაროდ იყო ხელმისაწვდომი, რადგან ვებგვერდზე www.ganc.ge განთავსებული იყო მხოლოდ კოლეჯის მისია. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ხედვა და ღირებულების დოკუმენტი შემუშავებული არ აქვთ. შესაბამისად, მისი გაზიარება ვერ მოხდებოდა.


ამ პირობებში, სტანდარტი ფასდება როგორც „არ შეესაბამება“.


1.2.1 პსდ-ში დანერგილია დაგეგმვის პრაქტიკა.

2. შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ დირექტორის 2021 წლის 24 ნოემბრის N02-57 ბრძანებით დამტკიცებულია შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია, რომლითაც ირკვევა, რომ სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია, თუმცა 2021 წელს დამტკიცებული მეთოდოლოგიის შესაბამისად, დაწესებულებას სტრატეგიული (შვიდწლიანი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:







გეგმა არ შემუშავებია და არც არსებულ გრძელვადიან (შვიდწლიან) სამოქმედო გეგმაში შეუტანია ცვლილება. სტანდარტის მოთხოვნების და მეთოდოლოგიის საფუძველზე, ასევე შეფასდა 2022 წლის სამოქმედო გეგმა. დაწესებულებას მოეთხოვა თანამონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა, თუმცა ვიზიტის განმავლობაში მათი წარმოდგენა ვერ შეძლო. კოლეჯის დირექტორის განმარტებით, მსგავსი მტკიცებულებები არ აქვთ, თუმცა ამბობს, რომ სხვადასხვა მხარის ჩართულობით შეხვედრები ხორციელდებოდა.




ამ პირობებში, სტანდარტი ფასდება როგორც „არ შეესაბამება“.

3. ავტორიზაციის სტანდარტით განსაზღვრულია, რომ სტრატეგიული განვითარების გეგმით გაწერილი უნდა იყოს შესრულების ინდიკატორები, რომელსაც არ მოიცავს დაწესებულების მიერ შემუშავებული 7-წლიანი სამოქმედო გეგმა. დაწესებულების მიერ შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიით ირკვევა, რომ კოლეჯის ხედვასთან მიახლოებისთვის (ხედვის დოკუმენტი დაწესებულებას შემუშავებული არ აქვს), მნიშვნელოვანია სტრატეგიული მიზანი იყოს კონკრეტული, მიღწევადი, რელევანტური და დროში გაწერილი. ამასთან გაწერილი იყოს მიზნის მიღწევის ინდიკატორები, ამოცანები, შესრულების ინდიკატორები და აქტივობები. აღნიშნული მეთოდოლოგიის შესაბამისად, დაწესებულების მიერ არ მომხდარა გრძელვადიან სამოქმედო გეგმაში ცვლილების შეტანა, რაც მიზანშეწონილი იყო ავტორიზაციის სტანდარტების და შიდა მარეგულირებელი დოკუმენტის მოთხოვნებიდან გამომდინარე.

შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ განვითარების ერთწლიანი (2022 წ.) სამოქმედო გეგმა ავტორიზაციის სტანდარტების სრული დაცვით არ არის შემუშავებული, რადგან ის არ მოიცავს განსაზღვრულ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

ამ პირობებში სტანდარტი ფასდება როგორც „არ შეესაბამება“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.2.2 პსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

3. შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიით იკვეთება, რომ საჯაროობისთვის სამოქმედო და სტრატეგიული გეგმის შედეგები უნდა განთავსდეს დაწესებულების ვებ-გვერდზე. დაწესებულებას ვებგვერდზე განთავსებული არ აქვს სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები. შესაბამისად, ის საჯაროდ ხელმისაწვდომი არ არის.


ამ პირობებში სტანდარტი ფასდება როგორც „არ შეესაბამება“.


3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია.

1. დაწესებულების შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილი არ არის კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიები. კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანების 28-ე მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე, საგანმანათლებლო დაწესებულებები ვალდებული იყვნენ 2021 წელს, რეგისტრაციის დაწყებამდე უზრუნველყოთ შიდა მარეგულირებელი წესის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები“-თან შესაბამისობა, რაც დაწესებულებამ არ განახორციელა. ამასთან, პროფესიულ სტუდენტთა პირადი საქმეების შეფასებისას გამოიკვეთა, რომ არცერთი აპლიკანტის განცხადება გატარებული არ არის სარეგისტრაციო ჟურნალში. ასევე, პროფესიული სტუდენტის პირადი საქმე შიდა მარეგულირებელი დოკუმენტის შესაბამისად არ არის წარმოებული. გასათვალისწინებელია, რომ ამ ეტაპზე მოქმედია ერთი და იმავე საკითხების დამარეგულირებელი ორი დოკუმენტი, რომლებიც წინააღმდეგობაში მოდის ერთმანეთთან, გამომდინარე იქიდან, რომ განსხვავებულად არის დარეგულირებული შეფასების, მობილობის საკითხები და სხვა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სტანდარტი ფასდება როგორც „არ შეესაბამება“ (დეტალური ინფორმაციისთვის იხ. 3.1.1.1 - აღწერილობითი ნაწილი).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:








3. შინაგანაწესით განსაზღვრულია, რომ პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვისას კოლეჯის მიერ პროფესიულ სტუდენტთან, ხოლო არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში მის კანონიერ წარმომადგენელთან იდება ხელშეკრულება. პროფესიული სტუდენტი ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ გაეცნო/ინფორმირებულია კოლეჯში პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესს და თანახმაა საჭიროებისამებრ/სასწავლო მიზნებისთვის, კოლეჯის მიერ დამუშავდეს მისი პერსონალური მონაცემები/ინფორმაცია. არსებული ხელშეკრულებები პერსონალურ მონაცემთა დამუშავების შესახებ ინფორმაციას არ მოიცავენ. ასევე, გაფორმებული ხელშეკრულებები არ მოიცავენ არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკას.

2020 და 2021 წლებში გაფორმებული ხელშეკრულებებით გაწერილია, რომ „პროფესიული სტუდენტი გაივლის პროფესიული საგანმანათლებლო ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პრაქტიკოსი ექთნის (მოდულურ) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას“, როდესაც აპლიკანტები დირექტორის 2020 წლის 30 სექტემბრის N01-05, 2020 წლის 16 ოქტომბრის N01-09 და 2021 წლის 9 ოქტომბრის N01-11 ბრძანებებით ჩაირიცხნენ საექთნო საქმის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე. შესაბამისად, ეს დოკუმენტები წინააღმდეგობაში მოდის ერთმანეთთან. ამასთან, 2021 წელს საექთნო საქმის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტები ჩაირიცხნენ სახელმწიფოს სრული დაფინანსებით, როდესაც ხელშეკრულებაში „ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ანაზღაურების წესი“ არის გაწერილი. შესაბამისად, გაწერილია სწავლის საფასურის გადახდის გრაფიკი.

ამ პირობებში სტანდარტი ფასდება როგორც „არ შეესაბამება“.

5. სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნიდან გამომდინარე, პროფესიული სტუდენტი/კანონიერი წარმომადგენელი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური გეგმის შემუშავების პროცესში. შესაბამისად, მიზანშეწონილია რეგულაციაში შევიდეს ცვლილება და გამოიკვეთოს ინდ. გეგმის შემუშავებაში მათი ჩართულობა. არსებული პრაქტიკით, ამ პროცესში პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობა არ იკვეთება. ამასთან, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სტუდენტებმა 2 კვირაში გაიარეს 95 საათი, როდესაც პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს 40 სთ-ს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მარეგულირებელი დოკუმენტით ასევე განსაზღვრულია, რომ გარე მობილობის მსურველმა პირმა განცხადებასთან ერთად უნდა წარადგინოს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების (მოდულების/შედეგების) დადასტურების დოკუმენტი. მობილობის მსურველი ერთი პირის განცხადება ჩარიცხვის ბრძანებას აქვს აკრული, ხოლო განცხადებაში მითითებული არ არის თანდართული დოკუმენტების შესახებ ინფორმაცია. ასევე, მისთვის შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა დაწესებულებას არ წარმოუდგენია.

ამ პირობებში სტანდარტი ფასდება როგორც „არ შეესაბამება“ (დეტალური ინფორმაციისთვის იხ. 3.1.1.5 - აღწერილობითი ნაწილი).


4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას.


2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ნაწილობრივ ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას. უსაფრთხოების მენეჯერსა და ექიმის/ექთნის პოზიციაზე დასაქმებულ პირს პირად საქმეში უდევს 2017 წელს 1 წლის ვადით გაფორმებული ხელშეკრულება. ვიზიტის ფარგლებში მათთან გასაუბრება ვერ მოხერხდა. დაწესებულებამ ამ პირებთან მიმართებით, 2017 წელს 1 წლის ვადით გაფორმებული ხელშეკრულებები წარმოადგინა.

ამ პირობებში სტანდარტი ფასდება როგორც „არ შეესაბამება“.

3. გამომდინარე იქიდან, რომ კოლეჯში ხარისხზე პასუხისმგებელი პირი პასუხისმგებელია შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებაზე, მიზანშეწონილია ხარისხზე პასუხისმგებელი პირი არ იყოს ჩართული პროგრამის შემუშავებისა და ცვლილების განხორციელების პროცესში. ამასთან, სხვა თანამდებობის პირებთან მიმართებაშიც მიზანშეწონილია გამოირიცხოს ინტერესთა კონფლიქტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





ამ პირობებში სტანდარტი ფასდება როგორც „არ შეესაბამება“ (დეტალური ინფორმაციისთვის იხ. 4.1.1.3 - აღწერილობითი ნაწილი).

4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას.




3. შიდა მარეგულირებელი დოკუმენტით გაწერილი არ არის დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს პარტნიორთა კრება. ასევე, მიზანშეწონილია შიდა მარეგულირებელ დოკუმენტში შევიდეს ცვლილება და შესაბამისობაში მოვიდეს კანონთან. ამასთან, საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან დასაქმებულ პირთა შესაბამისობის შეფასებისას გამოიკვეთა, რომ რიგ შემთხვევაში პირად საქმეში დაცული არ არის (4 პირის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მოთხოვნებით დადგენილი სამუშაო გამოცდილების ამსახველი დოკუმენტები. დაწესებულების განმარტებით, აღნიშნული წარმოადგენს ტექნიკურ ხარვეზს.

ამ პირობებში სტანდარტი ფასდება როგორც „არ შეესაბამება“ (დეტალური ინფორმაციისთვის იხ. 4.1.2.3 - აღწერილობითი ნაწილი).

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

5. კოლეჯის დირექტორის 2017 წლის 20 იანვრის N02-01 ბრძანებით დამტკიცებული კოლეჯის დებულებით სტრუქტურულ ერთეულად განსაზღვრულია უსაფრთხოების საკითხთა და სამედიცინო სამსახური, რომელსაც უსაფრთხოების მენეჯერი და ექიმი/ექთანი წარმოადგენენ. კოლეჯში ვიზიტის პერიოდში უსაფრთხოების მენეჯერთან და ექიმთან გასაუბრება ვერ მოხერხდა. მათი პირადი საქმეებით დადგინდა, რომ მათთან შრომითი ხელშეკრულებები 2017 წელს, ერთი წლის ვადით არის დადებული. ამასთან სხვა მოქმედი ხელშეკრულებები დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა. ასევე, წარმოდგენილი არ არის შესაბამისი კომპეტენციის მქონე შრომის უსაფრთხოების აკრედიტირებულ სპეციალისტთან თანამშრომლობის შესახებ მტკიცებულება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ამ პირობებში სტანდარტი ფასდება როგორც „არ შეესაბამება“.

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება.

2. შიდა მარეგულირებელი დოკუმენტით, პირველად სამედიცინო დახმარების აღმოჩენაზე პასუხისმგებელია ექთანი/ექიმი, ხოლო ექთნის პირადი საქმის შესწავლით დადგინდა, რომ მასთან შრომითი ხელშეკრულება 2017 წელს, ერთი წლის ვადით არის დადებული. ამასთან სხვა დოკუმენტები/მოქმედი ხელშეკრულება დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა.

ამ პირობებში, სტანდარტი ფასდება როგორც „არ შეესაბამება“.

3. კოლეჯის დირექტორის 2017 წლის 03 აპრილის №02-15 ბრძანებით დამტკიცებულია „საგანგებო სიტუაციების მართვის ღონისძიებების გეგმა“, თუმცა დაწესებულებას აღნიშნული დოკუმენტი ჯერ არ აქვს შეთანხმებული შესაბამის სამსახურთან (წარმოდგენილია გაგზავნილი კორესპონდენცია შეთანხმებაზე). უსაფრთხოების მენეჯერის პოზიციაზე დასაქმებული პირის პირადი საქმის შესწავლისას, წარმოდგენილი იყო 2017 წელს დადებული ხელშეკრულება ერთი წლის მოქმედების ვადით. უსაფრთხოების მენეჯერის პოზიციაზე დასაქმებულთან ვიზიტის დროს ვერ მოხერხდა გასაუბრება. ამასთან, დირექტორის 2022 წლის 10 იანვრის 02-61 ბრძანებით დამტკიცებულია საგანგებო სიტუაციების, სახანძრო-სამაშველო ჯგუფის შემადგენლობა, რომლის შტაბის უფროსად განსაზღვრულია უსაფრთხოების მენეჯერი, როდესაც დაწესებულებას შრომის უსაფრთხოების აკრედიტირებული სპეციალისტი არ ჰყავს.


ამ პირობებში სტანდარტი ფასდება როგორც „არ შეესაბამება“.

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

3. დაწესებულებას დირექტორის 2020 წლის 17 ივლისის N 02-46 ბრძანებით შეტანილი აქვს ცვლილება კოლეჯის საქმისწარმოების ერთიან წესში, რომლითაც განისაზღვრა პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხები, თუმცა დაწესებულებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

14



კანონმდებლობით დადგენილი წესით მოპოვებული არ აქვს თანხმობები პროფესიული სტუდენტებისგან და თანამშრომლებისგან, პერსონალურ მონაცემთა გამოყენების/დამუშავების შესახებ. ამასთან, პერსონალის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზე.

ამ პირობებში სტანდარტი ფასდება როგორც „არ შეესაბამება“.

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

1. ვიზიტის პერიოდში ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა სხვადასხვა დოკუმენტაცია, რა დროსაც გამოიკვეთა რიგი შეუსაბამობა, კოლეჯში მოქმედ საქმისწარმოების ერთიან წესთან მიმართებით.


ამ პირობებში, სტანდარტი ფასდება როგორც „არ შეესაბამება“ (დეტალური ინფორმაციისთვის იხ. 5.2.2.1. - აღწერილობითი ნაწილი).

3. ვიზიტის ფარგლებში, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში შერჩევითად შეფასდა პროფესიულ სტუდენტებთან დაკავშირებული მონაცემების კანონმდებლობის შესაბამისად ასახვა და გამოიკვეთა შემდეგი:

- ერთ-ერთ პროფესიულ სტუდენტს დირექტორის 2022 წლის 10 იანვრის N01-16 ბრძანებით შეჩერებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსი, როდესაც განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში აღნიშნულ პროფესიულ სტუდენტს დირექტორის 2022 წლის 10 იანვრის N01-15 ბრძანებით შეწყვეტილი აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსი.
- დირექტორის 2021 წლის 2 ნოემბრის N01-13/1 ბრძანებით პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია მიენიჭა 8 პროფესიულ სტუდენტს. ბრძანების გამოცემის თარიღში გაპარულია ტექნიკური ხარვეზი და მითითებულია „2.11.20212“. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მეშვეობით შეფასდა პროფესიულ სტუდენტებთან დაკავშირებული მონაცემების კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანა და გამოიკვეთა, რომ კურსდამთავრებულთა სტატუსის ამოქმედების თარიღია 2021 წლის პირველი ნოემბერი, ხოლო ბრძანების ნომერია 01-30. ამასთან, ერთ-ერთი პროფესიული სტუდენტის გვარში შეცდომაა. ერთი ასო ბრძანებაში არასწორადაა შეტანილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

15



ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით პსდ ვერ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას, რის საფუძველზეც სტანდარტი ფასდება როგორც „არ შეესაბამება“.

4. შერჩევითი პრინციპით, მიღებული და გაგზავნილი კორესპონდენციის, გაგზავნილი ანგარიშების შემოწმების საფუძველზე იკვეთება, რომ პსდ დროულად არ აწვდის უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, სტანდარტი ფასდება როგორც „არ შეესაბამება“ (დეტალური ინფორმაციისთვის იხ. 5.2.2.4. - აღწერილობითი ნაწილი).


5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას.

1. ვებგვერდის შესწავლით იკვეთება, რომ არ ხდება მისი რეგულარულად და გონივრულ ვადებში განახლება. ვიზიტის პერიოდში, ბოლო სიახლე თარიღდება 2021 წლის 04 სექტემბრით. ასევე, ვებგვერდზე არ განახლებულა საექთნო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, მასში შესული ცვლილებების შესაბამისად, რადგან მასზე განთავსებულია 2019 წელს დამტკიცებული პროგრამა, ასევე, 2019 წლის სამოქმედო გეგმა და სხვა. დაწესებულების ვებგვერდის შესწავლით ასევე იკვეთება, რომ მასზე განთავსებული არ არის სასწავლო პროცესთან დაკავშირებული რეგულაციები, დაწესებულების წლიური ანგარიშები და სხვა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სტანდარტი ფასდება როგორც „არ შეესაბამება“ (დეტალური ინფორმაციისთვის იხ. 5.2.3.1. - აღწერილობითი ნაწილი).

3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად, პსდ-მ უნდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

16


უზრუნველყოს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელება. ვიზიტის პერიოდში შეფასდა ვებგვერდი და გამოიკვეთა, რომ მასზე განთავსებული არ არის განახლებული მარეგულირებელი დოკუმენტები. ასევე, დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილი არ არის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელება. ამასთან, იკვეთება, რომ არ ხდება ვებგვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირისთვის, კონკრეტულ აქტივობაზე პასუხისმგებელი პირის მიერ ინფორმაციის გონივრულ ვადებში მიწოდება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სტანდარტი ფასდება როგორც „არ შეესაბამება“ (დეტალური ინფორმაციისთვის იხ. 5.2.3.3. - აღწერილობითი ნაწილი).



4-5. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი არ ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ. ასევე, კატალოგი არ ახლდება ყოველწლიურად, პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სტანდარტი ფასდება როგორც „არ შეესაბამება“ (დეტალური ინფორმაციისთვის იხ. 5.2.3.4-5. - აღწერილობითი ნაწილი).

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსი, სრულად არ უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. მოდულის განმახორციელებელი ინტერვიუებისას აღნიშნავს, რომ მოდულში მითითებული სასწავლო რესურსი სწავლის შედეგებზე გამყვანი არ არის, თუმცა იყენებს დამატებით სასწავლო რესურსს. მიზანშეწონილია პროგრამით გათვალისწინებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:


17


საგანმანათლებლო რესურსი, სრულად უზრუნველყოფდეს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას და აღნიშნული ასახული იყოს მოდულში.

ამ პირობებში, სტანდარტი ფასდება როგორც „არ შეესაბამება“.

8. საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი წარმოდგენილია პროგრამის ძირითადი დოკუმენტი, მოდულები და სასწავლო გეგმა, თუმცა მოდულების ბლოკში, გათვალისწინებული არ არის ქართული ენის მოდულები (A2 და B1), რომელთა მიზანია არაქართულენოვანი სტუდენტები მოამზადოს ქართულ ენაზე პროგრამის გასავლელად. შესაბამისად, პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა სრულად არ შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სტანდარტი ფასდება როგორც „არ შეესაბამება“.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა სრულად უზრუნველყოფილი არ არის დაწესებულების/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, ამიტომ მიზანშეწონილია საექთნო საქმის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვროს 63 პროფესიული სტუდენტით. ასევე, საექთნო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არ ხორციელდება მოდულის განხორციელების მიდგომების შესაბამისად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სტანდარტი ფასდება როგორც „არ შეესაბამება“ (დეტალური ინფორმაციისთვის იხ.


2.2.1.1. - აღწერილობითი ნაწილი).

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვა აღემატება 40 საათს. ასევე ზოგადი და პროფესიული მოდულების განმახორციელებელია ადმინისტრაციულ პოზიციაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

18



დასაქმებული პირებიც (დირექტორი, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების მენეჯერი), რომლებსაც ხელშეკრულებით განსაზღვრული არ აქვთ, მაქსიმუმ რამდენი საათის ჩატარების უფლება აქვთ.


ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სტანდარტი ფასდება როგორც „არ შეესაბამება“.


2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის შემუშავებული აქვს სასწავლო გეგმა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის. გეგმა გაწერილია 3 აკადემიურ წელზე და მოიცავს 129 სასწავლო კვირას (180 კრედიტი), თუმცა პროგრამა არ მოიცავს არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის სასწავლო გეგმას ქართული ენის მოდულებისთვის. პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულებით განსაზღვრულია, რომ მოდულების განხორციელების დაგეგმვისას დაცული უნდა იყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობები, დროის შუალედი განმეორებითი შეფასებისთვის და პროფესიული სტუდენტისთვის კვირეული დატვირთვა უნდა შეადგენდეს არაუმეტეს 40 სთ-ს კვირაში. ასევე, დაუდასტურებელი მოდული/შედეგი, რომელიც არის სხვა მოდულზე/შედეგზე დაშვების წინაპირობა, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს შესაბამისი მოდული/შედეგი დაადასტუროს იმ მოდულის/შედეგის დაწყებამდე, რომლის წინაპირობაც არის დაუდასტურებელი მოდული/შედეგი. ასევე განმეორებითი შეფასებისთვის გათვალისწინებულია 10 სამუშაო დღის ვადა. სასწავლო გეგმის შეფასებისას გამოიკვეთა, რომ პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს, თუმცა რიგ შემთხვევებში, წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის დროის შუალედი გათვალისწინებული არაა.

ამ პირობებში სტანდარტი ფასდება როგორც „არ შეესაბამება“ (დეტალური ინფორმაციისთვის იხ. 2.4.1.1. - აღწერილობითი ნაწილი).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას.

1. შეფასების სისტემასთან დაკავშირებული შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების შეფასებისას გამოიკვეთა რიგი შეუსაბამობა. ასევე, მიზანშეწონილია პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულება გადაიხედოს, რადგან მასში გაწერილი წესები და ვადები სრულად გამომდინარეობდეს ერთმანეთისგან და ასევე, მასში გათვალისწინებული იყოს კანონმდებლობის მოთხოვნები.

ამ პირობებში სტანდარტი ფასდება როგორც „არ შეესაბამება“ (დეტალური ინფორმაციისთვის იხ. 2.4.2.1. - აღწერილობითი ნაწილი).

IX. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება



გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არ არის სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციები არ გაცემულა.

X. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

1.1.1. პსდ-ს გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში.

4. სასურველია შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიით იკვეთებოდეს, თუ როგორ ხდება მისიის, ხედვისა და ღირებულებების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:


20


შემუშავება/გაზიარება და საჭიროების შემთხვევაში, მათში ცვლილებების შეტანა. ასევე, სასურველია მეთოდოლოგიით გაწერილი იყოს პროცედურაზე პასუხისმგებელი პირებიც.

1.2.1 პსდ-ში დანერგილია დაგეგმვის პრაქტიკა.


1. დაწესებულების მიერ შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია ერთგვარად მოიცავს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა უნდა გაკეთდეს კოლეჯის მიერ, თუმცა არ მოიცავს მთელ რიგ პროცედურულ საკითხებს. ასევე, მიზანშეწონილია დირექტორის 2017 წლის 20 იანვრის N02-01 ბრძანებით დამტკიცებულ შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ დებულებაში გასწორდეს ტექნიკური ხარვეზები.


რეკომენდაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ 1.2.1.1. - აღწერილობით ნაწილში.

3. შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ განვითარების გრძელვადიანი (შვიდწლიანი) სამოქმედო გეგმის (2017-2023 წ.წ.) მიმართ გაიცა რიგი რეკომენდაციები (დეტალური ინფორმაციისთვის იხ. 1.2.1.3. - აღწერილობითი ნაწილი), ხოლო განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შეფასებისას გამოიკვეთა, რომ მასში გაწერილი ღონისძიებები სრულად არ შეესაბამება იმ ღონისძიებებს, რომლებსაც ვხვდებით 7-წლიან სამოქმედო გეგმაში. შესაბამისად, მიზანშეწონილია ერთწლიანი სამოქმედო გეგმით გაწერილი ღონისძიებები სრულად გამომდინარეობდეს გრძელვადიანი სამოქმედო გეგმიდან.

გრძელვადიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შეფასებისას ასევე გამოიკვეთა, რომ თითოეულ ღონისძიებაზე გაწერილია რამდენიმე პასუხისმგებელი პირი, რაც იწვევს გაურკვევლობას, რადგან არ იკვეთება რომელმა პასუხისმგებელმა პირმა უნდა წარუდგინოს შესაბამისი ანგარიში მონიტორინგზე პასუხისმგებელ პირს. მიზანშეწონილია ღონისძიების/აქტივობის მიხედვით გაიწეროს თითო პასუხისმგებელი პირი, რომელიც ანგარიშვალდებული იქნება ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების მენეჯერის წინაშე. ამასთან, მიზანშეწონილია აქტივობაზე პასუხისმგებელ პირად არ იყოს გაწერილი ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების მენეჯერი, რადგან მის მიერ ხორციელდება მონიტორინგის შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





1.2.2 პსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სასურველია დაწესებულების მიერ შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიით და შემდგომ უკვე შესრულების ანგარიშებით იკვეთებოდეს, რომ სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების მონიტორინგისას განხილულია შემდეგი საკითხები:

- რა შესრულდა?
- რისი განხორციელება შეფერხდა?
- რომელმა ამოცანამ დაკარგა აქტუალობა და საჭიროა, რომ ამოღებულ იქნას გეგმიდან?
- რომელიმე ამოცანის დამატება ხომ არაა საჭირო?
- როგორ მივყევით განხორციელების ვადებს და ა.შ.

სასურველია დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშები, ასევე მოიცავდეს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ თითოეული აქტივობის შეფასებას (შესრულდა ან არ/ვერ შესრულდა, ნაწილობრივ შესრულდა).



2. მიზანშეწონილია სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის შემუშავებამდე, აქტივობაზე პასუხისმგებელმა პირებმა წერილობითი ფორმით წარუდგინონ სამსახურებრივი/მოხსენებითი ბარათები მონიტორინგზე პასუხისმგებელ პირს.

3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია.

1. პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფის მიზნით, პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულების მიმართ გაიცა რიგი რეკომენდაციები. შესაბამისად, სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს რეკომენდაციების გათვალისწინება და შიდა მარეგულირებელ დოკუმენტში შესაბამისი ცვლილებების განხორციელება.

რეკომენდაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ 3.1.1.1. - აღწერილობით ნაწილში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:


22


3.2.2 პსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის მომსახურება.

3. მიზანშეწონილია დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდეს დამსაქმებელთა კვლევის მეთოდოლოგია. დამსაქმებლების კვლევის კითხვარში ძირითადი აქცენტი უნდა გაკეთდეს იმ დამატებით უნარ-ჩვევებზე (არსებობის შემთხვევაში), რომელსაც ითხოვს დამსაქმებელი ორგანიზაცია და შემდეგ უზრუნველყოს მათი ინტეგრირება სწავლების პროცესში.

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას.




1. დაწესებულების დებულებით განსაზღვრულია კოლეჯის სტრუქტურა. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 2 სექტემბრის N02-54 ბრძანებით, ერთ-ერთ სტრუქტურული ერთეულის დასახელება შეიცვალა და ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით: „უსაფრთხოების საკითხთა და პირველადი გადაუდებელი დახმარების სამსახური“. დაწესებულებას ვებგვერდზე განთავსებული აქვს დაწესებულების სტრუქტურა, რომლითაც სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენს „უსაფრთხოების საკითხთა და სამედიცინო სამსახური“. შესაბამისად, სასურველია სტრუქტურაში შევიდეს ცვლილება და გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი.

დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პროგრამით პროგრამის ხელმძღვანელობა ევალება პროგრამის კოორდინატორს, ხოლო პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულებით პროგრამის ხელმძღვანელობა ევალება პროგრამის ხელმძღვანელს. შესაბამისად, სასურველია დოკუმენტებში გასწორდეს არსებული ტექნიკური ხარვეზი.

4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას.

1. შრომითი ხელშეკრულებების და შინაგანაწესის შესწავლისას, დადგინდა, რომ დასაქმებულის ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულების შემთხვევაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებულია ხელფასის საათობრივი განაკვეთის 5%-ით გაზრდილი ოდენობით ანაზღაურება, ხოლო კოლეჯის შინაგანაწესით ზეგანაკვეთური სამუშაოების შესრულების შემთხვევაში ხელფასის საათობრივი განაკვეთის გაზრდა 1,1%-ით არის განსაზღვრული. აღნიშნულიდან გამომდინარე, რეკომენდირებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:


23



დაწესებულებამ დააზუსტოს და შესაბამისი ცვლილებები ასახოს ყველა იმ დოკუმენტში, რითიც რეგულირდება დასაქმებულის ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულების პირობები.

4.2.1 პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე.

1. რეკომენდებულია კოლეჯმა დანერგოს ადმინისტრაციული პერსონალის თვითშეფასების კულტურა საკუთარ ფუნქცია - მოვალეობებთან მიმართებით და თვითშეფასების შედეგები გაითვალისწინოს შესაბამისი ადამიანური რესურსის განვითარების დაგეგმვისას.
4. მიზანშეწონილია ახალი თანამშრომლის სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის საკითხები, დაწესებულებამ გაწეროს რომელიმე მარეგულირებელ დოკუმენტში.


5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.


3. რეკომენდებულია დაწესებულებამ შეიმუშაოს სასწავლო და სამუშაო სივრცეების დასუფთავების წესი და პერიოდულობა.
5. მიზანშეწონილია დაწესებულებამ შეიმუშავოს შრომის უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნები (მექანიზმები) დასაქმებულთათვის, რომელიც დაადგენს შრომის დაცვის ძირითად მოთხოვნებს, დასაქმებულთა ძირითად ვალდებულებებსა და აკრძალვებს.

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

1. სასურველია დაწესებულებას საქმისწარმოების წესით განსაზღვრული ჰქონდეს, ანგარიშგებისა და შემოსულ კორესპოდენციაზე რეაგირების პერიოდები და პროცედურა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





5.3.1 დაწესებულება ფინანსურად მდგრადია.

1. დაწესებულების მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმით არ არის განსაზღვრული სხვადასხვა აქტივობების განხორციელებისთვის ბიუჯეტი და მათი წყარო. შესაბამისად, გაურკვეველია როგორ იქნება ფინანსური რესურსი გადანაწილებული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით განსაზღვრული აქტივობების განხორციელებაზე. ამგვარად, მიზანშეწონილია სამოქმედო გეგმებით განისაზღვროს აქტივობისთვის საჭირო ფინანსური რესურსი.

4. რეკომენდებულია დაწესებულებამ ყოველი წლის ბოლოს გააკეთოს სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, რომელსაც გამოაქვეყნებს კოლეჯის ვებ-გვერდზე. ასევე, აღნიშნული ანგარიშის და საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტური შეფასების შედეგად, სასურველია დაიგეგმოს შემდგომი აქტივობები და სათანადო რეაგირება მოხდეს შეფასების შედეგებზე.




2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. დირექტორის 2022 წლის 31 იანვრის N02-62 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულება და დირექტორის 2017 წლის 20 იანვრის N02-01 ბრძანებით დამტკიცებული შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ დებულება მოიცავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების და დამტკიცების პროცედურებს. გამომდინარე იქიდან, რომ ეს ორი დოკუმენტი ნაწილობრივ ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციას მოიცავს, მიზანშეწონილია რეგულაციებში შევიდეს შესაბამისი ცვლილება.

4. რამდენიმე მოდულს, მათ შორის მოდულს „საექთნო მენეჯმენტის საფუძვლები“ სასწავლო რესურსად მხოლოდ ინგლისურენოვანი ლიტერატურა აქვს მითითებული. სასურველია მოდულებს მიეთითოს ქართულენოვანი სასწავლო რესურსები, მით უფრო, რომ შესაბამის სწავლის შედეგებზე გამყვანი ქართულენოვანი ლიტერატურის ელექტრონული ვერსიებიც მოიპოვება. ასევე, სასურველია ელექტრონულ სასწავლო რესურსებს მიეთითოს, რომ ისინი ელ. ვერსიებია.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის, დირექტორის მიერ 2021 წლის 23 სექტემბრის N02-56 ბრძანებით, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ 2021 წელს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:


25



ეროვნული ცენტრის მიერ „საექთნო განათლების“ ჩარჩო დოკუმენტში შესული ცვლილებების შესაბამისად, დაწესებულებას პროგრამაში უნდა შეეტანა ცვლილება და არა თავიდან დაემტკიცებინა. შესაბამისად, მიზანშეწონილია დაწესებულებამ მსგავს შემთხვევებში ცვლილება შეიტანოს პროგრამაში და არა თავიდან დაამტკიცოს.

8. პროგრამის ძირითადი დოკუმენტისა და შესაბამისი დანართების შესწავლის საფუძველზე გამოკვეთილი გარემოებების გათვალისწინებით, დაწესებულებას ექსპერტების მხრიდან მიეცა რეკომენდაცია პროგრამის ადაპტირებისა და განმტკიცების მიზნებისთვის შეიმუშაოს იმგვარი მექანიზმი, რომელიც გამორიცხავს ხარვეზების/ტექნიკური ხასიათის უზუსტობების არსებობას და უზრუნველყოფს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეკომენდაციებისა და შიდა რეგულაციების მოთხოვნებთან შესაბამისობას.

რეკომენდაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ 2.1.1.8. - აღწერილობით ნაწილში.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.


5. სასურველია დაწესებულებას ვებგვერდზე ატვირთული ჰქონდეს საგანმანათლებლო რესურსი ელექტრონული სახით.

7. სასურველია პსდ-ს ადმინისტრაციამ გადახედოს ბიუჯეტის ხარჯებს და შეიტანოს ისეთი მნიშვნელოვანი მუხლი, როგორიცაა პროგრამის/განმახორციელებელი პირების განვითარებისთვის გასაწევი ხარჯები.

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. მიზანშეწონილია დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდეს დამსაქმებელთა კვლევის მეთოდოლოგია. დამსაქმებლების კვლევის კითხვარში ძირითადი აქცენტი უნდა გაკეთდეს იმ დამატებით უნარ-ჩვევებზე, რომელსაც ითხოვს დამსაქმებელი ორგანიზაცია და შემდეგ უზრუნველყოს მათი ინტეგრირება სწავლების პროცესში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. სასწავლო გეგმის შეფასებისას გამოიკვეთა შემდეგი:

- სასწავლო გეგმაში, კვირული დატვირთვის ნაწილში არ ჩანს რამდენია საკონტაქტო საათი და რამდენი დამოუკიდებელი. ისინი დაჯამებული სახითაა წარმოდგენილი. შესაბამისად, სასურველია დამოუკიდებელი საათები გაიმიჯნოს საკონტაქტო და შეფასების საათებისგან.
- მოდულს „საექთნო მენეჯმენტის საფუძვლები“ შეფასებისთვის გათვალისწინებული აქვს 4 საათი, საკონტაქტოსთვის 36 საათი, ხოლო დამოუკიდებლისთვის 10 საათი. სასწავლო გეგმით, შეფასებისთვის გათვალისწინებულია 8 საათი, ხოლო საკონტაქტოსთვის - 32 საათი. შესაბამისად, მიზანშეწონილია სასწავლო გეგმა და მოდული შესაბამისობაში მოვიდეს ერთმანეთთან.


2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას.


1. შეფასების სისტემასთან დაკავშირებით არსებული შიდა მარეგულირებელი დოკუმენტის მიმართ გაიცა რიგი რეკომენდაციები.

რეკომენდაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ 2.4.2.1. - აღწერილობით ნაწილში.

2. დაწესებულებაში დასტურდება შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესი, თუმცა მიზანშეწონილია დაწესებულებამ უზრუნველყოს ვერიფიკაციის პროცესის განხორციელება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





XI. სტანდარტების შეფასება

1. კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისია

1.1.1 პსდ-ს გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში.

1. პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;
2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განსხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;
3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.


კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს, რადგან ორიენტირებულია პროფესიული განათლებით წვლილი შეიტანოს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. მისიით ასევე ხელშეწყობილია ინდივიდის პროფესიული განვითარება და მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლა. კერძოდ, დაწესებულების მისიაა უზრუნველყოფილ იქნეს მაღალი კომპეტენციის მქონე, საერთაშორისო შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროფესიული კვალიფიკაციის სპეციალისტების მომზადება, უწყვეტი სწავლებისა და განათლების პრინციპების დაცვა და საზოგადოებისა და სახელმწიფო მოთხოვნების დაკმაყოფილება პროფესიული განათლების მქონე კვალიფიციურ კადრებზე. შესაბამისად, მისია პასუხობს კითხვაზე, ვინ არიან ისინი, რისთვის არსებობს კოლეჯი და ვინ არიან მათი მომხმარებლები.
2. დაწესებულების მისია ზოგადია და განსაზღვრულია მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლითაც ის განსხვავდება სხვა პსდ-სგან. კერძოდ, კოლეჯის მისია და მისი მიზანია საგანმანათლებლო და პროფესიული საქმიანობის კონტროლისა და ხარისხის მართვის ამერიკული და ევროპული სისტემების ამოქმედება.
3. დაწესებულებას მისიიდან გამომდინარე შემუშავებული არ აქვს ხედვა და ღირებულებების დოკუმენტი და ის არც სხვა დოკუმენტის შემადგენელი ნაწილი არაა. მიზანშეწონილია მისიიდან გამომდინარე, დაწესებულებამ შეიმუშაოს ხედვა და ღირებულების დოკუმენტი. ხედვა უნდა იძლეოდეს ორგანიზაციის წარმოდგენაში დახატული სასურველი, იდეალური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

28



მომავლის სურათს. იგი უნდა აღწერდეს, თუ როგორ წარმოუდგენია დაწესებულებას საკუთარი წარმატება, რას „დავინახავთ“, თუკი ორგანიზაცია საკუთარი ამბიციების სრულად რეალიზებას მოახდენს. სასურველია ხედვაში განსაზღვრული იყოს დროის ის პერიოდი, რომლის ფარგლებშიც ორგანიზაცია აპირებს შემუშავებული ხედვის რეალიზებას, ასევე ჩანდეს განვითარების მიმართულება, ხოლო ღირებულებებში გადმოცემული უნდა იქნას ის ძირითადი პრინციპები, რომლებზე დაყრდნობითაც გეგმავს დაწესებულება მისიაში და ხედვაში გაცხადებული მიზნების მიღწევას.


ამ პირობებში სტანდარტი ფასდება როგორც „არ შეესაბამება“.

4. დირექტორის 2021 წლის 24 ნოემბრის N02-57 ბრძანებით დამტკიცებულია შპს „ქართულ-ამერიკული საექტონო საზოგადოებრივი კოლეჯის“ სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია, რომლითაც ირკვევა, რომ სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და მასში ჩართულნი უნდა იყვნენ კოლეჯის თანამდებობის პირები, პროგრამის ხელმძღვანელები, პროფესიული სტუდენტები, პროფესიული მასწავლებლები, კურსდამთავრებულები, დაწესებულების პარტნიორი ორგანიზაციები/დამსაქმებლები და სხვა დაინტერესებული პირები. აღნიშნული დოკუმენტით არ არის გაწერილი პროცედურა, რომლის დაცვითაც უნდა განხორციელდეს მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება/გაზიარება და საჭიროების შემთხვევაში, მათში ცვლილებების შეტანა. ასევე, მეთოდოლოგიით გაწერილი უნდა იყოს პროცედურაზე პასუხისმგებელი პირებიც. შესაბამისად, სასურველია მეთოდოლოგიით იკვეთებოდეს თუ როგორ ხდება მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება/გაზიარება და საჭიროების შემთხვევაში, მათში ცვლილებების შეტანა. ასევე, სასურველია მეთოდოლოგიით გაწერილი იყოს პროცედურაზე პასუხისმგებელი პირებიც.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დირექტორის 2021 წლის 17 სექტემბრის N02 საოქმო გადაწყვეტილებით განსაზღვრულია, რომ კოლეჯის პერსონალმა და სხვა შესაბამისმა პირებმა უნდა უზრუნველყონ კოლეჯის მისიისა და ამოცანების რეალიზების უზრუნველყოფა და დაინტერესებული პირებისთვის მისი შემდგომი გაზიარების მიზნით ღონისძიებების განხორციელება. ასევე, დირექტორის 2022 წლის 15 მარტის N02-67 ბრძანებით განსაზღვრულია, რომ ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების მენეჯერმა უნდა უზრუნველყოს კოლეჯის პერსონალისათვის და პროფესიული მასწავლებლებისთვის, აგრეთვე პროგრამის განმახორციელებელი სხვა პირებისთვის დისტანციური ფორმით კოლეჯის მისიისა და ამოცანების გაზიარების მიზნით შეხვედრების სისტემატურად გამართვა. ამასთან, კოლეჯის მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა უნდა უზრუნველყოს დამსაქმებლებისთვის და სხვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

29




დაინტერესებული პირებისთვის კოლეჯის მისიისა და ამოცანების გაზიარების მიზნით შეხვედრების სისტემატური გამართვა, ხოლო კოლეჯის პროფესიულმა მასწავლებლებმა - პროფესიული სტუდენტებისთვის კოლეჯის მისიისა და ამოცანების გაცნობა და შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება. კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების მენეჯერი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს ჩატარებული შეხვედრებისა და მისი შედეგების შესახებ ინფორმაციის კოლეჯის დირექტორისთვის მოხსენება (დანართი 2). ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების მენეჯერთან გასაუბრებით დგინდება, რომ ამ თვალსაზრისით კოლეჯის წარმომადგენლებს სამიზნე ჯგუფებთან შეხვედრები არ ჩაუტარებიათ. შესაბამისად, არც დირექტორისთვის მომხდარა შესაბამისი ანგარიშის წარდგენა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებული არ არის დაინტერესებული მხარეების მიერ. ვიზიტის პერიოდში, ის არც საჯაროდ იყო ხელმისაწვდომი. ვებგვერდზე www.ganc.ge განთავსებულია მხოლოდ კოლეჯის მისია.


მიზანშეწონილია სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიით იკვეთებოდეს, თუ როგორ ხდება მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება/გაზიარება და საჭიროების შემთხვევაში, მათში ცვლილებების შეტანა. შესაბამისად, მიზანშეწონილია დაწესებულებამ მეთოდოლოგიის შესაბამისად უზრუნველყოს მისიის, ხედვის, ღირებულებების შემუშავება და დაინტერესებული მხარეების მიერ მათი გაზიარება, ხოლო საჯაროობისთვის მათი ვებგვერდზე განთავსება. ამ პირობებში სტანდარტი ფასდება როგორც „არ შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს „ქართულ-ამერიკულ საექთნო საზოგადოებრივ კოლეჯის“ სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიით;
- პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუს შედეგებით;
- ვებგვერდით www.ganc.ge ;
- მისიით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





შეფასება:

- ☐ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☒ არ შეესაბამება

1.2 პსდ-ს სტრატეგიული განვითარება


1.2.1 პსდ-ში დანერგილია დაგეგმვის პრაქტიკა.


1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;
2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;
3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ დირექტორის 2021 წლის 24 ნოემბრის N02-57 ბრძანებით დამტკიცებულია შპს „ქართულ-ამერიკულ საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია. აღნიშნული მეთოდოლოგიით კოლეჯმა უნდა იხელმძღვანელოს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი, სამოქმედო გეგმების შემუშავებისას. მეთოდოლოგიაში გაწერილია, რომ კოლეჯის სტრატეგიული გეგმა მუდმივად შესაბამისობაში უნდა იყოს კოლეჯის მისიაში გაცხადებულ მიზნებთან, ის ასევე ორიენტირებული უნდა იყოს მათ შესრულებაზე. მეთოდოლოგიით განსაზღვრულია, რომ:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:







- სტრატეგიული დაგეგმვა ეფუძნება შესაბამის კვლევებს/პროგნოზებს/ანალიზს.
- სტრატეგიული გეგმის მიზნები ითვალისწინებს იმ ინდიკატორებს, რომელთა საშუალებითაც მოხდება მასში მოცემული მიზნების მიღწევის ხარისხის შეფასება.
- კოლეჯის სტრატეგიული (შვიდწლიანი) გეგმა გამომდინარეობს კოლეჯის ხედვიდან, აზუსტებს მას კონკრეტული მიზნებით, ხოლო სამოქმედო გეგმა - სტრატეგიიდან, სადაც „ჩაშლილია“ სტრატეგიულ გეგმაში წარმოდგენილი მიზნები. ამასთან, სტრატეგიული გეგმის შედგენისას გათვალისწინებული უნდა იქნას ქვეყნის/რეგიონის/პრიორიტეტები და დაინტერესებული მხარეების მოლოდინი.
- სტრატეგიულ გეგმებში ცვლილება ხორციელდება გარემო პირობების და/ან ორგანიზაციული პრიორიტეტების ცვლილებების კვალდაკვალ, შესაბამისი პასუხისმგებელი პირების ჩართულობით.
- სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგი დაგეგმილია 2 წელიწადში ერთხელ, ხოლო სამოქმედო გეგმის - წელიწადში ორჯერ. განსაკუთრებული გარემოებების შემთხვევაში დაშვებულია რიგგარეშე მონიტორინგის ჩატარება. სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი ევალება ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების მენეჯერს.
- სამოქმედო და სტრატეგიული გეგმის შედეგების განთავსება ხდება დაწესებულების ვებ-გვერდზე.

ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულების მიერ შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია ერთგვარად მოიცავს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა უნდა გაკეთდეს კოლეჯის მიერ, თუმცა არ მოიცავს მთელ რიგ პროცედურულ საკითხებს. კერძოდ, მიზანშეწონილია მეთოდოლოგია მოიცავდეს შემდეგ საკითხებს:

- სტრატეგიული გეგმის გაზიარების პროცედურები;
- სტრატეგიული გეგმის ცვლილებების შეტანის პროცედურები;
- შეტანილი ცვლილებების შესახებ დაინტერესებული მხარეების ინფორმირების გზები;
- მონიტორინგის პროცედურა (როგორ განხორციელდება მონიტორინგი: ანგარიშების წარდგენით, ღია შეხვედრებზე განხილვით, სპეციალური ელექტრონული მონიტორინგის სისტემის გამოყენებით თუ სხვ.);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
 ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:


- როგორ ხდება მონიტორინგის შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზი;
- ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით როგორ ხორციელდება რეაგირება.

დირექტორის 2017 წლის 20 იანვრის N02-01 ბრძანებით დამტკიცებული შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ დებულებით (ბოლო ცვლილება შესულია დირექტორის 2021 წლის 2 სექტემბრის N02-54 ბრძანებით) ირკვევა, რომ კოლეჯის სამეთვალყურეო საბჭო აკონტროლებს კოლეჯის განვითარების ერთწლიანი და გრძელვადიანი (ექვსწლიანი) სამოქმედო გეგმების დადგენილ ვადებში და სათანადოდ შესრულებას, პერიოდულად ისმენს კოლეჯის დირექტორისა და სხვა პასუხისმგებელი პირების ანგარიშს გეგმების შესრულების მიმდინარეობის შესახებ და გასცემს შესაბამის რეკომენდაციებს, ამტკიცებს დირექტორის მიერ წარდგენილ ყოველწლიურ ანგარიშს, უფლებამოსილია საბჭოს ერთ-ერთ წევრს ან/და მოწვეულ ექსპერტს დაავალოს სამოქმედო გეგმების სათანადოდ შესრულების დეტალური მონიტორინგი/შემოწმება. გამომდინარე იქიდან, რომ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტი ითხოვს, რომ დაწესებულება ხელმძღვანელობდეს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმებით, მიზანშეწონილია გასწორდეს მარეგულირებელ დოკუმენტში არსებული ტექნიკური ხარვეზები, მით უფრო რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს გრძელვადიანი (შვიდწლიანი) სამოქმედო გეგმა.

დირექტორის 2020 წლის 12 თებერვლის N02-36 ბრძანებით დამტკიცებულია შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შემუშავების და მათი განხორციელების ზედამხედველობის მიზნით მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფი (დანართი 3). მის შემადგენლობაში შედის ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების მენეჯერი (ჯგუფის ხელმძღვანელი); სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი; ლოჯისტიკისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების მენეჯერი; იურისტი და საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის მენეჯერი. სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელს შეუძლია, საჭიროების შესაბამისად, სამუშაო ჯგუფის საქმიანობაში მოიწვიოს კოლეჯის სხვა თანამდებობის პირები, პროფესიული მასწავლებლები და სხვა დაინტერესებული პირები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

33





2. დირექტორის 2021 წლის 24 ნოემბრის N02-57 ბრძანებით დამტკიცებული შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიით ირკვევა, რომ სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და მასში ჩართულნი უნდა იყვნენ კოლეჯის თანამდებობის პირები, პროგრამის ხელმძღვანელები, პროფესიული სტუდენტები, პროფესიული განათლების მასწავლებლები, კურსდამთავრებულები, დაწესებულების პარტნიორი ორგანიზაციები/დამსაქმებლები და სხვა დაინტერესებული პირები. ამ კუთხით, შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ განვითარების გრძელვადიანი (შვიდწლიანი) სამოქმედო გეგმის (2017-2023 წ.წ.) შეფასება შეუძლებელია, გამომდინარე იქიდან, რომ ის დამტკიცებულია დირექტორის 2017 წლის 27 იანვრის N02-05 ბრძანებით (ცვლილება შესულია დირექტორის 2019 წლის 16 ივლისის N02-30/1 ბრძანებით), ხოლო 2021 წელს დამტკიცებული მეთოდოლოგიის შესაბამისად, დაწესებულებას სტრატეგიული (შვიდწლიანი) გეგმა არ შემუშავებია.

სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის საფუძველზე, ასევე შეფასდა 2022 წლის სამოქმედო გეგმა. დაწესებულებას მოეთხოვა თანამონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა, თუმცა ვიზიტის განმავლობაში მათი წარმოდგენა ვერ შეძლო. კოლეჯის დირექტორის განმარტებით, მსგავსი მტკიცებულებები არ აქვთ, თუმცა ამბობს, რომ შეხვედრები განხორციელდა. მიზანშეწონილია, დაწესებულებამ უზრუნველყოს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის შესაბამისად, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება. ამ პირობებში სტანდარტი ფასდება როგორც „არ შეესაბამება“.

3. ავტორიზაციის სტანდარტით მოთხოვნილია, რომ დაგეგმვისას დაწესებულებამ უნდა განსაზღვროს მისიასთან თავსებადი მიზნები, ამ მიზნების შესაბამის ამოცანები, განხორციელების ვადები და შესრულების ინდიკატორები, ხოლო სამოქმედო გეგმის შედგენისას - განსახორციელებელი აქტივობები და საჭირო რესურსები. დაწესებულების მიერ შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიით ირკვევა, რომ კოლეჯის ხედვასთან მიახლოებისთვის (ხედვის დოკუმენტი დაწესებულებას შემუშავებული არ აქვს), მნიშვნელოვანია სტრატეგიული მიზანი იყოს კონკრეტული, მიღწევადი, რელევანტური და დროში გაწერილი. ამასთან გაწერილი იყოს მიზნის მიღწევის ინდიკატორები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:






ამოცანები, შესრულების ინდიკატორები და აქტივობები. შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ განვითარების გრძელვადიანი (შვიდწლიანი) სამოქმედო გეგმა (2017-2023 წ.წ.) დამტკიცებულია დირექტორის 2017 წლის 27 იანვრის N02-05 ბრძანებით, რომელშიც ბოლო ცვლილება შესულია დირექტორის 2019 წლის 16 ივლისის N02-30/1 ბრძანებით. ზემოაღნიშნული მეთოდოლოგიისა და ავტორიზაციის სტანდარტის შესაბამისად, დაწესებულების მიერ არ მომხდარა გრძელვადიან სამოქმედო გეგმაში ცვლილებების შეტანა. კერძოდ, დოკუმენტის შეფასებისას გამოიკვეთა შემდეგი:

- 7-წლიანი სამოქმედო გეგმით ნარატიულად გაწერილია, რომ დაწესებულების მთავარი მიზანია პროფესიული სტუდენტებისთვის ხარისხიანი და თანამედროვე სტანდარტებზე დაფუძნებული საგანმანათლებლო პროგრამების მიწოდება, ხოლო ამ მიზნის მისაღწევად გაწერილია შემდეგი ამოცანები: სასწავლო პროცესისა და საგანმანათლებლო პროგრამ/ებ/ის დახვეწა; ბიბლიოთეკის მუდმივი განახლება და შევსება; ინფრასტრუქტურის განვითარება; ადგილობრივი და საერთაშორისო პროფესიული საგანმანათლებლო კავშირები; სოციალური საკითხები. შესაბამისად, გამოდის რომ დაწესებულებას ერთი მიზნის ფარგლებში აქვს გაწერილი ამოცანები. მიზანშეწონილია დაწესებულებას გაწერილი ჰქონდეს 3-5 სტრატეგიული მიზანი.
- 7-წლიან სამოქმედო გეგმაში ასევე, ცხრილის სახით გაწერილია ღონისძიებები, მათზე პასუხისმგებელი პირები და განხორციელების ვადები. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ ღონისძიებები წარმოადგენს ამოცანებს ან/და მიზნებს. შესაბამისად, ერთმანეთშია არეული სტრატეგიული მიზნები და ამ მიზნების შესაბამისი ამოცანები. მაგალითად, ღონისძიებად გაწერილია შემდეგი: „კოლეჯის მიერ ავტორიზაციის პროცედურების გავლა“; „სასწავლო პროცესის მუდმივი კონტროლი და სწავლების ხარისხის შეფასების უზრუნველყოფა, შეფასების მექანიზმების განვითარება თანამედროვე სტანდარტებისა და მიღწევების გათვალისწინებით.“ და სხვა. შესაბამისად, მიზანშეწონილია დაწესებულების მიერ შემუშავებული 7-წლიანი სამოქმედო გეგმით სწორად გაიწეროს სტრატეგიული მიზნები და ამ მიზნების შესაბამისი ამოცანები.
- გრძელვადიან სამოქმედო გეგმაში სრულად არ არის გაწერილი მისიიდან გამომდინარე სტრატეგიული მიზნები. მაგალითად, მისიით განსაზღვრულია შემდეგი: „საგანმანათლებლო და პროფესიული საქმიანობის კონტროლისა და ხარისხის მართვის ამერიკული და ევროპული სისტემების ამოქმედება.“ ამ თვალსაზრისით სტრატეგიული მიზანი, მისი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

35



შესაბამისი ამოცანები, შესრულების ინდიკატორები და განხორციელების ვადები დაწესებულების მიერ შემუშავებულ გრძელვადიან გეგმაში გაწერილი არაა.




- ავტორიზაციის სტანდარტით განსაზღვრულია, რომ სტრატეგიული განვითარების გეგმით გაწერილი უნდა იყოს შესრულების ინდიკატორები, რომელსაც არ მოიცავს დაწესებულების მიერ შემუშავებული 7-წლიანი სამოქმედო გეგმა. მიზანშეწონილია დაწესებულებამ უზრუნველყოს 7-წლიანი სამოქმედო გეგმის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა.

შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ განვითარების ერთწლიანი (2022 წ.) სამოქმედო გეგმა დამტკიცებულია შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ დირექტორის 2021 წლის 17 დეკემბრის N02-58 ბრძანებით. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ კოლეჯიდან გამოთხოვილ დოკუმენტაციაზე/ ბრძანებაზე ზემოაღნიშნული რეკვიზიტებია დატანილი, თუმცა ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ წარმოადგინა სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ დირექტორის ბრძანება შემდეგი რეკვიზიტებით - #02-58¹/17.12.2021. შესაბამისად, რთულდება სამოქმედო გეგმის დამტკიცების რეკვიზიტების იდენტიფიცირება იმ პირობებში, რომ ელექტრონული საქმისწარმოება თითქმის არ ხორციელდება კოლეჯში.

2022 წლის სამოქმედო გეგმის შეფასებისას გამოიკვეთა შემდეგი:

- განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმით გაწერილია ღონისძიებები, პასუხისმგებელი პირები და სავარაუდო ვადები. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული ღონისძიებები სრულად არ შეესაბამება იმ ღონისძიებებს, რომლებიც გაწერილია 7-წლიანი სამოქმედო გეგმით. შესაბამისად, მიზანშეწონილია ერთწლიანი სამოქმედო გეგმით გაწერილი ღონისძიებები სრულად გამომდინარეობდეს გრძელვადიანი სამოქმედო გეგმიდან.
- ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნიდან გამომდინარე, დაწესებულების მიერ არ არის შემუშავებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რადგან ის არ მოიცავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს. შესაბამისად,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტის მოთხოვნებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია დაწესებულებამ უზრუნველყოს სამოქმედო გეგმის შემუშავება.



გრძელვადიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შეფასებისას ასევე გამოიკვეთა, რომ თითოეულ ღონისძიებაზე გაწერილია რამდენიმე პასუხისმგებელი პირი, რაც იწვევს გაურკვევლობას, რადგან არ იკვეთება რომელმა პასუხისმგებელმა პირმა უნდა წარუდგინოს შესაბამისი ანგარიში მონიტორინგზე პასუხისმგებელ პირს. მიზანშეწონილია ღონისძიების/აქტივობის მიხედვით გაიწეროს თითო პასუხისმგებელი პირი, რომელიც ანგარიშვალდებული იქნება ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების მენეჯერის წინაშე. ამასთან, მიზანშეწონილია აქტივობაზე პასუხისმგებელ პირად არ იყოს გაწერილი ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების მენეჯერი, რადგან მის მიერ ხორციელდება მონიტორინგის შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზი.

გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულების მიერ გრძელვადიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას, სრულად არ არის გათვალისწინებული ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნები, ამ პირობებში სტანდარტი ფასდება როგორც „არ შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივ კოლეჯის“ სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიით;
- შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ განვითარების გრძელვადიანი (შვიდწლიანი) სამოქმედო გეგმით 2017-2023 წ.წ.;
- შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ განვითარების ერთწლიანი (2022 წ.) სამოქმედო გეგმით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ დებულებით;
- პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუს შედეგებით.

1.2.2 კსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა


1. კსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
2. კსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;
3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიით განსაზღვრულია, რომ სტრატეგიული განვითარების გეგმა ექვემდებარება მონიტორინგს, რასაც შედეგად მოყვება მიმდინარე პროცესის ან/და მიღწეული შედეგების შეფასება, ანალიზი, ხოლო სოლიდური დასაბუთების საფუძველზე ცვლილების შეტანა, გაუმჯობესება და საბოლოოდ - შესრულების ანგარიშის წარდგენა. განსაკუთრებული გარემოებების შემთხვევაში, ასევე დაშვებულია რიგგარეშე მონიტორინგის ჩატარება. სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგი დაგეგმილია 2 წელიწადში ერთხელ, ხოლო სამოქმედო გეგმის - წელიწადში ორჯერ. სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი ევალება ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების მენეჯერს. დირექტორის 2017 წლის 20 იანვრის N02-01 ბრძანებით დამტკიცებული შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ დებულებით ასევე განსაზღვრულია, რომ სამეთვალყურეო საბჭო აკონტროლებს კოლეჯის ერთწლიანი და გრძელვადიანი სამოქმედო გეგმების დადგენილ ვადებში და სათანადოდ შესრულებას, პერიოდულად ისმენს კოლეჯის დირექტორისა და სხვა პასუხისმგებელი პირების ანგარიშს გეგმების შესრულების მიმდინარეობის შესახებ და გასცემს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

38



შესაბამის რეკომენდაციებს. საბჭო უფლებამოსილია ერთ-ერთ წევრს ან/და მოწვეულ ექსპერტს დაავალოს სამოქმედო გეგმების სათანადოდ შესრულების დეტალური მონიტორინგი/შემოწმება.


დაწესებულების მიერ წარმოდგენილია 2021 წლის სამოქმედო გეგმის ანგარიში, თუმცა სასურველია დაწესებულების მიერ შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიით და შემდგომ უკვე შესრულების ანგარიშებით იკვეთებოდეს, რომ სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების მონიტორინგისას განხილულია შემდეგი საკითხები:


- რა შესრულდა?
- რისი განხორციელება შეფერხდა?
- რომელმა ამოცანამ დაკარგა აქტუალობა და საჭიროა, რომ ამოღებულ იქნას გეგმიდან?
- რომელიმე ამოცანის დამატება ხომ არაა საჭირო?
- როგორ მივყევით განხორციელების ვადებს და ა.შ.


სასურველია, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშები ასევე მოიცავდეს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული თითოეული აქტივობის შეფასებას (შესრულდა ან არ/ვერ შესრულდა, ნაწილობრივ შესრულდა).

2. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ განვითარების ერთწლიანი (2021 წლის) სამოქმედო გეგმის ნახევარგვერდიანი შესრულების ანგარიში, რომლითაც გარკვეულწილად გაწერილია შესრულებული აქტივობების შესახებ ინფორმაცია. ამასთან დაწესებულებამ ვერ შეძლო წარმოედგინა თითოეულ აქტივობაზე/დონისძიებაზე პასუხისმგებელი პირის სამსახურებრივი/მოხსენებითი ბარათები/ანგარიშები, რომლის საფუძველზეც შემდგომ შემუშავდა სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში. შესაბამისად, არ იკვეთება რომელიმე აქტივობა თუ ვერ შესრულდა, ამას მოჰყვა თუ არა შესაბამისი რეაგირება, მაგალითად, გეგმის კორექტირება, ჩანაწერების დაზუსტება, ვადების გადაწევა, აქტივობის ამოღება, შემსრულებლის დისციპლინური პასუხისმგებლობა ან წახალისება განსაკუთრებით კარგად შესრულებული სამუშაოსათვის. ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების მენეჯერთან ინტერვიუებით ირკვევა, რომ გეგმის კორექტირება არ მომხდარა, რადგან ამის საჭიროება არ დამდგარა. ასევე, არ მომხდარა აქტივობაზე პასუხისმგებელი პირების მიერ სამსახურებრივი/მოხსენებითი ბარათების/ანგარიშების შემუშავება და მისთვის -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:







მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირისთვის წარდგენა. გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულების მიერ შემუშავებულია სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, მიზანშეწონილია ანგარიშის შემუშავებამდე აქტივობაზე პასუხისმგებელმა პირებმა წერილობითი ფორმით წარუდგინონ სამსახურებრივი/მოხსენებითი ბარათები მონიტორინგზე პასუხისმგებელ პირს.

3. შპს „ქართულ-ამერიკულ საექთნო საზოგადოებრივ კოლეჯის“ სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიით იკვეთება, რომ საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით სამოქმედო და სტრატეგიული გეგმის შედეგები უნდა განთავსდეს დაწესებულების ვებ-გვერდზე. დაწესებულებას ვებგვერდზე განთავსებული არ აქვს სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები. შესაბამისად, სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ არ არის ხელმისაწვდომი.

ამ პირობებში სტანდარტი ფასდება როგორც „არ შეესაბამება“.


დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):


- შპს „ქართულ-ამერიკულ საექთნო საზოგადოებრივ კოლეჯის“ სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიით;
- შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ განვითარების ერთწლიანი (2021 წლის) სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშით;
- შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ დებულებით;
- პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუს შედეგებით;
- ვებგვერდით www.ganc.ge.

შეფასება:

- ☐ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:


40



☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☒ არ შეესაბამება

3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია.


1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.


კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დირექტორის 2022 წლის 31 იანვრის N02-62 ბრძანებით დამტკიცებულია შპს „ქართულ-ამერიკულ საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულება, რომელიც არეგულირებს შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ სასწავლო პროცესის მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს - პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, მიღებული განათლების აღიარების, პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების და კვალიფიკაციის მინიჭების საკითხებს, სასწავლო პროცესში სსსმ პირების მხარდაჭერას, ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:


41




პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულების შეფასებისას გამოიკვეთა შემდეგი:

- პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია „პროფესიული სტუდენტის მიერ კოლეჯში სწავლის უფლების მოპოვების მიზნით წარსადგენი დოკუმენტების არ წარდგენა ან/და არასათანადო დოკუმენტის წარდგენა;“. გამომდინარე იქიდან, რომ აპლიკანტი ვალდებულია განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ განსაზღვრულ ვადებში კოლეჯში წარადგინოს ჩარიცხვისთვის აუცილებელი დოკუმენტები, ხოლო მისი წარუდგენლობა შესაძლოა გახდეს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭებისთვის უარის თქმის საფუძველი, აღნიშნული ჩანაწერის არსებობა აზრსმოკლებულია. აღნიშნულს იზიარებს კოლეჯის იურისტიც.
- ფორმალური განათლების აღიარების მსურველი უფლებამოსილია, მოითხოვოს ფორმალური განათლების აღიარება, მხოლოდ მის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების შემდეგ, თუმცა აღნიშნული რეგულაციით არ იკვეთა სტუდენტის სტატუსის მინიჭებიდან, რა ვადაში ხდება კოლეჯისთვის მიმართვა.
- პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პრეროგატივას. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად, პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს ყველა, შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები. საექთნო საქმის პროგრამაზე ჩარჩო დოკუმენტითაა განსაზღვრული, რომ პროფესიულმა სტუდენტმა დამატებით უნდა ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა, რაც დაწესებულების მიერ განსაზღვრული არაა. რეგულაციით განსაზღვრულია, რომ პროფესიული სტუდენტი, რომელიც სწავლობს იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომლის პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, ვალდებულია ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია დაწესებულებამ შიდა მარეგულირებელი დოკუმენტი შესაბამისობაში მოიყვანოს ჩარჩო დოკუმენტის მოთხოვნებთან, მით უფრო რომ საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების პროცედურა დაწესებულებას გაწერილი აქვს.
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N98/ნ ბრძანების „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესისა და საფასურების დამტკიცების შესახებ“ საფუძველზე, კოლეჯის მიერ შიდა მარეგულირებელ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

42





დოკუმენტში გაწერილი უნდა იყოს, რომ აპლიკანტმა უცხოეთში მიღებული განათლების შემთხვევაში, კოლეჯში სტუდენტის სტატუსის მინიჭებამდე უნდა წარადგინოს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მერ გაცემული უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტი.

სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს ზემოაღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინება და შიდა მარეგულირებელ დოკუმენტში შესაბამისი ცვლილებების განხორციელება.

პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულებით განსაზღვრულია, რომ პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების პროცედურები განისაზღვრება კოლეჯის მიერ შემუშავებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესის“ შესაბამისად, თუმცა დაწესებულებამ ვიზიტის განმავლობაშიც ვერ წარმოადგინა მსგავსი მარეგულირებელი დოკუმენტი, რადგან მათი განმარტებით ჯერ კიდევ შემუშავებული არ აქვთ. გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები, რომლის 28-ე მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო დაწესებულებები ვალდებული იყვნენ 2021 წელს, რეგისტრაციის დაწყებამდე უზრუნველყოთ ამ წესის მოთხოვნებთან შესაბამისობა და აღნიშნულის თაობაზე სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ინფორმირება. აღნიშნულის თაობაზე, კოლეჯს დამატებით მიეწოდა ინფორმაცია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან. წერილით განსაზღვრულია, რომ რეგისტრაციის დაწყებამდე (2021 წლის 10 ივლისი) მათ უნდა უზრუნველყოთ თავიანთი წესის შესაბამისობა ახალ წესთან და არაუგვიანეს 12 ივლისისა ოფიციალურად უნდა გაეგზავნათ ინფორმაცია ცენტრში, შესაბამისი უზრუნველყოფის შესახებ (დანართი 4). აღნიშნული წერილი eflow-ს მეშვეობითაა მიღებული და ასევე გატარებულია შემოსული და გასული ელექტრონული კორესპოდენციების აღრიცხვის ჟურნალში (დანართი 5). ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და იმის გათვალისწინებით, რომ ვიზიტის განმავლობაშიც დაწესებულებას არ ჰქონდა ჩარიცხვის წესი შემუშავებული, ან/და არსებული შიდა მარეგულირებელი წესი ახალ წესთან შესაბამისობაში მოყვანილი, 2021 წლის მიღების ფარგლებში, მათ პროფესიული სტუდენტის სტატუსი მიანიჭეს 28 აპლიკანტს (დანართი 6, დანართი 7, დანართი 8) დირექტორის 2017 წლის 31 იანვრის N02-07 ბრძანებით დამტკიცებული შპს „ქართულ-ამერიკულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:









საექთნო საზოგადოებრივ კოლეჯში“ პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, მიღებული განათლების აღიარების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების და საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების წესის შესაბამისად. აღნიშნული წესით განსაზღვრულია, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღება ცხადდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით, რომელიც ადგენს წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალს, მათი მიღების ვადას და ჩარიცხვის პროცედურას. ვიზიტის პერიოდში, დირექტორის 2022 წლის 31 იანვრის N02-61 ბრძანებით აღნიშნული მარეგულირებელი დოკუმენტი ძალადაკარგულად იყო გამოცხადებული (დანართი 9). ვიზიტის ფარგლებში მოვითხოვეთ დაწესებულებას წარმოედგინა 2021 წლის მიღების ფარგლებში გამოცემული ბრძანებები, თუმცა მათი წარმოდგენა დაწესებულებამ ვერ შეძლო. მათ წარმოადგინეს მხოლოდ კოლეჯის დირექტორის მიერ გამოცემული ჩარიცხვის ბრძანებები და სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის 2021 წლის 5 ოქტომბრის N1.1/79 ბრძანება „უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის აპლიკანტთა რეიტინგული სიის დამტკიცების შესახებ“.

პროფესიულ სტუდენტთა პირად საქმეში დაცული დოკუმენტების შეფასების მიზნით, დაწესებულებას მოვითხოვეთ წარმოედგინა წესი, რომლითაც განსაზღვრული იყო აპლიკანტთა მიერ წარსადგენი დოკუმენტები. გამომდინარე იქიდან, რომ მსგავსი დოკუმენტი მათ არ ჰქონდათ, რადგან ძალადაკარგულად იყო გამოცხადებული შპს „ქართულ-ამერიკულ საექთნო საზოგადოებრივ კოლეჯში“ პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, მიღებული განათლების აღიარების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების და საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების წესი, მათ დირექტორის 2022 წლის 31 იანვრის N02-61 ბრძანება ბათილად ცნეს დირექტორის 2022 წლის 14 აპრილის N02-68 ბრძანებით (ბრძანებას გამოცემის წელი არ აქვს მითითებული) (დანართი 10), რის შესაბამისად მოქმედი მარეგულირებელი დოკუმენტი გახდა დირექტორის 2017 წლის 31 იანვრის N02-07 ბრძანებით დამტკიცებული შპს „ქართულ-ამერიკულ საექთნო საზოგადოებრივ კოლეჯში“ პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, მიღებული განათლების აღიარების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების და საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების წესი. აღნიშნული წესით განსაზღვრულია, რომ „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით, პირმა კოლეჯის მიმღებ კომისიაში უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:







- ა) განცხადება შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მოთხოვნის თაობაზე (არასრულწლოვანის შემთხვევაში - აგრეთვე კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა);
- ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ორიგინალთან ერთად, რომელიც ასლის დედანთან შესაბამისობის დადასტურებისთანავე დაუბრუნდება წარმდგენს);
- გ) ორი ფოტოსურათი ზომით 3x4;
- დ) შესაბამისი განათლების დამადასტურებელი საბუთის ასლი (ზოგადი განათლების საბაზო საფეხური, სრული ზოგადი განათლება ან/და სხვა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნიდან გამომდინარე).“

პირადი საქმეების შეფასებისას გამოიკვეთა, რომ არცერთი აპლიკანტის განცხადება გატარებული არ არის რეგისტრაციის ჟურნალში. ამას ადასტურებს კოლეჯის წარმომადგენლებიც. შემთხვევითი შერჩევის პრინციპით სრულად შეფასდა პროფესიულ სტუდენტთა დაახლოებით მესამედის პირადი საქმეები. შეფასებისას გამოიკვეთა, რომ ერთი პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში დაცულია ცნობა, რომლითაც დასტურდება, რომ მან დაასრულა „საშუალო სკოლის სრული კურსი და დაიმსახურა საშუალო განათლების ატესტატი“ (დანართი 11). მიზანშეწონილია პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში დაცული იყოს შიდა მარეგულირებელი დოკუმენტით განსაზღვრული შესაბამისი განათლების დამადასტურებელი საბუთის ასლი.

გასათვალისწინებელია, რომ ამ ეტაპზე მოქმედია ერთი და იმავე საკითხების დამარეგულირებელი ორი დოკუმენტი, რომლებიც წინააღმდეგობაში მოდის ერთმანეთთან, გამომდინარე იქიდან, რომ განსხვავებულად არის დარეგულირებული შეფასების, მობილობის საკითხები და სხვა. მაგალითად, სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასებაა 100 ქულა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაანგარიშება ხდება კრედიტებით, მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის N121/ნ ბრძანების შესაბამისად და სხვა. შესაბამისად, მიზანშეწონილია დაწესებულებამ შესაბამისობაში მოიყვანოს შიდა მარეგულირებელი დოკუმენტი მოქმედ კანონმდებლობასთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
 ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



 45

გამომდინარე იქიდან, რომ პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილი არ არის კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა, ამ პირობებში სტანდარტის ინდიკატორი ფასდება როგორც „არ შეესაბამება“.


2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს. დირექტორის 2020 წლის 8 ივლისის N2-41 ბრძანებით დამტკიცებულია შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის (კომუნიკაციის) წესი. აღნიშნული რეგულაციით გაწერილია, რომ პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებას უზრუნველყოფს ამ ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირი. პროფესიულ სტუდენტებთან კომუნიკაციისთვის გამოიყენება კოლეჯის ფოსტა, ვებგვერდი, სოციალური ქსელი, კოლეჯის შენობის ღია სივრცე, სადაც გამოიკვრება შესაბამისი ინფორმაცია, სატელეფონო კავშირი. ასევე, ინფორმაციის მიწოდება ხდება აუდიტორიებში, პირდაპირი კომუნიკაციის გზით ან შეხვედრის ორგანიზებით.

დირექტორის 2022 წლის 31 იანვრის N02-62 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დებულებით გაწერილია, რომ პროფესიულ სტუდენტებთან საინფორმაციო და საორიენტაციო შეხვედრის ორგანიზებას ახორციელებს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის მენეჯერი. პროფესიულ სტუდენტებთან საინფორმაციო და საორიენტაციო შეხვედრის მიზანია პროფესიულ სტუდენტებს მიეწოდოთ ამომწურავი ინფორმაცია სასწავლო პროცესის, კოლეჯისა და პროფესიულ სტუდენტის თანამშრომლობის საკითხებზე. სასწავლო გარემოსთან პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციისა და მხარდაჭერის მიზნით, სასწავლო პროცესის დაწყებამდე პროფესიულ სტუდენტებს მიეწოდებათ კოლეჯის მიერ შემუშავებული „გზამკვლევი პროფესიული სტუდენტისათვის“. პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით დგინდება, რომ პირველივე სასწავლო დღეს განხორციელდა კოლეჯის ადმინისტრაციასთან შეხვედრა და მათთვის პროგრამასა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის მიწოდება.

3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, შეუძლიათ ისარგებლონ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დებულებით გაწერილია, პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და ამ შეფასების გასაჩივრების (აპელაციის) მექანიზმები, რომელიც მოიცავს პროცესის ძირითად ეტაპს, როგორიცაა: შეფასებიდან რამდენ ხანში აქვს სტუდენტს აპელაციის უფლება, რა ფორმით აკეთებს ამას და ვის მიმართავს კონკრეტულად, შემდეგ რა ნაბიჯებს დგამს დაწესებულება, რამდენ ხანში ინიშნება სტუდენტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

46




აპელაციის განხილვა, ვინ შედის სააპელაციო კომისიაში (რეგულაციით შემადგენლობაში გამორიცხულია ინტერესთა კონფლიქტი), რა უფლება-მოვალეობები აქვს სააპელაციო კომისიას და ბოლოს რა ფორმით მიდის დაინტერესებულ სტუდენტამდე მიღებული გადაწყვეტილება. დაწესებულებას შეფასების შედეგების გასაჩივრების შემთხვევები არ ჰქონია.

4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით გაწერილია მხარეთა უფლება-მოვალეობანი, ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები, მოქმედების ვადა და სხვა პირობები. ვიზიტის პერიოდში შეფასდა პროფესიულ სტუდენტებთან 2019 წლიდან გაფორმებული ხელშეკრულებები. დირექტორის 2022 წლის 15 თებერვლის N02-65 ბრძანებით დამტკიცებული შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ შინაგანაწესით განსაზღვრულია, რომ პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვისას კოლეჯის მიერ პროფესიულ სტუდენტთან, ხოლო არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში მის კანონიერ წარმომადგენელთან იდება ხელშეკრულება. პროფესიული სტუდენტი ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ გაეცნო/ინფორმირებულია კოლეჯში პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესს და თანახმაა საჭიროებისამებრ/ სასწავლო მიზნებისთვის, კოლეჯის მიერ დამუშავდეს, გამოყენებულ იქნეს მისი პერსონალური მონაცემები/ინფორმაცია. ამ თვალსაზრისით შეფასდა არსებული ხელშეკრულებები, თუმცა ხელშეკრულება პერსონალურ მონაცემთა დამუშავების შესახებ ინფორმაციას არ მოიცავენ. ამასთან, გაფორმებული ხელშეკრულებებით არ იკვეთება/გაწერილი არაა არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების თავისებურებები. დაწესებულების განმარტებით, არასრულწლოვანი სტუდენტები არ ჰყავთ. დაწესებულებას შინაგანაწესის შესაბამისად, ხელშეკრულებებში ცვლილებები არ განუხორციელებია და არც შესაბამისი ცვლილებით ხელშეკრულების შაბლონი წარმოუდგენია.

ხელშეკრულებებით იკვეთება, რომ 2019 წელს გაფორმებული ხელშეკრულების საგანია კოლეჯსა და პროფესიულ სტუდენტს შორის სასწავლო ურთიერთობების მოწესრიგება საექთნო საქმის (მოდულური) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში (დანართი 12, დანართი 13, დანართი 14). 2020 და 2021 წლებში გაფორმებული ხელშეკრულებებით გაწერილია, რომ „პროფესიული სტუდენტი გაივლის პროფესიული საგანმანათლებლო ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პრაქტიკოსი ექთნის (მოდულური) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას.“ თუ გავითვალისწინებთ ბრძანებებს, აპლიკანტები დირექტორის 2020 წლის 30 სექტემბრის N01-05, 2020 წლის 16 ოქტომბრის N01-09 და 2021 წლის 9 ოქტომბრის N01-11 ბრძანებებით ჩაირიცხნენ საექთნო საქმის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე (დანართი 15, დანართი 16, დანართი 17, დანართი 18, დანართი 19). შესაბამისად, ეს დოკუმენტები წინააღმდეგობაში მოდის ერთმანეთთან. ამასთან, 2021 წელს საექთნო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

47



საქმის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტები ჩაირიცხნენ სახელმწიფოს სრული დაფინანსებით, როდესაც ხელშეკრულებაში „ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ანაზღაურების წესი“ არის გაწერილი. შესაბამისად, გაწერილია სწავლის საფასურის გადახდის გრაფიკი (დანართი 20, დანართი 21).



ამ პირობებში სტანდარტი ფასდება როგორც „არ შეესაბამება“.

5. დირექტორის 2022 წლის 31 იანვრის N02-62 ბრძანებით დამტკიცებული შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულებით განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პირობები. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროება დგება მაშინ, როდესაც:

- სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტი/მსმენელი, ვერ აღწევს სწავლის შედეგებს.
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობით გადმოსული (გარე ან შიდა მობილობის შემთხვევაში) პროფესიული სტუდენტისთვის, რომლის სწავლის შედეგები განსხვავებულია კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებთან.
- პროფესიული სტუდენტი, რომელსაც შეჩერებული ჰქონდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი, აგრეთვე პროფესიული სტუდენტი, რომელსაც საპატიო მიზეზით გაუცდა (ავადმყოფობა, მშობიარობა და ა.შ.) სასწავლო პროცესი და მიზეზების აღმოფხვრის შემდეგ, საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას.

შემუშავებულ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი. მარეგულირებელი დოკუმენტით განსაზღვრულია, რომ პროფესიული სტუდენტი/მსმენელი უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში, ხოლო არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის/მსმენელის, შშმ პროფესიული სტუდენტის/მსმენელის შემთხვევაში - მისი კანონიერი წარმომადგენელი. სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნიდან გამომდინარე, პროფესიული სტუდენტი/კანონიერი წარმომადგენელი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური გეგმის შემუშავების პროცესში. შესაბამისად, მიზანშეწონილია რეგულაციაში შევიდეს შესაბამისი ცვლილება და გამოიკვეთოს ინდ. გეგმის შემუშავებაში მათი ჩართულობა.




ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვიზიტის ფარგლებში შეფასდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პრაქტიკა. კოლეჯის წარმომადგენლების თქმით, მათ ერთი სსსმ პროფესიული სტუდენტი ჰყავდათ, რომელმაც სასწავლო პროცესის დაწყებიდან მალევე მიატოვა სწავლა. შესაბამისად, მისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არ შემუშავებულა. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიმუშავეს მხოლოდ 2020 წელს ჩარიცხული ერთი ჯგუფისთვის (7 პროფესიული სტუდენტი), რომელსაც ორი ზოგადი მოდულის გავლა მოუწია პირველი სასწავლო წლის ბოლოს. მოდულები „საინფორმაციო ტექნოლოგიები - საექთნო საქმეში“ და „კომუნიკაცია საექთნო საქმეში“ არის 2-2 კრედიტიანი და ისინი პროფესიულმა სტუდენტებმა გაიარეს ორი კვირის განმავლობაში. გასათვალისწინებელია, რომ 100 საათიდან მხოლოდ 5 საათი ეთმობა დამოუკიდებელ სამუშაოს. პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულებით განსაზღვრულია, რომ მოდულების განხორციელებისას პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს 40 სთ კვირაში. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ორკვირიანი ინდ. გეგმა. შესაბამისად, 95 საათის 2 კვირაში გავლა შეუძლებელია (დანართი 22). ამასთან, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით არ იკვეთება, რომ პროფესიული სტუდენტები ჩართულნი იყვნენ ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების პროცესში. ასევე, გასათვალისწინებელია, რომ დირექტორის 2022 წლის 12 იანვრის N01-17 ბრძანებით საექთნო საქმის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით გადავიდა ერთი პროფესიული სტუდენტი, თუმცა მისთვის შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა დაწესებულებამ არ წარმოადგინა. მარეგულირებელი დოკუმენტით განსაზღვრულია, რომ გარე მობილობის მსურველმა პირმა განცხადებასთან ერთად უნდა წარადგინოს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების (მოდულების/შედეგების) დადასტურების დოკუმენტი. განცხადება ბრძანებას აქვს აკრული, ხოლო განცხადებაში მითითებული არ არის ინფორმაცია თანდართული დოკუმენტების შესახებ. შესაბამისად, მიზანშეწონილია დაწესებულებამ შიდა მარეგულირებელი დოკუმენტის შესაბამისად, უზრუნველყოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება და მათი შემუშავებისას პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობა (დანართი 23).

ამ პირობებში სტანდარტი ფასდება როგორც „არ შეესაბამება“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს „ქართულ-ამერიკულ საექთნო საზოგადოებრივ კოლეჯში“ პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, მიღებული განათლების აღიარების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების და საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების წესით;
- შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის (კომუნიკაციის) წესით;
- შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დებულებით;
- შემოსული და გასული ელექტრონული კორესპოდენციების აღრიცხვის ჟურნალით;
- შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ შინაგანაწესით;
- პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუს შედეგებით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით;
- გაფორმებული ხელშეკრულებებით;
- Eflow-თი მიღებული წერილით;
- დირექტორის ბრძანებებით;
- პირადი საქმეებით;

შეფასება:

- ☐ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☒ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:


50


3.2 პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები

3.2.1 პსდ-ში ფუნქციონირებს პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მომსახურება.



1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;
4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;
5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურებას.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად. დირექტორის 2022 წლის 15 თებერვლის N02-65 ბრძანებით დამტკიცებული შპს „ქართულ-ამერიკული საექტონო საზოგადოებრივი კოლეჯის“ შინაგანაწესით განსაზღვრულია, რომ პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია (საჭიროების ან მოთხოვნის შემთხვევაში) განმავითარებელი შეფასებების ეტაპზე, მიიღოს სათანადო კონსულტაცია და მხარდაჭერა მიღწევების გასაუმჯობესებლად. სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის მიერ განისაზღვრება დამატებითი კონსულტაციების ვადები და ფორმა, რომელიც პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს შეუძლია მიიღოს: როგორც სასწავლო გარემოში, ისე დისტანციური ფორმით, ჯგუფური ან ინდივიდუალური აქტივობების განხორციელების გზით. პროფესიულ სტუდენტს აღნიშნულის შესახებ ეცნობება პირადად ან მოკლექტესტური შეტყობინების გზით სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის/უფლებამოსილი პირის მიერ. აღნიშნულს ადასტურებს შესაბამისი პასუხისმგებელი პირი და პროფესიული სტუდენტები გასაუბრებისას. ისინი აღნიშნავენ, რომ შეფასების შესახებ ინფორმაციას დაახლოებით ერთი კვირით ადრე იღებენ მოკლექტესტური შეტყობინებით.

პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულებით განსაზღვრული აქვს პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალური ინფორმირების მექანიზმები მათი აკადემიური მიღწევების შესახებ. კერძოდ განსაზღვრულია, რომ დაუშვებელია ჯგუფში კონკრეტული პროფესიული სტუდენტის/მსმენელის შეფასების გასაჯაროება, თუ ამაზე პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს არ ექნება გამოხატული თანხმობა (სიტყვიერად ან წერილობით). ასეთ შემთხვევაში, მიზანშეწონილია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:


51




შედეგების განზოგადოებულად განხილვა. გასაუბრებისას, პროფესიული სტუდენტები ამბობენ, რომ ისინი ინდივიდუალურად იღებენ შეფასების შედეგების შესახებ ინფორმაციას.

2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. დირექტორის 2020 წლის 8 ივლისის N2-41 ბრძანებით დამტკიცებულია შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის (კომუნიკაციის) წესი. აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია, რომ კოლეჯის ვიზიტორებისთვის კეთილგანწყობილი გარემოს შექმნაზე ზრუნავს კოლეჯის ყველა თანამშრომელი, რომლებიც კომპეტენციის ფარგლებში ახდენენ ვიზიტორის დაკვალიანებას. ცნობიერების ამაღლების მიზნით, პროფესიული სტუდენტებისთვის და თანამშრომლებისთვის კოლეჯში პერიოდულად ტარდება სხვადასხვა ინფორმაციული შეხვედრები.

დირექტორის 2022 წლის 15 თებერვლის N02-65 ბრძანებით დამტკიცებული შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ შინაგანაწესით განსაზღვრულია, რომ კოლეჯი ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან, რა მიზნითაც კოლეჯში ტარდება გაცნობითი შეხვედრა პროფესიული სტუდენტის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმების გასაცნობად. საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის მენეჯერის ორგანიზებით და კოლეჯის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ, სასწავლო პროცესის დაწყებამდე გაცნობით შეხვედრაზე მათ მიეწოდებათ ინფორმაცია პროფესიულ სტუდენტთა სერვისების შესახებ, ეცნობიან კოლეჯის მისიას, ხედვას და ღირებულებებს, შინაგანაწესიდან, პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტებიდან მათთან შემხებლობაში მყოფ ინფორმაციას, ხელშეკრულების პირობებს, უსაფრთხოების და სხვა წესებს. გასათვალისწინებელია, რომ კოლეჯს შინაგანაწესით განსაზღვრული აქვს, რომ პროფესიულ სტუდენტებს აცნობს ხედვას და ღირებულებებს, რომლებიც დაწესებულებას შემუშავებული არ აქვს.

დირექტორის 2022 წლის 31 იანვრის N02-62 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დებულებით გაწერილია, რომ სასწავლო გარემოსთან პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციისა და მხარდაჭერის მიზნით, სასწავლო პროცესის დაწყებამდე პროფესიულ სტუდენტებს მიეწოდებათ კოლეჯის მიერ შემუშავებული „გზამკვლევი პროფესიული სტუდენტისათვის“. პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით დგინდება, რომ პირველივე სასწავლო დღეს განხორციელდა კოლეჯის ადმინისტრაციასთან შეხვედრა და მათთვის პროგრამასა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის მიწოდება. ასევე, პერიოდულად ხორციელდება შეხვედრებიც.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:


52



3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას. შეფასდა პროფესიული სტუდენტის მიერ დაწერილი განცხადებები სტუდენტის სტატუსის შეჩერებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებით და გამოიკვეთა, რომ სერვისის გაწევის მაქსიმალური ვადები არ აღემატება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადებს.

4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას. დირექტორის 2020 წლის 8 ივლისის N2-41 ბრძანებით დამტკიცებული შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის (კომუნიკაციის) წესით განსაზღვრულია, რომ კოლეჯში ხორციელდება პროფესიული სტუდენტების საგანმანათლებლო თუ სპორტული ინიციატივების ხელშეწყობა. კოლეჯის სივრცე ასევე შესაძლებელია გამოყენებული იყოს პროფესიული სტუდენტებისთვის გასართობი ღონისძიებების განსახორციელებლად. საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი პირი სხვა პასუხისმგებელ პირებთან ერთად, პასუხისმგებელია ორგანიზება გაუკეთოს აქტივობებს და შესაბამისი ინფორმაცია განათავსოს კოლეჯის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, Facebook გვერდზე და საჭიროების შემთხვევაში, საინფორმაციო დაფაზე.


დირექტორის 2022 წლის 15 თებერვლის N02-65 ბრძანებით დამტკიცებული შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ შინაგანაწესით განსაზღვრულია ინიცირების პროცედურა, განხილვის ვადა და პირობები, განხილვის შედეგების ინფორმირება. ინიციატივის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, ინიციატორს ასევე ეცნობება არგუმენტირებული უარი.

პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუებით დგინდება, რომ მათ სურთ ექსკურსიების ორგანიზება, კოლეჯიც ამასთან დაკავშირებით გამოხატავს მზაობას, თუმცა პანდემიის პირობებში მათ მსგავსი აქტივობები ჯერ ვერ განახორციელეს. ერთმა კურსდამთავრებულმა აღნიშნა, რომ 2019 წლის ბოლოს წინასაახალწლოდ ერთი ღონისძიების განხორციელება შეძლეს, თუმცა შემდეგ, პანდემიის გამო, აქტივობები არ განხორციელებულა.

5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურებას. დირექტორის 2020 წლის 28 ივნისის N02-49 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა კვლევის მეთოდოლოგია, რომლითაც განსაზღვრულია, რომ კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე, ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების მენეჯერი სხვა უფლებამოსილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

53



თანამდებობის პირებთან ერთად შეიმუშავებს რეკომენდაციებს კოლეჯის საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია პროფესიულ სტუდენტთა მიერ მასწავლებლისა და მოდულის შეფასების შედეგები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):


- შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის (კომუნიკაციის) წესით;
- შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დებულებით;
- პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამრთავრებულთა კვლევის მეთოდოლოგიით;
- პროფესიულ სტუდენტთა მიერ მასწავლებლისა და მოდულის შეფასების შედეგებით;
- შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ შინაგანაწესით;
- პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამრთავრებულთან ინტერვიუს შედეგებით;
- პასუხისმგებელ პირთან ინტერვიუს შედეგებით.


3.2.2 პსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის მომსახურება.

1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;
2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამრთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამრთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;
4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:






1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის. შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ შინაგანაწესით გაწერილია, რომ კარიერული მხარდაჭერის მიზნებისთვის კოლეჯში, კარიერული მხარდაჭერის მომსახურებაზე პასუხისმგებელია კოლეჯის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების მენეჯერი და საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის მენეჯერი, რომლებიც ატარებენ პროფესიულ კონსულტირებას.


დირექტორის 2020 წლის 8 ივლისის N2-41 ბრძანებით დამტკიცებული შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის (კომუნიკაციის) წესით განსაზღვრულია, რომ პირისპირ შეხვედრების ფორმატში კოლეჯის მიერ ხორციელდება სხვადასხვა პროექტის ფარგლებში საჯარო და კერძო სკოლებში ინფორმაციის გაზიარება, პროფესიული განათლების პოპულარიზაციისა და კოლეჯის პროგრამების რეკლამირების მიზნით. საინფორმაციო ტიპის შეხვედრებში საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის მენეჯერთან ერთად ჩართულია კოლეჯის სხვა თანამდებობის პირები, პროფესიული განათლების მასწავლებლები და სტუდენტები, რომლებიც ახდენენ საკუთარი გამოცდილების გაზიარებას და პროგრამების შესახებ დეტალური ინფორმაციის გავრცელებას. ამ ეტაპზე ამ აქტივობის განხორციელება შეუძლებელია.

კოლეჯი ასევე ზრუნავს სხვადასხვა პროექტებში პროფესიული სტუდენტების ჩართვაზე. ასევე მხარს უჭერს სხვადასხვა ორგანიზაციების, ფიზიკური და იურიდიული პირების, სააგენტოებისა და ასოციაციების მიერ მოწყობილ კონკურსებში, ტრენინგებში, კონფერენციებში, შეხვედრებში, ფორუმებსა და გამოფენებში პროფესიული სტუდენტების მონაწილეობას. კოლეჯის შესაბამის ონლაინ პლატფორმაზე ასევე თავსდება ინფორმაცია ვაკანსიების შესახებ. აღნიშნული დასტურდება შესაბამის პირებთან ინტერვიუებით.

2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. საზოგადოებასთან ურთიერთობის (კომუნიკაციის) წესით გაწერილია, რომ პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებას უზრუნველყოფს ამ ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირი. პროფესიულ სტუდენტებთან კომუნიკაციისთვის გამოიყენება კოლეჯის ფოსტა, ვებგვერდი, სოციალური ქსელი, კოლეჯის შენობის ღია სივრცე, სადაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:


55




გამოიკვრება შესაბამისი ინფორმაცია. ასევე, ინფორმაციის მიწოდება ხდება აუდიტორიებში, პირდაპირი კომუნიკაციის გზით ან შეხვედრის ორგანიზებით.


დირექტორის 2017 წლის 20 იანვრის N02-01 ბრძანებით დამტკიცებული შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ დებულებით, რომელშიც ერთ-ერთი ცვლილება განხორციელებულია დირექტორის 2018 წლის 2 ოქტომბრის N02-20 ბრძანებით, განსაზღვრულია რომ ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების მენეჯერი უზრუნველყოფს საექთნო სფეროში არსებულ დამსაქმებლებთან შესაბამისი ურთიერთობების ჩამოყალიბებას, მათ მონაწილეობას კოლეჯის საგანმანათლებლო და სხვა აქტივობებში, პროფესიულ სტუდენტთა სისტემატური შეხვედრების ორგანიზებას დამსაქმებლებთან. ასევე მისი ფუნქცია-მოვალეობაა ხელი შეუწყოს პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმებას, აქტიურად იმუშაოს კერძო სექტორთან კურსდამთავრებულების შემდგომი დასაქმების უზრუნველსაყოფად და წარუძღვოს კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა პროფესიულ ორიენტაციას. ინფორმაციის გადამოწმებით დგინდება, რომ ვაკანსიებზე ინფორმაცია განთავსებულია სოციალური ქსელის ჯგუფებში (დანართი 24).

3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით. დირექტორის 2020 წლის 28 ივნისის N02-49 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა კვლევის მეთოდოლოგია, რომლითაც განსაზღვრულია, რომ კურსდამთავრებულთა კვლევა წელიწადში ერთხელ ტარდება და შეისწავლის იმ კურსდამთავრებულებს, რომელთაც გამოკითხვის მომენტისთვის სწავლა დაახლოებით 1 წლის დასრულებული აქვთ. მეთოდოლოგია ასევე მოიცავს ინფორმაციას კვლევის ჩატარებაზე პასუხისმგებელი პირის, კვლევის ჩატარების პერიოდის, ძირითადი პარამეტრების შესახებ, რაც მოკვლეული იქნება გამოკითხვის შედეგად. საექთნო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში კოლეჯს კურსდამთავრებული არ ჰყავს. პრაქტიკოსი ექთნის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჰყავთ კურსდამთავრებულები, რომლებსაც კვალიფიკაცია 2021 წლის ნოემბერში მიენიჭათ.

პროფესიულ სტუდენტთა კვლევა ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტების კმაყოფილებისა და შედეგების გამოკვლევის მიზნით. კვლევის ამოცანებია: პროფესიული პროგრამებით კმაყოფილების შეფასება; სასწავლო პროცესით კმაყოფილების შეფასება; მასწავლებლებით კმაყოფილების შეფასება; დაწესებულების ინფრასტრუქტურით კმაყოფილების შეფასება; დაწესებულების მიმართ დამოკიდებულების შეფასება; პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

56




სტუდენტების მიღწევების შეფასება, მათი ჩართულობა პროფესიულ საზოგადოებაში და შესაბამის აქტივობებში. კვლევისას გამოიყენება კითხვარები, რომლებიც გამოკითხვის წინ მტკიცდება კოლეჯის დირექტორის მიერ. პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვას ახორციელებს და შედეგებს ანალიზებს ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების მენეჯერი.

მიზანშეწონილია დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდეს დამსაქმებელთა კვლევის მეთოდოლოგია. დამსაქმებლების კვლევის კითხვარში ძირითადი აქცენტი უნდა გაკეთდეს იმ დამატებით უნარ-ჩვევებზე (არსებობის შემთხვევაში), რომელსაც ითხოვს დამსაქმებელი ორგანიზაცია და შემდეგ უზრუნველყოს მათი ინტეგრირება სწავლების პროცესში.


4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმაჯობებს მომსახურების ხარისხს. დირექტორის 2020 წლის 28 ივნისის N02-49 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა კვლევის მეთოდოლოგიით განსაზღვრულია, რომ პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვას ახორციელებს და შედეგების ანალიზს უზრუნველყოფს ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების მენეჯერი. კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების მენეჯერი და სხვა უფლებამოსილი თანამდებობის პირები შეიმუშავენ რეკომენდაციებს კოლეჯის საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით.

ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების მენეჯერთან ინტერვიუებით დგინდება, რომ პროფესიული სტუდენტებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, პროგრამაში ცვლილებები არ განხორციელებულა, რადგან ამის საჭიროება არ დამდგარა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის (კომუნიკაციის) წესით;
- პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა კვლევის მეთოდოლოგიით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



57

- შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ შინაგანაწესით;
- შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ დებულებით;
- პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუს შედეგებით;

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4. ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას.


1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები განსაზღვრულია დირექტორის 2017 წლის 20 იანვრის N02-01 ბრძანებით დამტკიცებული შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ დებულებით, რომელშიც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

58



ბოლო ცვლილება შესულია დირექტორის 2021 წლის 2 სექტემბრის N02-54 ბრძანებით. დებულებით განსაზღვრულია თანამდებობის დასახელებების შესაბამისად მათი ფუნქცია-მოვალეობები და სტრუქტურული დაქვემდებარებები.



კოლეჯის მართვის ორგანოები: პარტნიორთა კრება, სამეთვალყურეო საბჭო, დირექტორი. კოლეჯის სტრუქტურის შემადგენლობაშია: სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი; ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების მენეჯერი; საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის მენეჯერი; იურისტი; ბიბლიოთეკარი; ფინანსური აღრიცხვის მენეჯერი; ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების მენეჯერი; ლოჯისტიკისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯერი; უსაფრთხოების საკითხთა და სამედიცინო სამსახური, რომელშიც შედიან უსაფრთხოების მენეჯერი და ექიმი/ექთანი.

კოლეჯის დირექტორის 2017 წლის 24 იანვრის №02-04¹ ბრძანებით დამტკიცებულია კოლეჯის საშტატო ნუსხა, რომლის მიხედვით თითოეულ თანამდებობაზე განსაზღვრულია მინიმუმ ერთი საშტატო ერთეული, გარდა სამეთვალყურეო საბჭოსი, რომელიც 5 ერთეულით არის დამტკიცებული. საშტატო ერთეულზე საკვალიფიკაციო მოთხოვნები გაწერილია დირექტორის 2017 წლის 2 თებერვლის N02-08 ბრძანებით დამტკიცებულ შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევის წესის დამტკიცებისა და ადმინისტრაციული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დადგენის დოკუმენტით.

დებულებით განსაზღვრულია კოლეჯის სტრუქტურა, რომელშიც პერიოდულად შედის ცვლილებები. ერთ-ერთი ცვლილებით, რომელიც განხორციელდა კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 2 სექტემბრის N02-54 ბრძანებით, ერთ-ერთ სტრუქტურული ერთეულის დასახელება შეიცვალა და ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით: „უსაფრთხოების საკითხთა და პირველადი გადაუდებელი დახმარების სამსახური“. დაწესებულებას ვებგვერდზე განთავსებული აქვს დაწესებულების სტრუქტურა, რომლითაც სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენს „უსაფრთხოების საკითხთა და სამედიცინო სამსახური“. შესაბამისად, სასურველია სტრუქტურაში შევიდეს ცვლილება და გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი.

დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პროგრამით პროგრამის ხელმძღვანელობა ევალება პროგრამის კოორდინატორს, ხოლო პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულებით პროგრამის ხელმძღვანელობა ევალება პროგრამის ხელმძღვანელს. შესაბამისად, სასურველია დოკუმენტებში გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:


59


დირექტორის 2022 წლის 15 თებერვლის N02-65 ბრძანებით დამტკიცებული შპს „ქართულ-ამერიკული საექტონო საზოგადოებრივი კოლეჯის“ შინაგანაწესით განსაზღვრულია, რომ ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების მენეჯერი ხელშეკრულების გაფორმებამდე პასუხისმგებელია გააცნოს პერსონალს შინაგანაწესი, პერსონალური მონაცემების დაცვის წესი და იმ პოზიციის სამუშაო აღწერილობა, რომელზეც ის არის დასაქმებული, ხოლო იურისტი პასუხისმგებელია ხელშეკრულების პირობების გაცნობაზე, რასაც პირი ადასტურებს ხელშეკრულებაზე ხელმოწერით.

2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ნაწილობრივ ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას. დოკუმენტების, პირადი საქმეების შესწავლისას, ასევე დაწესებულების წარმოდგენელთან გასაუბრებით დადგინდა, რომ 2021 წელს რიგ თანამშრომლებთან გაფორმებულია უვადო ხელშეკრულებები, ხოლო ზოგიერთ მათგანს პირად საქმეში უდევს 2017 წელს 1 წლის ვადით გაფორმებული ხელშეკრულება - კერძოდ, უსაფრთხოების მენეჯერს და ექიმის/ექთნის პოზიციაზე დასაქმებულ პირს. ვიზიტის პერიოდში, ამ პოზიციებზე დასაქმებულ პირებთან ვერ მოხერხდა გასაუბრება.

ამ პირობებში სტანდარტი ფასდება როგორც „არ შეესაბამება“.

3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების მენეჯერი, რომლის ფუნქციები გაწერილია კოლეჯის დებულებით. დებულებით ირკვევა, რომ ის მონაწილეობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში, საგანმანათლებლო პროგრამებში შესაბამისი ცვლილებების მომზადებაში. დირექტორის 2017 წლის 20 იანვრის N02-01 ბრძანებით დამტკიცებულ შპს „ქართულ-ამერიკული საექტონო საზოგადოებრივი კოლეჯის“ დებულებით, რომლის ცვლილებაც ასევე განხორციელდა დირექტორის 2018 წლის 2 ოქტომბრის 02-20 ბრძანებით, განსაზღვრულია, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების ინიცირების უფლება აქვს დირექტორს, სამეთვალყურეო საბჭოს, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერს, ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების მენეჯერს, პროფესიული განათლების მასწავლებლებს და კოლეჯის საგანმანათლებლო საქმიანობაში ჩართულ სხვა სუბიექტებს. კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის ინიცირებისას, კოლეჯის დირექტორის ბრძანებით იქმნება საკითხის შემსწავლელი/შესაბამისი პროექტის შემმუშავებელი საბჭო, რომლის შემადგენლობაში შესაძლებელია შედიოდნენ საკითხის ინიციატორები, კოლეჯის დირექტორი, სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



60




პროცესის მართვის მენეჯერი, ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების მენეჯერი და სხვა დაინტერესებული პირები/მოწვეული სპეციალისტები. საბჭოს მიერ შემუშავებული წინადადებები და შესაბამისი პროექტი წარედგინება კოლეჯის სამეთვალყურეო საბჭოს. სამეთვალყურეო საბჭო იხილავს საკითხს და თავის დადებით/უარყოფით დასკვნას და შესაბამის შენიშვნებს/ წინადადებებს წარუდგენს კოლეჯის დირექტორს. სამეთვალყურეო საბჭოს დასკვნის საფუძველზე, კოლეჯის დირექტორი იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას. გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამის დამატების საკითხის ინიცირების შემდეგ იქმნება საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც შესაძლოა შედიოდნენ დირექტორი და ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების მენეჯერი, იქმნება ინტერესთა კონფლიქტი, ვინაიდან აღნიშნულ საშტატო ერთეულებს უწევთ მათ მიერვე შესრულებული სამუშაოს შემოწმება და შეფასება. ასევე, პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულებით განსაზღვრულია, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების განხორციელება მოიცავს პროგრამაში ცვლილების/ცვლილებების პროექტის მომზადებას. პროგრამის პაკეტის მომზადებას ახორციელებს კოლეჯის დირექტორის მიერ, სამართლებრივი აქტით შექმნილი შესაბამისი სამუშაო ჯგუფი ან ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების მენეჯერი. ამ მხრივ გასათვალისწინებელია კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 17 სექტემბრის N02 საოქმო გადაწყვეტილება, რომლითაც განსაზღვრულია საექთნო საქმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა. მასში შედიან კოლეჯის დირექტორი და ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების მენეჯერი. სამუშაო ჯგუფს დაევალა კოლეჯის დირექტორისთვის საექთნო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროექტის წარდგენა (დანართი 31). ჯგუფის მიერ შემუშავებული პროექტი, რომლის წევრი დირექტორიცაა, დამტკიცდა დირექტორის 2021 წლის 23 სექტემბრის N02-56 ბრძანებით. გამომდინარე იქიდან, რომ კოლეჯში ხარისხზე პასუხისმგებელი პირი პასუხისმგებელია შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებაზე, მიზანშეწონილია ხარისხზე პასუხისმგებელი პირი არ იყოს ჩართული პროგრამის შემუშავების პროცესში. ამასთან სხვა თანამდებობის პირებთან მიმართებაშიც, მიზანშეწონილია გამოირიცხოს ინტერესთა კონფლიქტი.

ამ პირობებში სტანდარტი ფასდება როგორც „არ შეესაბამება“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევის წესის დამტკიცებისა და ადმინისტრაციული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დადგენის დოკუმენტით;
- დირექტორის 2017 წლის 24 იანვრის №02-041 ბრძანებით დამტკიცებული კოლეჯის საშტატო ნუსხით;
- შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ შინაგანაწესით;
- შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ დებულებით;
- პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუს შედეგებით;
- საოქმო გადაწყვეტილებით;
- პირადი საქმეებით.

4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას.


1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დირექტორის 2021 წლის 25 ნოემბრის N02-58 ბრძანებით დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დებულებით, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ძირითად პრინციპებსა და ღირებულებებს წარმოადგენს გუნდურობა, თანამშრომლობა, ინიციატივა და მოტივირება, ხოლო დირექტორის 2022 წლის 15 თებერვლის N02-65 ბრძანებით დამტკიცებული შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ შინაგანაწესით განსაზღვრულია, რომ შინაგანაწესი არეგულირებს კოლეჯსა და დასაქმებულს/შემსრულებელს შორის არსებულ შრომით/მომსახურებით და მის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

62



თანმდევე ურთიერთობებს. კოლეჯსა და პერსონალს შორის, შრომითი ურთიერთობები დამყარებულია მხარეთა თანასწორობის, ურთიერთპატივისცემის, კეთილსინდისიერებისა და კოლეგიალობის პრინციპებზე.


აღნიშნული რეგულაციებით კოლეჯს შემუშავებული აქვს პოლიტიკა ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა: კადრების მოზიდვა, შერჩევა, დანიშვნა, თანამშრომლის სოციალიზაცია და პროფესიული განვითარება. შრომითი ურთიერთობების რეგულირება ეფუძნება კოლეჯის შინაგანაწესს, რომელიც არეგულირებს კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა საკითხს. კერძოდ, სამუშაო კვირის ხანგრძლივობას, ყოველდღიური სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დროს, დასვენების ხანგრძლივობას, სამუშაოს ადგილს, შრომის ანაზღაურების გაცემის დროს და ადგილს, ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობას და მიცემის წესს, ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობას და მიცემის წესს, შრომის პირობების დაცვის წესს, წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის სახესა და გამოყენების პირობებს, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესსა და სხვა. დასაქმებულის სამუშაო აღწერილობა წარმოადგენს შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და პირი ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს მათი გაცნობის ფაქტს.

შრომითი ხელშეკრულებების და შინაგანაწესის შესწავლისას, დადგინდა, რომ დასაქმებულის ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულების შემთხვევაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებულია ხელფასის საათობრივი განაკვეთის 5%-ით გაზრდილი ოდენობით ანაზღაურება, ხოლო კოლეჯის შინაგანაწესით ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულების შემთხვევაში, ხელფასის საათობრივი განაკვეთის გაზრდა 1,1% -ით არის განსაზღვრული. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია დააზუსტოს და შესაბამისი ცვლილებები ასახოს ყველა იმ დოკუმენტში, რითიც რეგულირდება დასაქმებულის ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულების პირობები.

2. დირექტორის 2021 წლის 25 ნოემბრის N02-58 ბრძანებით დამტკიცებულია შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დებულება. აღნიშნული დებულებით განისაზღვრება კოლეჯში სათანადო კვალიფიკაციის პერსონალის შერჩევის, დასაქმების და ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებული საკითხები და პროცედურები. კოლეჯი უფლებამოსილია განახორციელოს პერსონალის მოზიდვა, როგორც შიდა, ისე გარე წყაროებიდან. პერსონალის მოზიდვის შიდა წყაროა კოლეჯში დასაქმებულთა პირადი რეკომენდაცია, ხოლო გარე წყაროა - კოლეჯის პარტნიორების რეკომენდაცია, ვაკანსიების საჯაროდ განთავსება სხვადასხვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

63



პორტალზე. კოლეჯში პერსონალის შერჩევა შესაძლებელია განხორციელდეს კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვითა და კოლეჯის დირექტორთან, ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების მენეჯერთან და სხვა შესაბამის პირთან გასაუბრებით. პერსონალის შერჩევა შესაძლებელია განხორციელდეს კონკურსის გზით. კონკურსის შემთხვევაში კოლეჯის დირექტორი განსაზღვრავს კონკურსის ჩატარების წესს, კონკურსის ჩატარების ვადას, საკონკურსო კომისიის შემადგენლობას და ფუნქციებს. პირი ვალდებულია, შრომითი ურთიერთობების დაწყებამდე და ხელშეკრულების (შრომითი ან მომსახურების) გაფორმებამდე, მოთხოვნის შემთხვევაში კოლეჯის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების მენეჯერს წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

- მოქმედი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- ავტობიოგრაფია/CV;
- განათლების ან/და პროფესიული კვალიფიკაციის დამადასტურებელი ან/და შრომითი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები;
- ცნობა შესაბამისი სახელმწიფო უწყებიდან სქესობრივ დანაშაულზე ნასამართლეობის შესახებ, რომელშიც მითითებული იქნება ინფორმაცია, მათ შორის, მოხსნილი ან/და გაქარწყლებული ნასამართლეობის შესახებ.

კოლეჯი უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში დამატებით მოთხოვოს კანდიდატს:


- ცნობა (ძველი) სამუშაო ადგილიდან;
- ცნობა ჯანმრთელობის შესახებ;
- ცნობა სამედიცინო - ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ;

არსებულ ადამიანურ რესურსთან ინტერვიუებით დადგინდა, რომ მათი უმეტესი ნაწილი შერჩეულია შიდა რეკრუტირების გზით. კერძოდ, კოლეჯის დაფუძნებამდე, კოლეჯში დასაქმებული პირების უმრავლესობა თანამშრომლობდა სხვა ორგანიზაციის საქმიანობის ფარგლებში. არსებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით მოხდა თანამშრომელთა და პროფესიულ მასწავლებელთა შერჩევა. კოლეჯის დირექტორთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ რამდენჯერმე ჰქონდა კოლეჯს გამოცხადებული ვაკანსია ხარისხის მართვის მენეჯერის პოზიციაზე, თუმცა უშედეგოდ.

არსებული რეგულაციები ითვალისწინებს სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლებთან შრომითი ხელშეკრულების დადებას. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია თანამშრომელთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

64



ხელშეკრულებებში ასახულია საქართველოს შრომის კოდექსის არსებითი პირობები (თანამდებობა და შესასრულებელი სამუშაოს სახე, სამუშაო ადგილი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა, ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულების ოდენობა და გაცემის წესი, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების გაცემის წესი).


საშტატო ერთეულზე საკვალიფიკაციო მოთხოვნები გაწერილია დირექტორის 2017 წლის 2 თებერვლის N02-08 ბრძანებით დამტკიცებული შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევის წესის დამტკიცებისა და ადმინისტრაციული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დადგენის დოკუმენტით. აღნიშნული დოკუმენტით გაწერილი არ არის დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს პარტნიორთა კრება. დირექტორის წლის 23 აგვისტოს N02-32 ბრძანებით, ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების მენეჯერის საკვალიფიკაციო მოთხოვნად განისაზღვრა „უმაღლესი განათლება, შესაბამისი (საგანმანათლებლო სფეროში ხარისხის უზრუნველყოფის) მიმართულებით მუშაობის 5 წლიანი გამოცდილება“. აღნიშნული ცვლილება ვრცელდება 2019 წლის 31 ივლისიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე. შესაბამისად, გამოდის რომ ბრძანებას აქვს უკუძალა. ასევე საკვალიფიკაციო მოთხოვნების დადგენის დოკუმენტით უსაფრთხოების მენეჯერს საკვალიფიკაციო მოთხოვნად გაწერილი აქვს „ზოგადი განათლება, არანაკლებ 1 წლიანი სამუშაო გამოცდილება“, როდესაც დაწესებულებას უნდა ჰყავდეს სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. შესაბამისად, შიდა მარეგულირებელ დოკუმენტში უნდა შედიოდეს ცვლილება და შესაბამისობაში მოდიოდეს კანონთან.

ექსპერტებმა შეისწავლეს საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან დასაქმებულ პირთა შესაბამისობა კოლეჯის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად. რიგ შემთხვევებში პირად საქმეში დაცული არ არის (4 პირის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მოთხოვნებით დადგენილი სამუშაო გამოცდილების ამსახველი დოკუმენტები. დაწესებულების განმარტებით, აღნიშნული წარმოადგენს ტექნიკურ ხარვეზს.

ამ პირობებში სტანდარტი ფასდება როგორც „არ შეესაბამება“.

3. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. კოლეჯის მართვის პოლიტიკა ერთგვარად აგებულია გუნდური მუშაობის პრინციპზე, ეს იქნება სსიპ-განათლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

65




ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში პროგრამის დამატებაზე განაცხადის წარდგენა თუ სამოქმედო გეგმით გაწერილ ღონისძიებებზე პასუხისმგებლობა. ასევე, ფუნქცია-მოვალეობებიდან გამომდინარე, თითოეული პირი ჩართულია პროცესებში, რაც პერსონალთან ინტერვიუებთან დასტურდება. დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუებისას, ყველა მათგანი ხაზს უსვამდა გუნდურობას და თანამშრომლობითი, პოზიტიური გარემოს არსებობას.


დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):


- შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევის წესის დამტკიცებისა და ადმინისტრაციული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დადგენის დოკუმენტით;
- შპს „ქართულ-ამერიკულ საექთნო საზოგადოებრივ კოლეჯში“ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დებულებით;
- შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ დებულებით;
- პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუს შედეგებით;
- შრომითი ხელშეკრულებებით;
- პირადი საქმეებით;
- შინაგანაწესით.

შეფასება:

- ☐ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☒ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





4.2 პერსონალის განვითარება

4.2.1 პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე.

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.


კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:


1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას. დირექტორის 2021 წლის 25 ნოემბრის N02-58 ბრძანებით დამტკიცებული შპს „ქართულ-ამერიკულ საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დებულებით განსაზღვრულია, რომ პერსონალის შეფასების მიზანია, პერსონალის შემდგომი პროფესიული განვითარება, აგრეთვე კოლეჯის საგანმანათლებლო საქმიანობის/სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებისთვის, პერსონალის ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვრა.


პერსონალის შეფასების სისტემა გულისხმობს ხარისხობრივ და რაოდენობრივ შეფასებას. პერსონალის შეფასება ხორციელდება წინასწარ შემუშავებული კითხვარებით. კითხვარებს შეიმუშავებს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების მენეჯერი და ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების მენეჯერი. პერსონალის კითხვარებით შეფასების პროცესს და მიღებული მონაცემების დაჯამებას ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების მენეჯერი. ეს უკანასკნელი ახორციელებს აგრეთვე შედეგების ანალიზს.

პროფესიული მასწავლებლების შეფასება ასევე ხდება საგაკვეთილო პროცესზე დასწრებით, რომელსაც ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების მენეჯერი. სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების მენეჯერი და ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების მენეჯერი ესწრება საგაკვეთილო პროცესს და აფასებს პროფესიული განათლების მასწავლებელს. მიღებული შედეგები წარედგინება კოლეჯის დირექტორს, რომელიც აღნიშნული შედეგების საფუძველზე იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:










დაწესებულებამ, აღნიშნული რეგულაციის მტკიცებულებად წარმოადგინა მხოლოდ, პერსონალის კმაყოფილების კვლევის ანგარიში, თუმცა თანამშრომელთა ან მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებების დადგენის მიზნით გატარებული რაიმე მტკიცებულება (საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება, ანგარიშები, სხვა) ვიზიტის პერიოდში ვერ წარმოადგინა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რეკომენდებულია კოლეჯმა დანერგოს ადმინისტრაციული პერსონალის თვითშეფასების კულტურა საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებთან მიმართებით და თვითშეფასების შედეგები გაითვალისწინოს შესაბამისი ადამიანური რესურსის განვითარების დაგეგმვისას.

დაწესებულების შინაგანაწესით რეგულირდება პროფესიული განვითარების ხელშეწყობის პირობები. კერძოდ, კოლეჯის ინტერესებიდან გამომდინარე, პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, კოლეჯი უზრუნველყოფს პერსონალის პროფესიულ განვითარებას სხვადასხვა მიმართულებით. პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება შესაძლოა განხორციელდეს სპეციალიზირებული სწავლების, ტრენინგის ან/და სტაჟირების ან სხვა გზით. თანამშრომელთა პირად საქმეებში განთავსებული იყო პროფესიული განვითარების მიზნით სხვადასხვა ტრენინგზე დასწრების სერტიფიკატები. ამასთან, განვითარების ერთწლიანი (2022წ.) სამოქმედო გეგმით, კოლეჯის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მექანიზმების გაუმჯობესება და რეალიზაცია წარმოადგენს კოლეჯის ერთ-ერთ ღონისძიებას.

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად. კოლეჯის ადამიანური რესურსის განვითარების პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით, პერსონალის კითხვარებით შეფასების პროცესს და მიღებული მონაცემების დაჯამებას ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების მენეჯერი, მიღებული შედეგები წარედგინება კოლეჯის დირექტორს. ასევე, კოლეჯის ერთწლიანი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია კოლეჯის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მექანიზმების გაუმჯობესება და რეალიზაცია.

3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით. დირექტორის 2022 წლის 15 თებერვლის N02-65 ბრძანებით დამტკიცებული შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ შინაგანაწესით განსაზღვრულია, რომ თანამშრომელი უფლებამოსილია კვალიფიკაციის ამაღლების საჭიროების/აუცილებლობის შესახებ მიმართოს კოლეჯის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:


68



დირექტორს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ან გადამზადების დაფინანსების შესახებ, პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების აუცილებლობის/მიზანშეწონილობის შეფასების საფუძველზე, მიმდინარე წლის ბიუჯეტის გათვალისწინებით. შესაბამისად, კოლეჯმა შესაძლოა ხარჯი გაიღოს სრულად ან ნაწილობრივ ან პერსონალს შესაძლოა უარი ეთქვას დაფინანსებაზე. კვალიფიკაციის ამაღლების პროცესის დასრულების შემდგომ, პერსონალი ვალდებულია კვალიფიკაციის ამაღლების დადებითი შედეგის დამადასტურებელი დოკუმენტი (დიპლომი, სერტიფიკატი) წარადგინოს კოლეჯში.


გასაუბრებით დასტურდება, რომ სისტემატურად ხორციელდება მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლება. მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლება ხორციელდება როგორც კოლეჯის შიდა რესურსით, ასევე, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მხარდაჭერით, რაც დასტურდება პირად საქმეებში სხვადასხვა სერტიფიკატის არსებობით.

4. დაწესებულების დირექტორთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ უკანასკნელ პერიოდში ახალი თანამშრომლის მიღება არ განხორციელებულა. შესაბამისად, მტკიცებულების სახით დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა ახალი თანამშრომლების ინტეგრაციის მიზნით განხორციელებული აქტივობების ამსახველი მტკიცებულება. აღსანიშნავია, რომ საკითხი არ არის დარეგულირებული დაწესებულების საქმიანობის მარეგულირებელი რომელიმე დოკუმენტით. მიზანშეწონილია დაწესებულებამ უზრუნველყოს ახალი თანამშრომლის სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის საკითხების გაწერა რომელიმე მარეგულირებელ დოკუმენტში.

5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. დირექტორის 2022 წლის 15 თებერვლის N02-65 ბრძანებით დამტკიცებული შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ შინაგანაწესით პერსონალის წახალისების ერთ-ერთ ფორმად განიხილება პროფესიული განვითარების დაფინანსება. შინაგანაწესით ასევე განსაზღვრულია, რომ თანამშრომელი უფლებამოსილია კვალიფიკაციის ამაღლების საჭიროების/აუცილებლობის შესახებ მიმართოს კოლეჯის დირექტორს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ან გადამზადების დაფინანსების შესახებ, პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების აუცილებლობის/მიზანშეწონილობის შეფასების საფუძველზე მიმდინარე წლის ბიუჯეტის გათვალისწინებით. შესაბამისად,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

69



არსებული მექანიზმის გათვალისწინებით პირს შეუძლია წარადგინოს მოთხოვნა პროფესიული განვითარების მიზნით დაფინანსების გამოყოფის შესახებ.


დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):


- შპს „ქართულ-ამერიკულ საექთნო საზოგადოებრივ კოლეჯში“ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დებულებით;
- შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ განვითარების ერთწლიანი (2022 წ.) სამოქმედო გეგმით;
- შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ შინაგანაწესით;
- პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუს შედეგებით;
- პერსონალის კვლევის კითხვარებით.

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა




5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერით, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდია N 01.17.13.039.005.01.503. კოლეჯი მდებარეობს ქალაქ თბილისში, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირზე,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

N65-ში, პირველ სართულზე. კოლეჯს (მოიჯარე) და მესაკუთრეს შორის გაფორმებულია იჯარის ხელშეკრულება 466.35 კვ.მ ფართზე. იჯარის ხელშეკრულება მოქმედია 2029 წლის 06 აპრილამდე.

ექსპერტების მიერ დათვალიერებულ იქნა და დადასტურდა ავტორიზაციის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო სივრცეების/ფართების ფლობა, რომლის თანახმად არსებული ფართი განაწილებულია შემდეგნაირად:




- თეორიული სწავლების აუდიტორიები;
- კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები;
- დარგობრივი სპეციფიკის შესაბამისი კაბინეტები;
- ადმინისტრაციული სივრცე/სამუშაო სივრცე პროგრამის განმახორციელებელი პირებისათვის;
- დასასვენებელი სივრცე პროფესიული სტუდენტებისათვის;
- სანიტარიული კვანძები, შშმ პირთათვის;
- ბიბლიოთეკა;
- საწყობი.

შენობას აქვს სავაკუაციო გასასვლელები, სველი წერტილები. სასწავლო აუდიტორიები აღჭურვილია სასწავლო პროცესისთვის საჭირო რესურსით, პროფესიული სტუდენტისა და პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო მაგიდებით, სკამებით, დაფებით და სხვა, რაც ასევე დასტურდება, მატერიალური რესურსის ფლობის დოკუმენტაციით.

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის. კოლეჯის შინაგანაწესით დარეგულირებულია მატერიალური რესურსის გამოყენება, რომლის მიხედვით სასწავლო პროცესით გათვალისწინებული მიზნებისთვის, კოლეჯი იძლევა ყველა პროფესიული სტუდენტის/მსმენელის, მათ შორის სსსმ და შშმ პირების, პერსონალის მიერ თანაბარი სარგებლობის შესაძლებლობას. კერძოდ, თანაბრად ხელმისაწვდომია კოლეჯის ინფრასტრუქტურა, სივრცეები, მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, საინფორმაციო საშუალებები, ბიბლიოთეკა და სხვა სასწავლო რესურსები.

ვიზიტის დროს, პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ აქვთ საშუალება საჭიროებისამებრ გამოიყენონ შესაბამისი მატერიალური რესურსი, რომელიც შეუფერხებლად მიეწოდებათ საგანმანათლებლო მიზნებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. დაწესებულების მიერ შემუშავებული და კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 14 აპრილის N 381¹ ბრძანებით დამტკიცებულია „ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელ ღონისძიებები“, რომლის თანახმად ამ პროცესზე პასუხისმგებლობა გადანაწილებულია კოლეჯის დამლაგებელზე, ხოლო ზედამხედველობა ევალება კოლეჯის უსაფრთხოების მენეჯერს. კოლეჯში დასაქმებულია საშტატო ნუსხით განსაზღვრული ერთი დამლაგებელი, რომელთანაც უვალო მომსახურების ხელშეკრულებაა დადებული. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა სივრცეში დაცული არის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, რაც დასტურდება დათვალიერებითაც.

დაწესებულებას შემუშავებული არ აქვს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი. შესაბამისად, სასურველია შემუშავდეს მექანიზმი, რომელშიც განსაზღვრული იქნება მაგალითად დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული სივრცეების, მათ შორის სასწავლო და სამუშაო სივრცეების დასუფთავები წესი და პერიოდულობა.




4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით. კერძოდ, კოლეჯის მფლობელობაში არსებული ფართი უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით, რომელიც დასტურდება ადგილზე დათვალიერებით.

5. კოლეჯის დირექტორის 2017 წლის 20 იანვრის N02-01 ბრძანებით დამტკიცებული კოლეჯის დებულებით განსაზღვრულია უსაფრთხოების საკითხთა და სამედიცინო სამსახური, რომელსაც უსაფრთხოების მენეჯერი და ექიმი/ექთანი წარმოადგენს. კოლეჯში ვიზიტის პერიოდში უსაფრთხოების მენეჯერთან და ექიმთან გასაუბრება ვერ მოხერხდა. მათი პირადი საქმეების წარმოდგენის შემდეგ, დადგინდა რომ მათთან შრომითი ხელშეკრულებები 2017 წელს არის დადებული ერთი წლის ვადით. ამასთან სხვა დოკუმენტები დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა. შესაბამისად, ვერც შესაბამისი კომპეტენციის მქონე შრომის უსაფრთხოების აკრედიტირებულ სპეციალისტთან თანაშრომლობის შესახებ მტკიცებულება იქნა წარმოდგენილი კოლეჯის მიერ.

ამ პირობებში სტანდარტი ფასდება როგორც „არ შეესაბამება“.

ამასთან, მიზანშეწონილია დაწესებულებამ შეიმუშავოს დასაქმებულთათვის შრომის უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნები (მექანიზმები), რომელიც დაადგენს შრომის დაცვის ძირითად მოთხოვნებს, დასაქმებულთა ძირითად ვალდებულებებსა და აკრძალვებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები. კერძოდ, კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 31 იანვრის N 02-62 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულებით განაზღვრულია კოლეჯის მატერიალური რესურსით და სასწავლო პროცესის მასალა-ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები. დადგენილია სასწავლო მიზნებისათვის საჭირო მასალა-ნედლეულის განსაზღვრის, შეძენის, მოთხოვნის და შენახვის, ასევე, სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაციის საკითხები.


7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეფასება კოლეჯში ხდება პერიოდულად, რომლის საფუძველზეც კოლეჯი ახორციელებს რესურსების გაუმჯობესებას, შეკეთება-განახლებას, შეძენას. კოლეჯის დებულებით, ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების მენეჯერის ფუნქციაა კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამების, პერსონალისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შეფასების პროცედურების შემუშავება. ვიზიტის პერიოდში წამორმოდგენილი იყო მიმდინარე წელს ჩატარებული კვლევის კითხვარები. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, მათი მხრიდან ხდება კვლევის შედეგების გათვალისწინება და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა.


8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის.

9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა. დაწესებულების ყველა სასწავლო ფართი, სადაც პროფესიულ სტუდენტებს და ადმინისტრაციულ პერსონალს უხდება მუშაობა, ასევე ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზი უზრუნველყოფილია როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათებით.

10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას. დაწესებულებაში არსებული სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს არ უშლის საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას. კოლეჯის ფართში არ არის ერთნაშენეთში გამავალი სასწავლო აუდიტორიები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:







11. დირექტორის 2017 წლის 13 თებერვლის N02-10 ბრძანებით დამტკიცებულია შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ ბიბლიოთეკის დებულება. ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობას და მის საქმიანობას წარმართავს ბიბლიოთეკის მენეჯერი (ბიბლიოთეკარი). ბიბლიოთეკარი პასუხისმგებელია კოლეჯის ბიბლიოთეკით მომსახურებაზე, ბიბლიოთეკის მატერიალურ-ტექნიკურ დაცვაზე, ბიბლიოთეკის თანამედროვე წიგნებით შევსებაზე. ბიბლიოთეკარის ფუნქცია შეთავსებული აქვს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების მენეჯერს. შერჩევითი პრინციპით გადამოწმებისას, წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით, თუმცა ვიზიტის პეროდში ვერ მოხდა ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნის მოძიება. დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით მიმდინარეობს წიგნადი ფონდის ელექტრონული კატალოგის შექმნა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- მოძრავი ქონების, მათ შორის, სასწავლო რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით (საგადახდო დავალებები, სასაქონლო ზედნადებები; მიღება - ჩაბარების აქტები; ს არგებლობის უფლებით ხელშეკრულებით);
- კორპორაცია „პარტნიორების საერთაშორისო განვითარებისთვის“ საქართველოს წარმომადგენლობასა და შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯს“ შორის 2017 წლის 06 აპრილს დადებული იჯარის ხელშეკრულების შეთანხმებით იჯარის მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ (02-104/1; 04.04.2022);
- კორპორაცია „პარტნიორების საერთაშორისო განვითარებისთვის“ საქართველოს წარმომადგენლობასა და შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯს“ შორის 2017 წლის 06 აპრილს დადებული იჯარის ხელშეკრულების შეთანხმებით მოძრავი ქონების სარგებლობის შესახებ (02-104/2; 06.04.2022);
- შპს „ქართულ-ამერიკულ საექთნო საზოგადოებრივ კოლეჯში ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დებულებით“;
- შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ ბიბლიოთეკის დებულებით;
- იჯარის ხელშეკრულების შეთანხმებით მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:


75


- თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით;
- პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუს შედეგებით;
- პერსონალის კვლევის კითხვარებით;
- საჯარო რეესტრიდან ამონაწერით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- შენობის აზომვითი ნახაზით;
- შინაგანაწესით.

5.1.2 კსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება.


1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები. კოლეჯის შენობის ტექნიკურ მდგრადობასთან დაკავშირებით კოლეჯმა წარმოადგინა სსიპ „კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის და სეისმო მედეგეობის ინსტიტუტის“ მიერ 2010 წლის 09 მარტს გაცემული ინსპექტირების ანგარიში (ქ. თბილისში, ქეთევან წამებულის N65-ში მდებარე ოთხსართულიანი ნაგებობის ნაწილის, კორპორაცია პარტნიორების საერთაშორისო განვითარებისთვის კუთვნილი ფართის, ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა და ჩასატარებელი სარეკონსტრუქციო სამუშაოების მიზანშეწონილობის შეფასება) შენობების მდგრადობის თაობაზე. ინსპექტირება ჩატარებულია „კორპორაცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
 ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

76



პარტნიორების საერთაშორისო განვითარებისთვის” დაკვეთით, ხოლო კოლეჯისათვის იჯარის ხელშეკრულების გაფორმება განხორციელებულია მდგრადობის დასკვნის გაცემის შემდეგ. შესაბამისად, კოლეჯის მფლობელობაში/სარგებლობაში არსებული ფართის მდგრადობა დადასტურებულია შესაბამისი ტექნიკური მდგრადობის დასკვნით.


სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით წარმოდგენილ იქნა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2019 წლის 27 ნოემბრის N2072 მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, დაფიქსირებული ხარვეზების აღმოფხვრის თაობაზე. ვიზიტის დროს განხორციელდა შენობის მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა ფართის დათვალიერება. დერეფნებში განთავსებულია სახანძრო დეტექტორები, დამონტაჟებულია ცეცხლმაქრები, სახანძრო სიგნალიზაცია, მოწყობილია საევაკუაციო გასასვლელები. დირექტორის განმარტებით, ყველა ხარვეზი აღმოფხვრილია და უსაფრთხოების დასკვნის მიღება ჯერჯერობით საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურიდან ვერ მოხერხდა, ვინაიდან დამატებით მოითხოვეს კოლეჯის საგანგებო სიტუაციების კორექტირებული გეგმა. ვიზიტის პერიოდში კოლეჯის დირექტორმა მტკიცებულების სახით წარმოადგინა შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში გაგზავნილი კორესპონდენცია ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით დამატებითი შემოწმების მოთხოვნის შესახებ (დანართი N37).

2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 02 სექტემბრის N02-55 ბრძანებით დამტკიცებულია პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესი. დაწესებულებაში არის პირველი დახმარების აღმოჩენის ოთახი, რომელშიც განთავსებულია პირველადი გადაუდებელი დახმარების საშუალებები. კოლეჯის საშტატო განრიგით გათვალისწინებულია ექიმის/ექთნის საშტატო ერთეული (სტრუქტურულად შედის უსაფრთხოების სამსახურში). კოლეჯის დებულებით განსაზღვრულია შესასრულებელი ფუნქცია-მოვალეობები. დაწესებულებამ წარმოადგინა ინციდენტების აღრიცხვის ჟურნალი. ვიზიტის დროს განხორციელდა გადაუდებელი დახმარების ოთახის ვიზუალური დათვალიერებაც. ექთნის პირადი საქმის შესწავლით დადგინდა, რომ მასთან შრომითი ხელშეკრულება 2017 წელს იყო დადებული ერთი წლის ვადით. ამასთან სხვა დოკუმენტი/მოქმედი ხელშეკრულება დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა, რითიც შესაძლოა დარეგულირებულიყო ექიმის/ექთნის მუშაობის საკითხი. შესაბამისად, სტანდარტი ფასდება როგორც „არ შეესაბამება“.

3. საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მიზნით, კოლეჯის სტრუქტურით გათვალისწინებულია უსაფრთხოების საკითხთა და სამედიცინო სამსახური, რომელთა შემადგენლობაში შედიან უსაფრთხოების მენეჯერი და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

77



ექიმი/ექთანი. კოლეჯის დირექტორის 2017 წლის 03 აპრილის №02-15 ბრძანებით დამტკიცებულია „საგანგებო სიტუაციების მართვის ღონისძიებების გეგმა“, თუმცა დაწესებულების მიერ ჯერ არ არის შეთანხმებული შესაბამის სამსახურთან (წარმოდგენილია გაგზავნილი კორესპონდენცია შეთანხმებაზე). უსაფრთხოების მენეჯერის პოზიციაზე დასაქმებული პირის პირადი საქმის შესწავლისას, წარმოდგენილი იყო 2017 წელს დადებული ხელშეკრულება ერთი წლის მოქმედების ვადით. ვიზიტის პერიოდში, უსაფრთხოების მენეჯერის პოზიციაზე დასაქმებულ პირთან ვერ მოხერხდა გასაუბრება. ამასთან, დირექტორის 2022 წლის 10 იანვრის 02-61 ბრძანებით დამტკიცებულია საგანგებო სიტუაციების, სახანძრო-სამაშველო ჯგუფის შემადგენლობა, რომლის შტაბის უფროსად განსაზღვრულია უსაფრთხოების მენეჯერი, როდესაც დაწესებულებას შრომის უსაფრთხოების აკრედიტირებული სპეციალისტი არ ჰყავს.

ამ პირობებში სტანდარტი ფასდება როგორც „არ შეესაბამება“.


4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას. დირექტორის 2021 წლის 02 სექტემბრის N02-55 ბრძანებით დამტკიცებულია პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესი. დაწესებულების მთელ პერიმეტრზე წესრიგის უზრუნველყოფის მიზნით შენობის მეიჯარე (კორპორაცია „პარტნიორების საერთაშორისო განვითარებისთვის“) იღებს ვალდებულებას შენობის დაცვის შესახებ. აღნიშნული განსაზღვრულია კოლეჯსა და მეიჯარეს შორის დადებულ საიჯარო ხელშეკრულებით. კოლეჯის შენობა-ნაგებობის შიდა და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია ვიდეოჩანაწერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილი უსაფრთხოების ვიდეო კამერები, რომელთა ადმინისტრირებაზე განსაზღვრულია შესაბამისი პირი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის და ფაქტობრივი მდგომარეობის გადამოწმებით დასტურდება, რომ დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისთვის გამოყენებულ მის მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს „ქართულ-ამერიკულ საექთნო საზოგადოებრივ კოლეჯში“ პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:


78

- სსიპ „კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის და სეისმო მედეგობის ინსტიტუტის“ მიერ 2010 წლის 09 მარტს გაცემული ინსპექტირების ანგარიშით;
- სამეთვალყურეო კამერების ფლობის დოკუმენტით - საგადახდო დავალება N1649163951; 1647851735;
- სახანძრო უსაფრთხოების სისტემის მონტაჟის დამადასტურებელი გადახდის ქვითრით - N 1647851545;
- შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის N 2072 მიწერილობით (27.11.2019);
- თანაშრომელთა პირადი საქმეებით და ხელშეკრულებებით;
- პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუს შედეგებით;
- საგანგებო სიტუაციების გეგმით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:



- ☐ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☒ არ შეესაბამება

5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:


79


5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია ჰსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. ჰსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:


1. ჰსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულების ფართი აღჭურვილია შესაბამისი ინფრასტრუქტურით, მათ შორის IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურით. დაწესებულებაში არსებული ინფრასტრუქტურა შესაბამისობაშია როგორც საგანმანათლებლო პროგრამებთან, ასევე ადმინისტრაციული პროცესების უზრუნველყოფასთან.


დაწესებულებაში შექმნილი IT ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ინტერნეტ მიწოდებას კოლეჯის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის, ბიბლიოთეკასა და სასწავლო აუდიტორიებში. ხელმისაწვდომია უსადენო ინტერნეტი (Wi-Fi). ინტერნეტ პროვაიდერთან მომსახურების ხელშეკრულება დადებული აქვს მეიჯარეს (კორპორაცია „პარტნიორების საერთაშორისო განვითარებისთვის“), რომელიც იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს კოლეჯი ინტერნეტით. აღნიშნული განსაზღვრულია კოლეჯსა და მეიჯარეს შორის დადებული საიჯარო ხელშეკრულებით.

2. ჰსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას. კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული შინაგანაწესით განსაზღვრულია ელექტრონული სისტემების გამოყენების და უსაფრთხოების, ასევე ელექტრონული კომუნიკაციების მონიტორინგის საკითხები. კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დებულება განსაზღვრავს, ლოჯისტიკისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯერის ფუნქციებსა და ვალდებულებებს.

3. დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 17 ივლისის N 02-46 ბრძანებით შეტანილი აქვს ცვლილება კოლეჯის საქმისწარმოების ერთიან წესში, რომლითაც განისაზღვრა პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხები, თუმცა დაწესებულებას კანონმდებლობით დადგენილი წესით მოპოვებული არ აქვს თანხმობები პროფესიული სტუდენტებისგან და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:


80



თანამშრომლებისგან, პერსონალურ მონაცემთა გამოყენების/დამუშავების შესახებ. პერსონალის შესახებ ინფორმაცია ასევე განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზე.


ამ პირობებში სტანდარტი ფასდება როგორც „არ შეესაბამება“.


4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით (IT მენეჯერი არ იმყოფებოდა საქართველოში. წარმოდგენილი იყო განცხადება დროებით არ ყოფნის შესახებ) დასტურდება, რომ პერიოდულად ხდება IT ინფრასტრუქტურაში გამოყენებული მოწყობილობების (კომპიუტერები, სვიჩები, ქსელი, კამერები) გამართულად მუშაობის მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში, ხდება პროგრამული გამართულობის უზრუნველყოფა. დაწესებულებას შტატით განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი პირი, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი სამუშაოების შესრულებას.

5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება. შინაგანაწესში გაწერილი მატერიალური რესურსით სარგებლობის რეგულაციის მიხედვით, განსაზღვრულია რესურსების ხელმისაწვდომობა თანამშრომლებისა და პროფესიული სტუდენტების/მსმენელებისათვის. აღნიშნული წესით განსაზღვრულია კომპიუტერული ტექნიკის როგორც ხელმისაწვდომობის, ასევე შეზღუდვის საკითხები, რომლებიც მიმართულია როგორც IT ტექნოლოგიების გამართული ფუნქციონირების, ასევე, მისი მიზნობრიობისაკენ.

6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით. დირექტორის 2020 წლის 8 ივლისის N2-41 ბრძანებით დამტკიცებულია შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის (კომუნიკაციის) წესი. აღნიშნული რეგულაციით გაწერილია, რომ პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებას უზრუნველყოფს ამ ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირი. პროფესიულ სტუდენტებთან კომუნიკაციისთვის გამოიყენება კოლეჯის ფოსტა, ვებგვერდი, სოციალური ქსელი, კოლეჯის შენობის ღია სივრცე, სადაც გამოიკვრება შესაბამისი ინფორმაცია, სატელეფონო კავშირი. ასევე, ინფორმაციის მიწოდება ხდება აუდიტორიებში, პირდაპირი კომუნიკაციის გზით ან შეხვედრის ორგანიზებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





დაწესებულებაში პერსონალსა და პროფესიულ სტუდენტებთან კომუნიკაციისთვის ძირითადად გამოყენებულია შიდა სოციალური ქსელები. გასაუბრებით დასტურდება, რომ დაწესებულება პროფესიულ სტუდენტებთან საკომუნიკაციოდ იყენებს სოციალურ ქსელს. ასევე, თითოეული მიღების ფარგლებში აქვთ ცალკეული საკომუნიკაციო ჯგუფები, სადაც ხდება ინფორმაციის განთავსება. პროფესიულმა სტუდენტებმა გასაუბრებისას დაადასტურეს, რომ დახურული ჯგუფების და სატელეფონო შეტყობინებით იღებენ ინფორმაციას სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):


- შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის (კომუნიკაციის) წესით;
- პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუს შედეგებით;
- საიჯარო ხელშეკრულებით;
- საქმისწარმოების წესით;
- შინაგანაწესით;
- დებულებით.

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

82



4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.



კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დირექტორის 2017 წლის 20 იანვრის N02-03 ბრძანებით დამტკიცებულია შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ საქმისწარმოების ერთიანი წესი, რომელიც არეგულირებს შემოსული და გასული კორესპონდენციის რეგისტრაციის და აღრიცხვის საკითხებს, დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებების რეგისტრაციის და აღრიცხვის წესს, ხელშეკრულებების აღრიცხვის წესს და სხვა. განსაზღვრულია საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელთანაც გაფორმებულია ხელშეკრულება. საშტატო ნუსხით და კოლეჯის დებულების თანახმად, საქმისწარმოებას უზრუნველყოფს ადამიანური რესურსების და საქმისწარმოების მენეჯერი. აღსანიშნავია, რომ დასაქმებულს ამავდროულად შეთავსებული აქვს კოლეჯის ბიბლიოთეკარის ფუნქციაც. სასურველია, დაწესებულებას საქმისწარმოების წესით განსაზღვრული ჰქონდეს ანგარიშგებისა და შემოსულ კორესპონდენციაზე რეაგირების პერიოდები და პროცედურა.

ვიზიტის პერიოდში ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა სხვადასხვა დოკუმენტაცია, რა დროსაც გამოიკვეთა რიგი შეუსაბამობა, კოლეჯში მოქმედ საქმისწარმოების ერთიანი წესთან მიმართებით. კერძოდ:

- საქმისწარმოების ერთიანი წესის მიხედვით, ბრძანებებს შინაარსის მიხედვით დაესმება ინდექსი: 01 - პროფესიული სტუდენტების შესახებ; 02 - სხვა დანაჩენი; ბრძანებების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ სტუდენტებთან დაკავშირებულ ყველა ბრძანებას, წესის შესაბამისად არ ჰქონდა ინდექსი დასმული (დანართი 22).
- გაფორმებული მოქმედი ხელშეკრულებების (პროფესიულ სტუდენტთა, თანამშრომელთა, პრაქტიკის ობიექტთან) ნუმერაციაც არ შეესაბამებოდა საქმისწარმოების წესს და ყველა ხელშეკრულება დანომრილია ერთიანი ინდექსით.
- კოლეგიალური სხდომის ოქმები ხელმოუწერელია და არ ხდება მათი რეესტრი.
- დაწესებულებაში არ იყო სტრუქტურული ერთეულების ან თანამშრომელთა სამსახურებრივი ბარათები, ანგარიშები, წარდგენები, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უმეტესად ზეპირსიტყვიერად ხდება ინფორმაციის გაზიარება. აღსანიშნავია, რომ დაწესებულება რეგისტრირებულია საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში (eflow), რომლის წარმოება და ადმინისტრირება კოლეჯში ძირითადად სახელმწიფო უწყებებიდან შემოსული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:






კორესპონდენციისთვის გამოიყენება, რომლის ხელახალი გატარება ხდება შემოსული კორესპონდენციის აღიცხვის ჟურნალში.

- დარღვეულია განცხადებების რეგისტრაციის პროცესიც. კერძოდ, არცერთი აპლიკანტის (ახლა უკვე პროფესიული სტუდენტის) განცხადება, არ არის რეგისტრირებული (გატარებული არ არის შემოსული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალში). საქმისწარმოების ერთიანი წესის მიხედვით, აპლიკანტის - კოლეჯში სწავლის მსურველის განცხადება უნდა გატარედეს სარეგისტრაციო ჟურნალში 03 ინდექსით, რაც არ ხდება (დანართი 20). ამას ადასტურებს კოლეჯის წარმომადგენლებიც.
- ბრძანებებს შინაარსის მიხედვით დაესმება ინდექსი 01 - ბრძანება პროფესიული სტუდენტის შესახებ. საქმისწარმოების წესის შესაბამისად, კოლეჯში გამოცემული ბრძანებების აღრიცხვა ხდება ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალებში, თუმცა დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, მათ 01 ინდექსით ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი არ აქვთ.
- დირექტორის მიერ გამოცემულ ბრძანებების უმრავლესობას არ აქვს აღწერილობითი ნაწილი (სამართლებრივი საფუძველი). მიზანშეწონილია ბრძანებას ჰქონდეს საკონსტატაციო ნაწილი, სადაც გადმოცემული იქნება ბრძანების გამოცემის მიზანი და ამოცანა და თუკი მისი გამოცემის საფუძველს წარმოადგენს სხვა საკანონმდებლო სამართლებრივი აქტი, საკონსტატაციო ნაწილში მიზანშეწონილია ისიც იყოს ასახული.
- ვიზიტის დროს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი (წარმოდგენილია ნაწილი) სარეგისტრაციო ჟურნალები ნაწარმოებია დადგენილი წესის შესაბამისად.
- შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ განვითარების ერთწლიანი (2022 წ.) სამოქმედო გეგმა დამტკიცებულია შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ დირექტორის 2021 წლის 17 დეკემბრის N02-58 ბრძანებით. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, კოლეჯიდან გამოთხოვილ დოკუმენტაციაზე/ბრძანებაზე ზემოაღნიშნული რეკვიზიტია დატანილი, თუმცა ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ წარმოადგინა სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ დირექტორის ბრძანება შემდეგი რეკვიზიტებით - #02-58¹/17.12.2021 (რეკვიზიტის ნაწილი/პრიმა მუხლი ხელით არის დატანილი). დირექტორის 2021 წლის 25 ნოემბრის N02-58 ბრძანებით დამტკიცებულია შპს „ქართულ-ამერიკულ საექთნო საზოგადოებრივ კოლეჯში“ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დებულება. აღნიშნული რეკვიზიტით არის გამოგზავნილი ცენტრში ადამიანური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

84




რესურსების მართვის პოლიტიკის დებულებაც (დანართი 25, დანართი 26). შესაბამისად, რთულდება რეკვიზიტების იდენტიფიცირება იმ პირობებში, რომ ელექტრონული საქმისწარმოება თითქმის არ ხორციელდება კოლეჯში.

- პროფესიულ სტუდენტთა პირად საქმეში დაცული დოკუმენტების შეფასების მიზნით, დაწესებულებას მოვთხოვეთ წარმოედგინა წესი, რომლითაც განსაზღვრული იყო აპლიკანტთა მიერ წარსადგენი დოკუმენტები. გამომდინარე იქიდან, რომ მსგავსი დოკუმენტი მათ არ ჰქონდათ, რადგან ძალადაკარგულად იყო გამოცხადებული შპს „ქართულ-ამერიკულ საექთნო საზოგადოებრივ კოლეჯში“ პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, მიღებული განათლების აღიარების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების და საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების წესი, მათ დირექტორის 2022 წლის 31 იანვრის N02-61 ბრძანება ბათილად ცნეს დირექტორის 2022 წლის 14 აპრილის N02-68 ბრძანებით (ბრძანებას გამოცემის წელი არ აქვს მითითებული, თუმცა ვიზიტის პერიოდში იქნა გამოცემული) (დანართი 10), რის შესაბამისად მოქმედი მარეგულირებელი დოკუმენტი გახდა დირექტორის 2017 წლის 31 იანვრის N02-07 ბრძანებით დამტკიცებული შპს „ქართულ-ამერიკულ საექთნო საზოგადოებრივ კოლეჯში“ პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, მიღებული განათლების აღიარების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების და საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების წესი.
- ვიზიტის ფარგლებში ასევე გაირკვა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2022 წლის 29 მარტს შევიდა შპს ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის წერილი (ცენტრში რეგისტრაციის N323419), რომლითაც ენობრივი სისწორის თვალსაზრისით, შესათანხმებლად წარდგენილი იყო ამავე დაწესებულების განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის - დიპლომის ფორმის პროექტი. აღნიშნული განცხადებით წარმოდგენილი იყო შპს ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის ქართული და ინგლისური დასახელების საიდენტიფიკაციოდ, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერი. ამონაწერში მითითებული ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი დასახელება არ იყო თანხვედრაში. კერძოდ, ქართულენოვან ტექსტში მითითებული ტერმინი - „საზოგადოებრივი“, არა იყო ასახული ინგლისურენოვან ტექსტში, როგორც ამონაწერში, ასევე დიპლომის ფორმის ნიმუშში. ამ მიზნით, დაწესებულებამ დირექტორის 2022 წლის 14 აპრილის N02-72 ბრძანებით (ბრძანებას გამოცემის წელი არ აქვს მითითებული, თუმცა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

85



ვიზიტის პერიოდში იქნა გამოცემული) დაამტკიცა შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ პროფესიული სტუდენტებისთვის გასაცემი დიპლომის ნიმუში, სადაც ინგლისურენოვან ტექსტში უკვე იკითხება „საზოგადოებრივი“ (დანართი 27). ასევე დაწესებულების მიერ წარმოდგენილია წერილები სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ინფორმირების შესახებ (დანართი 30).




ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სტანდარტი ფასდება როგორც „არ შეესაბამება“.

2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის. კერძოდ დაწესებულება საზოგადოებასთან შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების მიზნით იყენებს ელექტრონულ ფოსტას gancollege@gmail.com, რომელიც კოლეჯის საზოგადოებასთან ურთიერთობის წესის მიხედვით არის განსაზღვრული. კოლეჯი ჩართულია ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა Eflow-ში და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში E-vet.emis.ge-ში. სხვადასხვა კვლევების ჩატარების მიზნით, კოლეჯი იყენებს „google forms“ პლატფორმას.

3. შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ დებულებით, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2017 წლის 20 იანვრის N02-01 ბრძანებით, განსაზღვრულია, რომ ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების მენეჯერის ფუნქცია-მოვალეობაა საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში შეიტანოს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის შესახებ კანონმდებლობით გათვალისწინებული მონაცემები. ვიზიტის ფარგლებში, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში შერჩევითად შეფასდა პროფესიულ სტუდენტებთან დაკავშირებული მონაცემების, კანონდებლობის შესაბამისად ასახვა და გამოიკვეთა შემდეგი:

- დირექტორის 2022 წლის 10 იანვრის N01-16 ბრძანებით, ერთ-ერთ პროფესიულ სტუდენტს შეჩერებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსი, დირექტორის 2017 წლის 31 იანვრის N02-07 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე. აღნიშნული წესის მე-6 მუხლით შეჩერების საფუძველია გაწერილი. კერძოდ გაწერილია შემდეგი: „საქართველოს კანონმდებლობითა და კოლეჯის შესაბამისი სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა შემთხვევები“, როდესაც განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში აღნიშნულ პროფესიულ სტუდენტს დირექტორის 2022 წლის 10 იანვრის N01-15 ბრძანებით შეწყვეტილი აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსი (დანართი 28).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:


86




- დირექტორის 2021 წლის 2 ნოემბრის N01-13/1 ბრძანებით პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია მიენიჭა 8 პროფესიულ სტუდენტს. ბრძანების გამოცემის თარიღში გაპარულია ტექნიკური ხარვეზი და მითითებულია „2.11.20212“. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მეშვეობით შეფასდა პროფესიულ სტუდენტებთან დაკავშირებული მონაცემების კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანა და გამოიკვეთა, რომ კურსდამთავრებულის სტატუსის ამოქმედების თარიღია 2021 წლის პირველი ნოემბერი, ხოლო ბრძანების ნომერია 01-30. ამასთან ერთ-ერთი პროფესიული სტუდენტის გვარში შეცდომაა. ერთი ასო ბრძანებაში არასწორადაა შეტანილი (დანართი 29).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით პსდ ვერ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას, რის საფუძველზეც სტანდარტი ფასდება როგორც „არ შეესაბამება“.

4. საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელია განათლების სამინისტრო, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა, მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. შესაბამისად მათთან გამართული კომუნიკაციის უზრუნველყოფას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. შერჩევითი პრინციპით, მიღებული და გაგზავნილი კორესპონდენციის, გაგზავნილი ანგარიშების შემოწმების საფუძველზე იკვეთება, რომ პსდ დროულად არ აწვდის უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს. მაგალითად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/5 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები, რომლის 28-ე მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო დაწესებულებები ვალდებული იყვნენ 2021 წელს, რეგისტრაციის დაწყებამდე უზრუნველყოთ ამ წესის მოთხოვნებთან შესაბამისობა და აღნიშნულის თაობაზე სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ინფორმირება. აღნიშნულის თაობაზე, კოლეჯს დამატებით მიეწოდა ინფორმაცია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან. წერილით განსაზღვრულია, რომ რეგისტრაციის დაწყებამდე (2021 წლის 10 ივლისი) მათ უნდა უზრუნველყოთ თავიანთი წესის შესაბამისობა ახალ წესთან და არაუგვიანეს 12 ივლისისა ოფიციალურად უნდა გაეგზავნათ ინფორმაცია ცენტრში, შესაბამისი უზრუნველყოფის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:


87



(დანართი 4). აღნიშნული წერილი eflow-ს მეშვეობითაა მიღებული და ასევე გატარებულია შემოსული და გასული ელექტრონული კორესპოდენციების აღრიცხვის ჟურნალში, თუმცა ეს წესი ვიზიტის პერიოდამდე შემუშავებული არ იყო. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სტანდარტი ფასდება როგორც „არ შეესაბამება“.




დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ საქმისწარმოების ერთიანი წესით;
- შემოსული და გასული ელექტრონული კორესპოდენციების აღრიცხვის ჟურნალით;
- საქმისწარმოების/დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემით - E-flow;
- განათლების მართვის საინფორმაციო სისტემით;
- პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუს შედეგებით;
- დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებებით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- პირადი საქმით.

5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას.

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირის პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:


1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი www.ganc.ge და სოციალური ქსელის გვერდი <https://www.facebook.com/GeorgianAmericanNursingCollege> ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. მათზე განთავსებულია დაწესებულების საკონტაქტო ინფორმაცია, ასევე ინფორმაცია დაწესებულების საქმიანობისა და მის მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ. ვებგვერდი იძლევა მარტივი ნავიგაციის შესაძლებლობას. ამისათვის ინფორმაცია განთავსებულია ლოგიკურად დაჯგუფებულ და დასათაურებულ რუბრიკებში. ასევე არსებობს სიტყვით ძებნის ფუნქციაც. ვებგვერდზე განთავსებულია დაწესებულების სტრუქტურა, დაწესებულების მისია, ინფორმაცია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულების შესახებ, ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი.

ვებგვერდის შესწავლით იკვეთება, რომ არ ხდება მისი რეგულარულად და გონივრულ ვადებში განახლება. ბოლო სიახლე თარიღდება 2021 წლის 04 სექტემბრით. ასევე, ვებგვერდზე არ განახლებულა საექთნო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, მასში შესული ცვლილებების შესაბამისად, რადგან მასზე განთავსებულია 2019 წელს დამტკიცებული პროგრამა, ასევე, 2019 წლის სამოქმედო გეგმა და სხვა. დაწესებულების ვებგვერდის შესწავლით ასევე იკვეთება, რომ მასზე განთავსებული არ არის სასწავლო პროცესთან დაკავშირებული რეგულაციები, დაწესებულების წლიური ანგარიშები, წლების მითითებით, ინფორმაცია პროფესიული სტუდენტებისთვის, მათ შორის სსსმ პირებისთვის ხელმისაწვდომი სერვისების შესახებ, ინფორმაცია სასწავლო შესაძლებლობების და სერვისების შესახებ (სწავლების ალტერნატიული ფორმები, დამატებითი ფასიანი თუ უფასო კურსები, ტრენინგები და სხვა).

დირექტორის 2020 წლის 8 ივლისის N2-41 ბრძანებით დამტკიცებული შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის (კომუნიკაციის) წესით განსაზღვრულია, რომ ვებგვერდზე განთავსებულია „სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, როგორცაა სასწავლო პროცესის მანევრული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

89



სხვადასხვა აქტები“, რაც არ დასტურდება ვებგვერდის შესწავლით. პერონალზე ინფორმაცია არის განთავსებული ვებგვერდზე, თუმცა მათი მხრიდან თანხმობები პერსონალურ მონაცემთა გასაჯაროების შესახებ, დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა.



მიზანშეწონილია ვებგვერდზე ინფორმაციის განახლება მოხდეს რეგულარულად და გონივრულ ვადებში. კერძოდ, შინაგანაწესით განსაზღვრულია, რომ ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების მენეჯერი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ვალდებულია შინაგანაწესში შესული ცვლილებები, ცვლილებების შეტანიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში გააცნოს კოლეჯის პერსონალს და პროფესიულ სტუდენტებს, რაც შესასრულებლად სავალდებულო ხდება თითოეული მათგანისათვის. საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის მენეჯერი ვალდებულია შინაგანაწესი განათავსოს კოლეჯის ვებგვერდზე. აღნიშნულის გადამოწმების შემდეგ დგინდება, რომ ვებგვერდზე განთავსებულია დირექტორის 2017 წლის 27 იანვრის N02-06 ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესი, როდესაც უკვე მოქმედია დირექტორის 2022 წლის 15 თებერვალის N02-65 ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სტანდარტი ფასდება როგორც „არ შეესაბამება“.

2. დაწესებულების მისიას წარმოადგენს საერთაშორისო შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროფესიული კვალიფიკაციის სპეციალისტების მომზადება და საგანმანათლებლო და პროფესიული საქმიანობის კონტროლისა და ხარისხის მართვის ამერიკული და ევროპული სისტემების ამოქმედება. შესაბამისად, დაწესებულებას აქვს ინგლისურენოვანი ვებგვერდი, რომელზეც განთავსებულია ინგლისურ ენაზე სხვადასხვა სახის ინფორმაცია. მათ შორის, მისია, მიზანი და ამოცანები, საკონტაქტო ინფორმაცია და სხვა.

3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად, პსდ-მ უნდა უზრუნველყოს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელება. დირექტორის 2020 წლის 8 ივლისის N2-41 ბრძანებით დამტკიცებული შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის (კომუნიკაციის) წესით განსაზღვრულია, რომ ვებგვერდზე განსათავსებლად საჭირო ინფორმაცია ვებგვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელ პირს - საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის მენეჯერს მიეწოდება კონკრეტულ აქტივობაზე პასუხისმგებელი პირის მიერ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვიზიტის პერიოდში შეფასდა ვებგვერდი და გამოიკვეთა, რომ მასზე განთავსებული არ არის განახლებული მარეგულირებელი დოკუმენტები. ასევე, კატალოგში საექთნო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ინფორმაცია, ანონსის სახით იყო გაწერილი, როდესაც პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს N192 გადაწყვეტილებით, ამ პროგრამის განხორციელების უფლება დაწესებულებამ ჯერ კიდევ 2019 წლის 17 სექტემბერს მოიპოვა. ასევე, კატალოგში ვხვდებით შემდეგ ჩანაწერს: „მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: ა) ასოცირებული ხარისხი საექთნო საქმეში/Associate Degree in Nursing (ამოქმედდეს 2020 წლის 29 თებერვლიდან) ბ) მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში/Fifth Level Vocational Qualification in Nursing (მოქმედების ვადა 2020 წლის 29 თებერვალი).“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 27 თებერვლის N41 გადაწყვეტილებით ცვლილება შევიდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს N192 გადაწყვეტილებაში და მისანიჭებელ პროფესიულ კვალიფიკაციად განისაზღვრა „უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილი არ არის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელება. ამასთან, იკვეთება რომ არ ხდება ვებგვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირისთვის, კონკრეტულ აქტივობაზე პასუხისმგებელი პირის მიერ ინფორმაციის გონივრულ ვადებში მიწოდება.


ამ პირობებში სტანდარტი ფასდება როგორც „არ შეესაბამება“.

4-5. დაწესებულებას კატალოგი განთავსებული აქვს კოლეჯის ვებგვერდზე www.ganc.ge . გამომდინარე იქიდან, რომ საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ, მასში მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების მისიის, ამოცანების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტების, შეფასების წესის და პარტნიორი/პრაქტიკის ობიექტების შესახებ.

ვიზიტის პერიოდში, კატალოგში საექთნო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ინფორმაცია, ანონსის სახით იყო გაწერილი, როდესაც პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს N192 გადაწყვეტილებით, ამ პროგრამის განხორციელების უფლება დაწესებულებამ ჯერ კიდევ 2019 წლის 17 სექტემბერს მოიპოვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

91







კატალოგში ვხვდებით ასევე შემდეგ ჩანაწერს: „მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: ა) ასოცირებული ხარისხი საექთნო საქმეში/Associate Degree in Nursing (ამოქმედდეს 2020 წლის 29 თებერვლიდან) ბ) მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში/Fifth Level Vocational Qualification in Nursing (მოქმედების ვადა 2020 წლის 29 თებერვალი).“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 27 თებერვლის N41 გადაწყვეტილებით ცვლილება შევიდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს N192 გადაწყვეტილებაში და მისანიჭებელ პროფესიულ კვალიფიკაციად განისაზღვრა „უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში“. კატალოგი ასევე მოიცავს ინფორმაციას პრაქტიკოსი ექთნის (მოდულური) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიღებად რეჟიმში განხორციელების შესახებ, როდესაც ეს პროგრამა 2021 წელს დასრულდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამების კატალოგი არ ახლდება ყოველწლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად.

ამ პირობებში, სტანდარტი ფასდება როგორც „არ შეესაბამება“.

6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირის პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. დირექტორის 2020 წლის 8 ივლისის N2-41 ბრძანებით დამტკიცებული შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის (კომუნიკაციის) წესით განსაზღვრულია, რომ საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებული უკუკავშირის შედეგები გამოიყენება საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. კერძოდ, ხორციელდება სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებით შემოსული შეკითხვების, ინიციატივებისა და შენიშვნების ანალიზი. ანალიზს წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი პირი, საკითხთან დაკავშირებული თანამშრომლების ჩართულობით. საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის მენეჯერთან ინტერვიუებით დასტურდება, რომ უკუკავშირის შედეგად (ძირითადად სოციალური ქსელებიდან) მიღებული ინფორმაცია, მუშავდება და თუ გამოიკვეთება ცვლილების საჭიროება, შემუშავდება შესაბამისი ანგარიში და წარედგინება დირექტორს განსახილველად. აქამდე ცვლილების საჭიროება არ დამდგარა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის (კომუნიკაციის) წესით;
- შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ საგანმანათლებლო პროგრამის აღწერილობით (კატალოგი);
- შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ დებულებით;
- პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუს შედეგებით;
- ვებგვერდით www.ganc.ge.

შეფასება:



- ☐ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☒ არ შეესაბამება

5.3 ფინანსური რესურსები

5.3.1 დაწესებულება ფინანსურად მდგრადია.

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;
2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;
4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია პროგრამის განხორციელების წლიური საპროგნოზო ბიუჯეტი. ფინანსურ მენეჯერთან და კოლეჯის დირექტორთან გასაუბრებით იკვეთება, რომ გასულ წლებში პროფესიულ სტუდენტთა სიმცირის გამო შემოსავლები დაბალი იყო. მიმდინარე წლიდან გაიზარდა დაფინანსება, რაც სტუდენტთა მზარდმა კონტიგენტმა გამოიწვია. დაწესებულების მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმით არ არის განსაზღვრული სხვადასხვა აქტივობების განხორციელებისთვის ბიუჯეტი და მათი წყარო. შესაბამისად, გაურკვეველია როგორ იქნება ფინანსური რესურსი გადანაწილებული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით განსაზღვრული აქტივობების განხორციელებაზე. შესაბამისად, მიზანშეწონილია სამოქმედო გეგმებით განისაზღვროს აქტივობისთვის საჭირო ფინანსური რესურსი.
2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით, რასაც ადასტურებს ინტერვიუებისას ფინანსური მენეჯერი. საოპერაციო ხარჯები გათვალისწინებულია პროგრამის ბიუჯეტის შემუშავებისას, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამის ბიუჯეტით.
3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას. კერძოდ, საგანმანათლებლო დაწესებულებას ფინანსური აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიშგების პორტალზე განთავსებული აქვს ფინანსური ანგარიში.
4. დაწესებულებამ წარმოადგინა სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, თუმცა ანგარიში მოიცავდა 2021 წელს განხორციელებული აქტივობების ზოგად აღწერას. ამასთან, სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში კოლეჯის ვებ-გვერდზე არ არის განთავსებული. რეკომენდებულია დაწესებულებამ ყოველი წლის ბოლოს შემუშავებული სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში გამოაქვეყნოს ვებ-გვერდზე. აღნიშნული ანგარიშის და საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტური შეფასების შედეგად, მნიშვნელოვანია დაიგეგმოს შემდგომი აქტივობები და სათანადო რეაგირება მოხდეს შეფასების შედეგებზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



94


დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):


- ფინანსური აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიშგების პორტალზე განთავსებული ფინანსური ანგარიშით;
- გრძელვადიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმებით;
- პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუს შედეგებით;
- სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშით;
- პროგრამის ბიუჯეტით.

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:







XII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	საექთნო საქმე
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	დამტკიცების ბრძანება № 02-56 23.09.2021 წელი
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი N65
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	105 პროფესიული სტუდენტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
 ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში).	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180 კრედიტი
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210 კრედიტი (პროგრამით არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის კრედიტების რაოდენობა გათვალისწინებული არაა)

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:


ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☒

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	63 პროფესიული სტუდენტი მოდულური ქ. თბილისი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი N65
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში).	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

97





XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	-	არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	-	არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	-	შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	-	არ შეესაბამება

შენიშვნა: ავტორიზაციის მე-2 სტანდარტი ფასდება როგორც „არ შეესაბამება“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები


2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.


2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:








1. დირექტორის 2022 წლის 31 იანვრის N02-62 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულებით გაწერილია საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგია. დაგეგმვის ნაწილში გაწერილია პროგრამის დამატების მიზანშეწონილობის დადგენის პროცედურა, ხოლო შემუშავების მეთოდოლოგიაში გაწერილია: როგორ ხდება პროგრამის დამატების შესახებ ინიციატივის წარდგენა; ვინ შეიმუშავებს პროგრამას; რა ტიპის სამუშაოებს ახორციელებს სამუშაო ჯგუფი; როგორ ხდება მომზადებული პროგრამის წარდგენა ხელმძღვანელობასთან; როგორ ხდება მისი დამტკიცება; როგორ ხდება პროგრამაში ცვლილებების შეტანა; როგორ ხდება პროგრამის გაუქმება; რა მექანიზმებზე დაყრდნობით ხორციელდება პროგრამის განვითარებაზე ზრუნვა და სხვა.

დირექტორის 2017 წლის 20 იანვრის N02-01 ბრძანებით დამტკიცებულია შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ დებულება, რომელიც ასევე მოიცავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების და დამტკიცების პროცედურებს. გამომდინარე იქიდან, რომ ეს ორი დოკუმენტი ნაწილობრივ ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციას მოიცავს, მიზანშეწონილია რეგულაციებში შევიდეს ცვლილებები.

პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების მენეჯერი, რომლის ფუნქციები გაწერილია კოლეჯის დებულებით. დებულებით ირკვევა, რომ ის მონაწილეობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში, საგანმანათლებლო პროგრამებში შესაბამისი ცვლილებების მომზადებაში. დირექტორის 2017 წლის 20 იანვრის N02-01 ბრძანებით დამტკიცებულ შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ დებულებით, რომლის ცვლილებაც ასევე განხორციელდა დირექტორის 2018 წლის 2 ოქტომბრის 02-20 ბრძანებით, განსაზღვრულია, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების ინიცირების უფლება აქვს დირექტორს, სამეთვალყურეო საბჭოს, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერს, ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების მენეჯერს, პროფესიული განათლების მასწავლებლებს და კოლეჯის საგანმანათლებლო საქმიანობაში ჩართულ სხვა სუბიექტებს. კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის ინიცირებისას, კოლეჯის დირექტორის ბრძანებით იქმნება საკითხის შემსწავლელი/შესაბამისი პროექტის შემუშავებელი საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც შესაძლებელია შედიოდნენ საკითხის ინიციატორები, კოლეჯის დირექტორი, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების მენეჯერი და სხვა დაინტერესებული პირები/მოწვეული სპეციალისტები. საბჭოს მიერ შემუშავებული წინადადებები და შესაბამისი პროექტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

100







წარედგინება კოლეჯის სამეთვალყურეო საბჭოს. სამეთვალყურეო საბჭო იხილავს საკითხს და თავის დადებით/უარყოფით დასკვნას და შესაბამის შენიშვნებს/ წინადადებებს წარუდგენს კოლეჯის დირექტორს. სამეთვალყურეო საბჭოს დასკვნის საფუძველზე, კოლეჯის დირექტორი იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას. ასევე, პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულებით განსაზღვრულია, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების განხორციელება მოიცავს პროგრამაში ცვლილების/ცვლილებების პროექტის მომზადებას. პროგრამის პაკეტის მომზადებას ახორციელებს კოლეჯის დირექტორის მიერ, სამართლებრივი აქტით შექმნილი შესაბამისი სამუშაო ჯგუფი ან ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების მენეჯერი. ამასთან გასათვალისწინებელია კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 17 სექტემბრის N02 საოქმო გადაწყვეტილებაც, რომლითაც განსაზღვრულია საექთნო საქმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა. მასში შედიან კოლეჯის დირექტორი და ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების მენეჯერი. სამუშაო ჯგუფს, რომლის წევრი დირექტორიცაა, დაევალა კოლეჯის დირექტორისთვის საექთნო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროექტის წარდგენა (დანართი 31). ჯგუფის მიერ შემუშავებული პროექტი დამტკიცდა დირექტორის 2021 წლის 23 სექტემბრის N02-56 ბრძანებით.

დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ შეესაბამება მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას, რადგან კოლეჯის მისიაა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება. გრძელვადიანი სამოქმედო გეგმით ერთ-ერთ ღონისძიებად გაწერილია შემდეგი „დამატებითი (შესაბამისი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაზე მუშაობის დაწყება და კოლეჯის გაფართოებაზე ზრუნვა“.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. საექთნო საქმის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება.

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით, რომელიც გაწერილია დირექტორის 2022 წლის 31 იანვრის N02-62 ბრძანებით დამტკიცებულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:


101



საგანმანათლებლო საქმიანობის დებულებაში. კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას ან გაზრდისას მხედველობაში მიიღება:


- A,B,C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა სამუშაო ადგილებისა და ტექნიკური აღჭურვილობის რაოდენობა;
- პროფესიული პროგრამის ხანგრძლივობა;
- ადამიანური რესურსი;
- პარტნიორი ორგანიზაციის რესურსი და გამტარუნარიანობა (პროგრამის განმახორციელებელ პარტნიორ ორგანიზაციასთან შეთანხმებული ადგილების რაოდენობა ან რამდენიმე პარტნიორ ორგანიზაციის შემთხვევაში - ადგილების ჯამი).

კოლეჯი უფლებამოსილია გამოიყენოს სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის მოდულის განხორციელების მიზნით ერთი და იმავე სივრცე, თუ ის თავსებადია სასწავლო გარემოსა და ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივების თვალსაზრისით და კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსი, სრულად არ უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. მაგალითად, მოდულში „კომუნიკაცია საექთნო საქმეში“ სახელმძღვანელოდ მხოლოდ ერთი სასწავლო რესურსია მითითებული: „ელექტრონული სახელმძღვანელო: effective-communication-skills“. აღნიშნული რესურსი არ მოიცავს შემდეგ თემატიკას: პაციენტებსა და მათ ოჯახებთან საურთიერთობო გზამკვლევი; პაციენტთან ურთიერთობის ტექნიკა; ემოციური პასუხები დაავადებასა და ჰოსპიტალიზაციაზე; სტრესის გამომწვევი ფაქტორები საავადმყოფოში; ასევე მასლოუს და კოლბერგის თეორიებს, დამსაქმებელთან ურთიერთობისას გამოსაყენებელი დოკუმენტების (განცხადება; რეზიუმე; თანმხლები/სამოტივაციო წერილები; ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ) შედგენას. მოდულის განმახორციელებელი ინტერვიუებისას აღნიშნავს, რომ მოდულში მითითებული სასწავლო რესურსი სწავლის შედეგებზე გამყვანი არ არის, ამიტომ იყენებს დამატებით სასწავლო რესურსს. შესაბამისად, მიზანშეწონილია პროგრამით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსი, სრულად უზრუნველყოფდეს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

102



ამ პირობებში, სტანდარტი ფასდება როგორც „არ შეესაბამება“.

რამდენიმე მოდულს, მათ შორის მოდულს „საექთნო მენეჯმენტის საფუძვლები“ სასწავლო რესურსად მხოლოდ ინგლისურენოვანი ლიტერატურა აქვს მითითებული. სასურველია, მოდულებს მიეთითოს ქართულენოვანი სასწავლო რესურსი, მით უფრო, რომ შესაბამის სწავლის შედეგებზე გამყვანი ქართულენოვანი ლიტერატურა, ასევე ელექტრონული რესურსები მოიპოვება. ასევე, ელექტრონულ სასწავლო რესურსებს სასურველია მიეთითოს, რომ ისინი ელ. ვერსიებია.



5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო საქმე“ არ მოიცავს არჩევით მოდულებს.

6. დირექტორის 2017 წლის 20 იანვრის N02-01 ბრძანებით დამტკიცებული დებულებით და 2022 წლის 31 იანვრის N02-62 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულებით განსაზღვრულია, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ამტკიცებს დირექტორი. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დირექტორის 2021 წლის 23 სექტემბრის N02-56 ბრძანებით. შესაბამისად, პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ 2021 წელს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ „საექთნო განათლების“ ჩარჩო დოკუმენტში შესული ცვლილებების შემდეგ, დაწესებულებას პროგრამაში უნდა შეეტანა ცვლილება და არა თავიდან დაემტკიცებინა. შესაბამისად, მიზანშეწონილია დაწესებულებამ მსგავს შემთხვევებში ცვლილება შეიტანოს პროგრამაში და ის თავიდან არ დაამტკიცოს.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება სრულად შეესაბამება პროგრამის შინაარსს. იგი თანხვედრაშია პროგრამით მისანიჭებელ კვალიფიკაციასა და მისაღწევ სწავლის შედეგებთან. პროგრამის დასახელება ასევე არაა შეცდომაში შემყვანი, რადგან პროგრამის სახელწოდება გამომდინარეობს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებულ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით „საექთნო განათლება“ განსაზღვრული კვალიფიკაციიდან.

8. პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია, პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიდგომები. საგანმანათლებლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:


103




პროგრამის პაკეტში წარმოდგენილია პროგრამის ძირითადი დოკუმენტი, მოდულები და სასწავლო გეგმა, თუმცა მოდელების ბლოკში, გათვალისწინებული არ არის ქართული ენის მოდულები (A2 და B1), რომელთა მიზანია არაქართულენოვანი სტუდენტები მოამზადოს ქართულ ენაზე პროგრამის გასავლელად. შესაბამისად, ქართული ენის მოდულების გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს არაქართულ ენაზე ტესტირების გავლის გზით, რაც განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულებითაც. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა სრულად არ შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. მიზანშეწონილია პროგრამის პაკეტში ჩაიდოს ქართული ენის მოდულები და მათთვის შემუშავდეს სასწავლო გეგმაც.


ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სტანდარტი ფასდება როგორც „არ შეესაბამება“.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისას ასევე გამოიკვეთა შემდეგი:

- პროგრამა მოიცავს შემდეგ ჩანაწერს: „საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე: საექთნო განათლება / Nursing“. გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამა დამტკიცებულია დირექტორის მიერ, ის უკვე აღარ წარმოადგენს ჩარჩო დოკუმენტს. შესაბამისად, სასურველია პროგრამაში გასწორდეს არსებული ჩანაწერი.
- სასურველია პროგრამაში კვალიფიკაციასთან ერთად გაწერილი იყოს განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCED) მიხედვით დეტალური სფეროს შესახებ ინფორმაცია შესაბამისი კოდის მითითებით.
- სასურველია პროგრამა მოიცავდეს დასაქმების სფეროს და შესაძლებლობებზე ინფორმაციას.
- პროგრამაში ვხვდებით შემდეგ ჩანაწერს: „კლინიკური სწავლება სრული მოცულობის ნახევარს (90 კრედიტი) შეადგენს, თუმცა, შესაძლებელია კლინიკური სწავლების გარდა, სხვა კომპონენტებიც დაგეგმოს პრაქტიკის ობიექტზე.“ გამომდინარე იქიდან, რომ კოლეჯის მიერ პროგრამა უკვე შემუშავებულია, სასურველია პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით კონკრეტული ინფორმაცია იყოს წარმოდგენილი.
- პროგრამაში ვხვდებით შემდეგ ჩანაწერს: „პროფესიული მოდულები - პრაქტიკული სწავლება (შესაძლებელია როგორც საგანმანათლებლო დაწესებულებაში ასევე კლინიკაში)“. გამომდინარე იქიდან, რომ კოლეჯის მიერ პროგრამა უკვე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:







შემუშავებულია და დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის მიერ, სასურველია პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით კონკრეტული ინფორმაცია იყოს წარმოდგენილი.

- დაწესებულების მიერ პროგრამა სრულად არ არის ადაპტირებული, რადგან ჩარჩენილია სიტყვები „სარეკომენდაციო“, „მინიმალური“. მაგალითად, „დანართი №1 - სარეკომენდაციო მინიმალური მატერიალური რესურსის ჩამონათვალი; დანართი №2 - სარეკომენდაციო მიდგომები დისტანციური სწავლებისა და შეფასების შესაძლებლობებთან დაკავშირებით“. შესაბამისად, სასურველია დაწესებულებამ სრულად უზრუნველყოს პროგრამის ადაპტირება.
- სასწავლო გეგმაში შემოკლებით არის მითითებული მოდულთა სახელწოდებები. სასურველია მოდულების სახელწოდებები სრულად გაიწეროს.
- მოდულებში კვლავ არის ჩანაწერი სსსმ პირებზე „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლება“, როდესაც სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით ჩარჩო დოკუმენტში შესული ცვლილების შემდეგ, რომელიც მოქმედია 2021 წლის 15 სექტემბრიდან სსსმ პირებზე ჩანაწერს აღარ ვხვდებით.
- სასურველია მოდულებს თავფურცელზე მითითებული ჰქონდეს მოდულის სახელწოდება.
- კლინიკურ მოდულებში გაწერილია შემდეგი: „კლინიკური მოდულის განმახორციელებელი პირის/პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ შევსებული შეფასების ფურცელი ან პროფესიული სტუდენტის მიერ დეტალურად შევსებული და კლინიკური მოდულის განმახორციელებელი პირის/პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ ხელმოწერით დადასტურებული ჩანაწერების ჟურნალი.“ პროგრამის ძირითად დოკუმენტში გაწერილია, რომ „კლინიკური სწავლების მოდულების შეფასების ინსტრუმენტად და მტკიცებულებად, გამოყენებულია პროფესიული სტუდენტის მიერ დეტალურად შევსებული და კლინიკური მოდულის განმახორციელებელი პირის მიერ ხელმოწერით დადასტურებული ჩანაწერების ჟურნალი“. შესაბამისად, სასურველია ჩანაწერები ერთმანეთიდან გამომდინარეობდეს და არ მოიცავდეს ნაწილობრივ განსხვავებულ ინფორმაციას.
- პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულებით განსაზღვრულია, რომ პროგრამა უნდა მოიცავდეს დანართებზე ინფორმაციას, თუმცა პროგრამის ძირითადი დოკუმენტი დანართების შესახებ ინფორმაციას სრულად არ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



105

მოიცავს. მოდულებზე ინფორმაცია პროგრამაში გაწერილი არაა, როდესაც მოდულებში დანართის შესახებ ინფორმაციას ვხვდებით.

- მოდულში „უცხოური ენა - საექთნო საქმეში“ პირველ სწავლის შედეგად გაწერილია შემდეგი „უცხოურ (ინგლისურ) ენაზე მიღებული მარტივი ინფორმაციის წაკითხვა - გაგება“. ჩარჩო დოკუმენტით აღნიშნულ მოდულში პირველ სწავლის შედეგად გაწერილია მხოლოდ „უცხოურ ენაზე მიღებული მარტივი ინფორმაციის წაკითხვა - გაგება“. ასევე ზოგადი ინფორმაციის ნაწილში, მოდულის სახელწოდებაში მითითებულია „უცხოური (ინგლისური) ენა- საექთნო საქმეში“, ნაცვლად „უცხოური ენა - საექთნო საქმეში“. მიზანშეწონილია, დაწესებულებამ ცვლილებები არ განახორციელოს მოდულის ზოგად ინფორმაციასა და სტანდარტულ ჩანაწერებში, რადგან ამის უფლება მას არ აქვს.
- ფარმაკოლოგიის მოდულს საკონტაქტო საათებში მითითებული აქვს 110 საათი, ხოლო შეფასებისთვის 10 საათი, როდესაც სასწავლო გეგმაში საკონტაქტო საათებად გაწერილია 105, ხოლო შეფასებისთვის 15 საათი. სასურველია, შესაბამისობაში მოვიდეს ეს ორი დოკუმენტი ერთმანეთთან.
- მოდულს „ტერმინოლოგია და დოკუმენტაცია საექთნო საქმეში“ მეორე სწავლის შედეგის კომპეტენციის პარამეტრებში დამატებული აქვს დამხმარე ჩანაწერებიდან ის დოკუმენტები, რომელთა სწავლებაც უნდა განხორციელდეს შედეგის ფარგლებში. აღნიშნული გაწერილი არ არის ჩარჩო დოკუმენტით დამტკიცებულ მოდულში. შესაბამისად, სასურველია დაწესებულებამ ცვლილება არ შეიტანოს სტანდარტულ ჩანაწერებში. აღნიშნულ მოდულში ასევე ჩარჩენილია სიტყვა „რეკომენდაციები“. კერძოდ - „რეკომენდაციები სწავლებისა და შეფასების ორგანიზებისთვის“, „მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებით დამატებითი რეკომენდაციები“ და „3.2 საათების განაწილების სარეკომენდაციო სქემა“.
- მოდულში „ინფექციის კონტროლის საფუძვლები“ გაწერილი გარკვეული სასწავლო რესურსები და ინტერნეტ-რესურსები არ მუშაობს, მითითებული გვერდი არ იძებნება. მიუხედავად იმისა, რომ იგივე ბმულები არის ჩარჩო დოკუმენტითაც გაწერილი, სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს იმ რესურსების მითითება, რომელსაც იყენებს სწავლების პროცესში.
- რამდენიმე მოდულს, მათ შორის „ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები“, „კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები და ანესთეზია“, „კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



106



პაციენტის საექთნო მართვა“ გარკვეულ სწავლის შედეგებს შეფასების მიმართულება გაწერილი არ აქვს, როდესაც ჩარჩო დოკუმენტი მსგავს ინფორმაციას მოიცავს. სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს მოდულების სწორად ადაპტირება.

- დაწესებულების მიერ წარმოდგენილ მოდულში „კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა“ პირველ სწავლის შედეგს ნუმერაცია არეული აქვს, როდესაც ჩარჩო დოკუმენტით სწავლის შედეგები სწორადაა დალაგებული. ასევე, დაწესებულების მიერ ადაპტირებული მოდული მეცხრე სწავლის შედეგში 8 შესრულების კრიტერიუმის ნაცვლად მოიცავს 6 შესრულების კრიტერიუმს. მიზანშეწონილია დაწესებულებამ უზრუნველყოს მოდულების სწორად ადაპტირება.
- მოდულების „კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია“ და „შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია“ დამხმარე ჩანაწერები მესამე სწავლის შედეგიდან მეხუთე შედეგის ჩათვლით არ მოიცავენ ინფორმაციას მტკიცებულებების შესახებ. სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს მოდულების სწორად ადაპტირება.
- რამდენიმე კლინიკურ მოდულში ვხვდებით მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებით დამატებით რეკომენდაციებს. კერძოდ შემდეგ ჩანაწერს: „სტუდენტმა თითოეული სწავლის შედეგის საექთნო პროცესის და საექთნო მანიპულაციის შესრულებაში ინდივიდუალურად, მეთვალყურეობის ქვეშ და გარეშე უნდა დააგროვოს არანაკლებ 20 დადებითი შეფასებისა.“ პრაქტიკის ინსტრუქტორებთან ინტერვიუებით არ იკვეთება, რომ თითოეული სწავლის შედეგის ფარგლებში ისინი აგროვენ არანაკლებ 20 დადებით შეფასებას და ამის შემდეგ უდასტურებენ პროფესიულ სტუდენტს სწავლის შედეგს. სასურველია, არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, დაწესებულებამ უზრუნველყოს მოდულის განხორციელების მიდგომების ადაპტირება.

პროგრამის ძირითადი დოკუმენტისა და შესაბამისი დანართების შესწავლის საფუძველზე გამოკვეთილი გარემოებების გათვალისწინებით, დაწესებულებას ექსპერტების მხრიდან მიეცა რეკომენდაცია პროგრამის ადაპტირებისა და განმტკიცების მიზნებისთვის შეიმუშაოს იმგვარი მექანიზმი, რომელიც გამორიცხავს ხარვეზების/ტექნიკური ხასიათის უზუსტობების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:


107



არსებობას და უზრუნველყოფს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეკომენდაციებისა და შიდა რეგულაციების მოთხოვნებთან შესაბამისობას.




დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ განვითარების გრძელვადიანი (შვიდწლიანი) სამოქმედო გეგმით;
- შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულებით;
- კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 17 სექტემბრის N02 საოქმო გადაწყვეტილებით;
- შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ დებულებით;
- დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით;
- პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუს შედეგებით;
- მისიით.

შეფასება:

- ☐ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☒ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:


108



2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.




1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა სრულად უზრუნველყოფილი არ არის დაწესებულების/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

შპს „ქართულ - ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯი“ საექთნო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის თეორიულ კომპონენტს ახორციელებს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი № 65, სადაც პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი აქვს შესაბამისად აღჭურვილი აუდიტორიები: A გარემო - 3 აუდიტორია თითოეული პროფესიული სტუდენტისთვის 20 სამუშაო ადგილით, სიმულაციური C გარემო - 2 აუდიტორია, რომელიც აღჭურვილია სამედიცინო საწოლებით/ტახტებით, პროგრამის მატერიალური რესურსით გათვალისწინებული მანეკენებითა და საჭირო ინსტრუმენტებით. AB გარემო/კომპიუტერული აუდიტორია პროფესიული სტუდენტისთვის 16 სამუშაო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:


109



ადგილით, რომელიც აღჭურვილია სადემონსტრაციო საშუალებებით, დაფით, მასწავლებლისთვის სამუშაო ადგილით (მაგიდა, სკამი, კომპიუტერი, პრინტერი).


პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კლინიკური ნაწილის განხორციელებისთვის კოლეჯს ხელშეკრულება გაფორმებული აქვს ხუთ პარტნიორ კლინიკასთან:

- შპს „აკად. გ ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი“ (12.06.2019) პროგრამის ფარგლებში 60 პროფესიული სტუდენტი (შეთანხმება - კლინიკური სწავლა-სწავლის პროცეში ჩართული პირების საკვალიფიკაციო მოთხოვნები, მატერიალური რესურსი კლინიკური სწავლების განხორციელების თაობაზე - 26.09.2021);
- სს „კ. ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნული ცენტრი“ (12.06.2019) - პროგრამის ფარგლებში 60 პროფესიული სტუდენტი (შეთანხმება - კლინიკური სწავლა-სწავლის პროცეში ჩართული პირების საკვალიფიკაციო მოთხოვნები, მატერიალური რესურსი კლინიკური სწავლების განხორციელების თაობაზე - 25.09.2021);
- შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“ (14.06.2019) - პროგრამის ფარგლებში 60 პროფესიული სტუდენტი (შეთანხმება - კლინიკური სწავლა-სწავლის პროცეში ჩართული პირების საკვალიფიკაციო მოთხოვნები, მატერიალური რესურსი კლინიკური სწავლების განხორციელების თაობაზე - 13.04.2022);
- შპს „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და ინგოროყვას მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო კლინიკა“ (07.04.2022) - პროგრამის ფარგლებში 60 პროფესიული სტუდენტი;
- შპს „თბილისის ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფო“ (04.06.2019) - პროგრამის ფარგლებში 60 პროფესიული სტუდენტი.

ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრებით დადგინდა, რომ კოლეჯი შპს „თბილისის ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფო“-სთან გაფორმებულ ხელშეკრულებას აუქმებს, ხოლო იმავე მიზნებისთვის ახალი ხელშეკრულება გააფორმა შპს „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და ინგოროყვას მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო კლინიკასთან“ (07.04.2022) მოდულების „კლინიკური პრაქტიკა - პედიატრია და მოზარდები“ და „შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - პედიატრია და მოზარდები“ განხორციელების მიზნით. აღნიშნული ხელშეკრულება ვიზიტის განმავლობაში არ იყო პროგრამაში შეტანილი. გამომდინარე იქიდან, რომ შეიცვალა პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

110




განხორციელების და სწავლის შედეგების მიღწევის ადგილი, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია აღნიშნული ცვლილების შესახებ ცენტრს აცნობოს ცვლილების განხორციელების შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემიდან 30 კალენდარული დღის ვადაში და ცენტრს წარუდგინოს შესაბამისი დასაბუთება და მტკიცებულებები.


პარტნიორ კლინიკებში სწავლებას უზრუნველყოფენ პასუხისმგებელი პირები თანაფარდობით - 1/7. პარტნიორი დაწესებულებები აღჭურვილია პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, სადაც ხორციელდება კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისთვის კლინიკური და პრაქტიკული კომპონენტის სწავლება. აღნიშნულ კლინიკებთან გაფორმებული ხელშეკრულებები მოიცავენ ინფორმაციას, თუ რომელი მოდულის განხორციელებაში ჩაერთვება კლინიკა, რამდენი პროფესიული სტუდენტის მიღების შესაძლებლობა აქვს იმ გაანგარიშებით, რომ 7 (შვიდ) პროფესიულ სტუდენტზე უზრუნველყოს შესაბამისი კომპეტენციის მქონე პასუხისმგებელი პირი და გამოყოს მოდულებით განსაზღვრული სახარჯი მასალა. ვიზიტის ფარგლებში დაწესებულებამ წარმოადგინა სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტი, რითიც დასტურდება, რომ პრაქტიკის ობიექტებს კანონმდებლობით დადგენილი წესით გააჩნიათ სწავლების მოდულით გათვალისწინებული მიმართულებით საქმიანობის უფლება. პრაქტიკის განმახორციელებელ კლინიკებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს თან ახლავს პარტნიორი ორგანიზაციების მიერ პრაქტიკის კომპონენტისთვის გამოყოფილი მატერიალური რესურსის ნუსხა, პრაქტიკის ობიექტზე განსახორციელებელი მოდულების ჩამონათვალი.


ვიზიტის ფარგლებში მოხდა პრაქტიკის ობიექტების - სს „კ. ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნული ცენტრის“ და შპს „აკად. გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრის“ წარმომადგენლებთან/ განმახორციელებელ პირებთან გასაუბრება (გასაუბრება შედგა დისტანციურ ფორმატში ZOOM-ის აპლიკაციის დახმარებით). მათი მხრიდან გამოითქვა სრული მზაობა ითანამშრომლონ კოლეჯთან ხელშეკრულებაში გაწერილი პირობების შესაბამისად და მიიღონ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით საექთნო საქმის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 105 პროფესიულ სტუდენტს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:









კოლეჯის წარმომადგენლების განმარტებით, თითოეულ წელს მათ შეუძლიათ მიიღონ მაქსიმუმ 35 პროფესიული სტუდენტი. სასწავლო გეგმის მიხედვით, თეორიული სწავლება ერთდროულად უწევს 2 წლის მიღების პროფესიულ სტუდენტებს, რაც ნიშნავს, რომ კოლეჯი განახორციელებს 70 (35+35) პროფესიული სტუდენტის სწავლებას. სწავლების მეორე წლის მეორე ნახევრიდან პროგრამის განხორციელება გრძელდება პარტნიორ კლინიკებში. ამ ეტაპზე, ანალოგიურად პარალელურად სწავლება უწევს ორი წლის მიღების პროფესიულ სტუდენტებს, რაც ჯამურად შეადგენს მაქსიმუმ 70 პროფესიულ სტუდენტს. პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი კლინიკები თავის მფლობელობაში არსებული მატერიალური აღჭურვილობითა და რესურსით, ვერ უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, რადგან პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ კლინიკებთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, პროგრამის ფარგლებში მათ შეუძლიათ მიიღონ 60 პროფესიული სტუდენტი, ანუ 30-30 სტუდენტი. კლინიკური მოდულების განხორციელების მიზნებისთვის, დაწესებულებას პრაქტიკის ობიექტზე ჰყავს 3-3 პრაქტიკის ინსტრუქტორი. დირექტორის 2022 წლის 31 იანვრის N02-62 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულებით განსაზღვრულია, რომ ზღვრული რაოდენობის დაანგარიშებისას გაითვალისწინება ადამიანური რესურსი. შესაბამისად, არსებული ადამიანური რესურსის ოდენობით, კლინიკური მოდულების განმახორციელებელ დაწესებულებებს მაქსიმუმ 21 პროფესიული სტუდენტის მიღება შეუძლია, რაც სამი წლის გაანგარიშებით შეადგენს 63 პროფესიულ სტუდენტს. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ დაწესებულებას მოდულებში მითითებული არ ჰყავს ყველა ინსტრუქტორი, თუმცა ხელშეკრულება მათთან გაფორმებულია.

ვიზიტის ფარგლებში ასევე განხორციელდა პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრება. მათ შორის იმ პროფესიულ სტუდენტებთან, რომლებიც ახლა გადიან კლინიკურ მოდულებს. მეორე სასწავლო წლის სამმა პროფესიულმა სტუდენტმა ინტერვიუებისას აღნიშნა, რომ მათ გაიარეს მხოლოდ ავადმყოფის მოვლის მოდულის თეორიული ნაწილი დისტანციურად, ხოლო პრაქტიკული ნაწილის გავლა ვერ შეძლეს, რადგან მოდულის განმახორციელებს და რამდენიმე პროფესიულ სტუდენტს დაუდასტურდათ Covid-19. შესაბამისად, მოდულის პრაქტიკული კომპონენტი არ გაუვლიათ და არც მულაჟებთან ჰქონიათ შეხება. მათი ნათქვამის გათვალისწინებით გამოდის, რომ ავადმყოფის მოვლის მოდულის პრაქტიკული ნაწილის გავლის გარეშე, ისინი დაუშვეს კლინიკურ მოდულებზე. კლინიკურ მოდულებზე დაშვების წინაპირობაა ავადმყოფის მოვლის მოდულის გავლა. აღნიშნული გადავამოწმეთ როგორც ადმინისტრაციასთან, ასევე მოდულის განმახორციელებელთან. ორივე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

112




მხარე ადასტურებს რომ გარკვეული პრობლემები შეიქმნა Covid 19-ის გამო, თუმცა პრაქტიკული ნაწილი პროფესიულმა სტუდენტებმა გაიარეს შპს „აკად. გ ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი“-ში. გასათვალისწინებელია, რომ მოდული უნდა განხორციელებულიყო არა კლინიკის ბაზაზე, არამედ კოლეჯის C გარემოში, რადგან აღნიშნული პროგრამითაა განსაზღვრული. პროფესიულ სტუდენტებიდან მიღებული ინფორმაციის გადამოწმების მიზნით, ასევე მოვითხოვეთ შეფასების ინსტრუმენტები და უწყისები. შეფასების ინსტრუმენტებზე დატანილია როგორც შემფასებელი პირის, ასევე შესაფასებელი პირის ხელმოწერები და შეფასების ჩატარების თარიღი. კოლეჯის მიერ წარმოდგენილი უწყისების დახურვის თარიღად შეფასების ჩატარების თარიღია განსაზღვრული (დანართი 32, დანართი 33).



ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა სრულად უზრუნველყოფილი არ არის დაწესებულების/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. ამ პირობებში სტანდარტი ფასდება როგორც „არ შეესაბამება“


ვიზიტის პერიოდისთვის საგანმანათლებლო პროგრამაზე ირიცხება 66 აქტიური პროფესიული სტუდენტი. პირველ კურსზეა 28 პროფესიული სტუდენტი, ხოლო მეორე და მესამე სასწავლო კურსზეა ჯამში 38 პროფესიული სტუდენტი.

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა ვერ უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროგრამის განხორციელებისთვის შერჩეულია 25 პირი. მათ შორის, 3 ზოგადი მოდულების განმახორციელებელია, ხოლო 22 - დარგობრივი მოდულების. 22-დან 13 პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი პირია.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვა აღემატება 40 საათს. მაგალითად, მოდული „კომუნიკაცია საექთნო საქმეში“, რომელიც ხორციელდება პირველ სასწავლო წელს (1-5 კვირა), მისი განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი ასევე ახორციელებს მესამე სასწავლო წელს (1-4 კვირა) შემაჯამებელ კლინიკურ პრაქტიკას თერაპიული პაციენტის საექთნო მართვაში. აქედან გამომდინარე, პროფესიული მასწავლებლის კვირეული დატვირთვა შეადგენს 50 საათს და აღემატება კანონით დადგენილ ნორმას (დანართი 34, დანართი 35). ასევე ზოგადი და პროფესიული მოდულების განმახორციელებელია ადმინისტრაციულ პოზიციაზე დაკავებული პირებიც (დირექტორი, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:


----- 113






განვითარების მენეჯერი), რომელთაც ხელშეკრულებით განსაზღვრული არ აქვთ, მაქსიმუმ რამდენი საათის ჩატარების უფლება აქვთ. მაგალითად, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის კვირეული დატვირთვა, მხოლოდ სწავლების მიზნებისთვის ზოგჯერ შეადგენს 20 საათს, ხოლო მოდულებს ერთი სასწავლო წლის განმავლობაში დაახლოებით ნახევარი წელი ახორციელებს (დანართი 38).

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობისთვის აუცილებელია თითოეული მოდულის თეორიული კომპონენტის განხორციელებისათვის დაწესებულებას აყვანილი ჰყავდეს მინიმუმ ორი პროფესიული მასწავლებელი, რათა დატვირთვა არ აღემატებოდეს 40 საათს. ამ პირობებში სტანდარტი ფასდება როგორც „არ შეესაბამება“

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. დირექტორის 2017 წლის 2 თებერვლის N02-08 ბრძანებით დამტკიცებულ შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევის წესის დამტკიცებისა და ადმინისტრაციული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დადგენის დოკუმენტით, რომელშიც ერთ-ერთი ცვლილება განხორციელდა დირექტორის 2019 წლის 23 აგვისტოს N02-32 ბრძანებით, დაზუსტდა პროფესიული განათლების მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. აღნიშნული დოკუმენტით ირკვევა, რომ პროფესიული განათლების მასწავლებელი შეიძლება იყოს უმაღლესი ან პროფესიული განათლების IV და V საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელი ან პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის სტაჟი. ასევე, IV საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელ პროფესიული განათლების მასწავლებელს უფლება არ აქვს, ასწავლოს V საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში. შესაბამისი პროფესიული სტანდარტით შეიძლება დადგინდეს დამატებითი მოთხოვნები პროფესიული განათლების მასწავლებლების მიმართ. პრაქტიკულ კომპონენტებს კლინიკურ ბაზაზე განახორციელებენ კლინიკის მიერ შეთავაზებული ან/და კლინიკაში მომუშავე სპეციალისტები. პრაქტიკის განმახორციელებელი პირი, ასევე უნდა აკმაყოფილებდეს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კოლეჯის ვებგვერდზე ქვეყნდება პროფესიული განათლების მასწავლებლის ვაკანსიის შესახებ ინფორმაცია, სადაც მითითებულია ვაკანსიის დასახელება, კანონმდებლობითა და სტანდარტით დადგენილი შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, წარსადგენი დოკუმენტაცია, პირობები და განცხადების მიღების დაწყებისა და დასრულების ვადების შესახებ. კვალიფიკაციის შესაბამისობის დადგენის მიზნით, წარდგენილ დოკუმენტაციას განიხილავენ კოლეჯის დირექტორი და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:


114




ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების მენეჯერი. დასაკავებელ თანამდებობაზე კანონდებლობით დადგენილი კვალიფიკაციის შესაბამისობის დადგენისას, შერჩეული პროფესიული განათლების მასწავლებელი ინიშნება დირექტორის ბრძანებით და მასთან ფორმდება შრომითი ხელშეკრულება/წინარე შრომითი ხელშეკრულება. კანდიდატის მიერ წარსადგენ დოკუმენტაციას წარმოადგენს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, ავტობიოგრაფია (CV), განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი და შესაბამისი კვალიფიკაციით, შრომითი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ვიზიტის დროს მოხდა საექთნო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეების შემოწმება (კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია). შემოწმების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლები ფლობენ პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენციას. შედგა გასაუბრება შემდეგი მოდულების განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან: „კომუნიკაცია საექთნო საქმეში“, „ავადმყოფის მოვლა“, „შინმოვლა“. გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ აღნიშნული მოდულების განმახორციელებელ პირს ზოგადად აქვს სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენცია, სწავლებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების გამოცდილება.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 23 სექტემბრის №02-56 ბრძანებით დამტკიცებულია საექთნო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის მიხედვითაც დამტკიცებულია პროგრამის კოორდინატორიც. პროგრამის კოორდინატორი არის დირექტორი, რომელსაც აქვს ექიმის კვალიფიკაცია და დარგში მუშაობის გამოცდილება (1989 წლიდან 2019 წლამდე, ხოლო ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორად 2017 წლიდან დღემდე). დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის კოორდინატორის დოკუმენტაცია აკმაყოფილებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს, კერძოდ აქვს დარგში მუშაობის გამოცდილება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:


115


პროგრამის კოორდინატორმა/კოლეჯის დირექტორმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ ზრუნავს პროგრამის განვითარებაზე, ჩართულია პროგრამის განხორციელების პროცესში, მეცადინეობებზე პერიოდულად ესწრება პროგრამის განმახორციელებლებს და ასევე მონაწილეობს შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის პროცესში.




5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. ვიზიტის ფარგლებში მოხდა საბიბლიოთეკო სივრცის დათვალიერება, ბიბლიოთეკართან გასაუბრება და „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსების გადამოწმება. გადამოწმების შედეგად დასტურდება, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით.

სასურველია დაწესებულებას ვებგვერდზე ატვირთული ჰქონდეს საგანმანათლებლო რესურსი ელექტრონული სახით.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირდება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულებით განსაზღვრულია, რომ კოლეჯის დირექტორის სამართლებრივი აქტით იქმნება ინკლუზიური პროფესიული განათლების ჯგუფი, რომელიც ვალდებულია კოლეჯი მოამზადოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მისაღებად და საჭიროების შემთხვევაში მოარგოს ფიზიკური გარემო, მოაგვაროს ტრანსპორტირების, თარჯიმნის, მობილობის სპეციალისტისა თუ სხვათა მომსახურების მიღების საკითხები. მოამზადოს სასწავლო მასალა შესაბამისი ფორმით (აუდიოჩანაწერები, ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი მასალა, თვალსაჩინოებები და ა.შ.). ასევე, დაწესებულებაში არსებული გარემო უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების შესაძლებლობებსა და შეთავაზებულ სერვისებზე ხელმისაწვდომობას.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. პროგრამის ბიუჯეტი შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისგან. პროგრამის ბიუჯეტს შეადგენს როგორც საბიუჯეტო, ასევე არასაბიუჯეტო შემოსავლები. პროგრამის განხორციელების ხარჯები ნაწილდება შემდეგ კომპონენტებზე: მასწავლებლის და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:


116



ადმინისტრაციული პერსონალის ანაზღაურება, პრაქტიკის განხორციელების ხარჯი, სასწავლო მასალები და კომუნალური ხარჯები, სტუდენტური ღონისძიებები, სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები. პროგრამის რენტაბელობის ზღვარია 25,09%. სასურველია პსდ-ს ადმინისტრაციამ გადახედოს ბიუჯეტის ხარჯებს და შეიტანოს ისეთი მნიშვნელოვანი მუხლი, როგორცაა პროგრამის/განმახორციელებელი პირების განვითარებისთვის გასაწევი ხარჯები.


დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):


- შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევის წესის დამტკიცებისა და ადმინისტრაციული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დადგენის დოკუმენტით;
- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულებით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეებით;
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან, პროფესიული პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგებით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- პროგრამის ბიუჯეტით.

შეფასება:

- ☐ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☒ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:


117



2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება



2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ ანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან. კერძოდ, პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულებით განსაზღვრულია, რომ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისას გამოიყენება პროფესიული სტუდენტების/მსმენელების, პროფესიული განათლების მასწავლებლების, ადმინისტრაციული პერსონალის, დამსაქმებლების, კურსდამთავრებულთა გამოკითხვებით მოპოვებული ინფორმაცია და კოლეჯის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშები. ხარისხის უზრუნველყოფისა და სტარტეგიული განვითარების მენეჯერი ანალიზებს მონაცემებს. ანალიზის შედეგად იძლევა დადებით ან უარყოფით დასკვნას. უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში პროფესიული პროგრამის შემდგომი სრულყოფის მიზნით განსაზღვრავს, რომელი კრიტერიუმები ვერ დააკმაყოფილა პროფესიულმა პროგრამამ და მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით ახორციელებს გამოვლენილი პრობლემის/სისუსტის/ხარვეზის გამოსწორების ადეკვატურ სამუშაო გეგმას. ხარისხის უზრუნველყოფისა და სტარტეგიული განვითარების მენეჯერი დირექტორს წარუდგენს ანალიზს, საჭიროების შემთხვევაში გამოვლენილ პრობლემის/ სისუსტის/ ხარვეზის გამოსწორების ადეკვატურ სამუშაო გეგმას და პროფესიული პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, იგეგმება კონკრეტული მოქმედებები/აქტივობები/ ღონისძიებები, რომელშიც ჩართული იქნება საჭიროებიდან გამომდინარე, კოლეჯის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები/ თანამდებობის პირები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:


118



დირექტორის 2022 წლის 15 მარტის N02-67¹ ბრძანებით დამტკიცებულია შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ საქმიანობისა და მის მიერ განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმები (დანართი 36). კერძოდ დამტკიცებულია:




- პროფესიული სტუდენტების მიერ პროფესიული მასწავლებლებისა და მოდულების შეფასების ფორმა;
- პროფესიული სტუდენტების მიერ კოლეჯის სერვისების შეფასების ფორმა;
- პროფესიული სტუდენტების მიერ კოლეჯის ინფრასტრუქტურის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეფასების ფორმა;
- კოლეჯის პერსონალის კმაყოფილების შეფასების ფორმა.

კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების მენეჯერი უზრუნველყოფს კვლევის განხორციელებას google-ის შესაბამისი ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით. კოლეჯის მიერ წარმოდგენილია პროფესიულ სტუდენტთა მიერ მასწავლებლისა და მოდულის შეფასების ფორმა. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 26-მარესპოდენტმა. ასევე, წარმოდგენილია პროფესიული სტუდენტების მიერ შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ სერვისების შეფასება. აღნიშნულ გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 43-მარესპოდენტმა.

დირექტორის 2020 წლის 28 ივნისის N02-49 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა კვლევის მეთოდოლოგია, რომლითაც განსაზღვრულია, რომ კურსდამთავრებულთა კვლევა წელიწადში ერთხელ ტარდება და შეისწავლის იმ კურსდამთავრებულებს, რომელთაც გამოკითხვის მომენტისთვის სწავლა დაახლოებით 1 წლის დასრულებული აქვთ. მეთოდოლოგია ასევე მოიცავს ინფორმაციას კვლევის ჩატარებაზე პასუხისმგებელი პირის, კვლევის ჩატარების პერიოდის, ძირითადი პარამეტრების შესახებ, რაც მოკვლეული იქნება გამოკითხვის შედეგად.

პროფესიულ სტუდენტთა კვლევა ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტების კმაყოფილებისა და შედეგების გამოკვლევის მიზნით. კვლევის ამოცანებია: პროფესიული პროგრამებით კვაყოფილების შეფასება; სასწავლო პროცესით კმაყოფილების შეფასება; მასწავლებლებით კმაყოფილების შეფასება; დაწესებულების ინფრასტრუქტურით კმაყოფილების შეფასება; დაწესებულების მიმართ დამოკიდებულების შეფასება; პროფესიული სტუდენტების მიღწევების შეფასება, მათი ჩართულობა პროფესიულ საზოგადოებაში და შესაბამის აქტივობებში. კვლევისას გამოიყენება კითხვარები, რომლებიც გამოკითხვის წინ მტკიცდება კოლეჯის დირექტორის მიერ. პროფესიული სტუდენტებისა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

119







და კურსდამთავრებულთა გამოკითხვას ახორციელებს და შედეგებს აანალიზებს ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების მენეჯერი.

დაწესებულებას შემუშავებული არ აქვს დამსაქმებელთა კვლევის მეთოდოლოგია. შესაბამისად, მიზანშეწონილია დაწესებულებამ შეიმუშაოს დამსაქმებელთა კვლევის მეთოდოლოგია. კვლევის კითხვარში ძირითადი აქცენტი უნდა გაკეთდეს იმ დამატებით უნარ-ჩვევებზე, რომელსაც ითხოვს დამსაქმებელი ორგანიზაცია და შემდეგ უზრუნველყოს მათი ინტეგრირება სწავლების პროცესში.

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში განახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. დირექტორის 2022 წლის 31 იანვრის N02-62 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულებით განსაზღვრულია პროგრამასა და მოდულებში ცვლილებების შეტანის წესები და პროცედურები. გაწერილია როგორ და რა შემთხვევაში იწყება ცვლილების პროცესი, ვინ განიხილავს, ვის შეაქვს ცვლილება და ვინ ამტკიცებს, როგორ ხდება ცვლილების შესახებ ინფორმაციის გავრცელება დაწესებულების გარეთ.

პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულებით ასევე განსაზღვრულია, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების განხორციელება გულისხმობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებში გარკვეული ცვლილებების შეტანას, რაც მიზნად ისახავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებაზე ზრუნვას, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობაში მოყვანას კანონმდებლობის ახალ მოთხოვნებთან, ან საგანმანათლებლო სტანდარტით დადგენილი კომპეტენციების ათვისების პროცესის გაუმჯობესებას და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ეფექტურობის ამაღლებას. სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი უფლებამოსილია განახორციელოს ცვლილებები პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში, რომელიც შეიძლება ეხებოდეს: მოდულში თემატიკის გამრავალფეროვნებას, სასწავლო მეთოდების შეცვლას, მოდულის განხორციელების მიდგომების შეცვლას, საათების გადანაწილებას, სასწავლო რესურსის შეცვლას, სასწავლო გეგმის შეცვლას და ა.შ. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს კოლეჯი მიმართავს ინიცირებით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შესახებ თუ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას აღმოჩნდა სწავლის შედეგებში, შეფასების კრიტერიუმებში/შეფასების მიმართულებებში გარკვეული ტიპის უზუსტობები/ხარვეზები; გაჩნდა ცვლილების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

120




აუცილებლობა, მიმდინარე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები ვერ ფარავს შრომის ბაზრის მოთხოვნებს და სხვა.

ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის განმარტებით კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, მათ პროგრამაში ცვლილება არ განუხორციელებიათ.




დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ საქმიანობისა და მის მიერ განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმებით;
- პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამრთავრებულთა კვლევის მეთოდოლოგიით;
- პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულებით;
- პასუხისმგებელ პირთან ინტერვიუს შედეგებით;
- Google forms-ის შევსებული კითხვარებით.

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება




2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის შემუშავებული აქვს სასწავლო გეგმა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის. გეგმა გაწერილია 3 აკადემიურ წელზე და მოიცავს 129 სასწავლო კვირას (180 კრედიტი). პროგრამა არ მოიცავს არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის სასწავლო გეგმას ქართული ენის მოდულებისთვის. პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულებით განსაზღვრულია, რომ მოდულების განხორციელების დაგეგმვისას დაცულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობები, დროის შუალედი განმეორებითი შეფასებისათვის და პროფესიული სტუდენტისათვის კვირეული დატვირთვა (არაუმეტეს 40 სთ კვირაში). ასევე, დაუდასტურებელი მოდული/შედეგი, რომელიც არის სხვა მოდულზე/შედეგზე დაშვების წინაპირობა, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს შესაბამისი მოდული/შედეგი დაადასტუროს იმ მოდულის/შედეგის დაწყებამდე, რომლის წინაპირობაც არის დაუდასტურებელი მოდული/შედეგი. ასევე განმეორებითი შეფასებისთვის გათვალისწინებულია 10 სამუშაო დღის ვადა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასწავლო გეგმის შეფასებისას გამოიკვეთა, რომ პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს, თუმცა წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის დროის შუალედი გათვალისწინებული არაა. კერძოდ:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:


122





- შინმოვლის მოდულის წინაპირობაა ავადმყოფის მოვლის მოდული. ავადმყოფის მოვლის მოდული იწყება მეორე სასწავლო წლის 23-ე კვირას და სრულდება 26-ე კვირას. 26-ე კვირაშივე იწყება შინმოვლის მოდული. შესაბამისად, დროის შუალედი წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის გათვალისწინებული არაა.
- მოდულისთვის „პათოლოგია (პათანატომია-პათფიზიოლოგია)“ დაშვების წინაპირობაა მოდული „ანატომია-ფიზიოლოგია“. შუალედი განმეორებითი შეფასებისთვის გათვალისწინებული არ არის, რადგან სრულდება თუ არა ანატომიის მოდული, იწყება პათოლოგიის მოდული.
- მოდულისთვის „კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა“ წინაპირობაა მოდულები „ავადმყოფის მოვლა“ და „ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები“. ავადმყოფის მოვლის შემდეგ ერთ კვირაში იწყება კლინიკური მოდული. შესაბამისად, 10 დღიანი სამუშაო ვადა განმეორებითი შეფასებისთვის გათვალისწინებული არაა.
- მოდულს „კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა“ ბოლო კვირაში ეთმობა 32 საათი და იმავე კვირაში (35 სასწავლო კვირა) 8 საათი გათვალისწინებულია მოდულისთვის „შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა“, რომლის წინაპირობასაც წარმოადგენს კლინიკური პრაქტიკის მოდული. ასევე, დროის შუალედი გათვალისწინებული არ არის შემდეგ მოდულებს შორის: „კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა“ და „შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა“.

შესაბამისად, მიზანშეწონილია წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის გათვალისწინებული იყოს დროის შუალედი. ამ პირობებში სტანდარტი ფასდება როგორც „არ შეესაბამება“.

სასწავლო გეგმის შეფასებისას ასევე გამოიკვეთა შემდეგი:

- სასწავლო გეგმაში, კვირეული დატვირთვის ნაწილში არ ჩანს რამდენია საკონტაქტო საათი და რამდენი დამოუკიდებელი. ისინი დაჯამებული სახითაა წარმოდგენილი. შესაბამისად, სასურველია დამოუკიდებელი საათები გაიმიჯნოს საკონტაქტო და შეფასების საათებისგან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:


123


- მოდულს „საექთნო მენეჯმენტის საფუძვლები“ შეფასებისთვის გათვალისწინებული აქვს 4 საათი, საკონტაქტოსთვის 36 საათი, ხოლო დამოუკიდებლისთვის 10 საათი. სასწავლო გეგმით შეფასებისთვის გათვალისწინებულია 8 საათი, ხოლო საკონტაქტოსთვის 32 საათი. შესაბამისად, მიზანშეწონილია სასწავლო გეგმა და მოდული შესაბამისობაში მოვიდეს ერთმანეთთან.


2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულებით განსაზღვრულია, რომ ფორს-მაჟორული გარემოებების შემთხვევაში, როდესაც სასწავლო გეგმის დაცვა ვერ ხერხდება, კოლეჯი მოქნილად რეაგირებს მსგავს გარემოებებზე და პროფესიულ სტუდენტს სთავაზობს მის ინტერესებზე მორგებული პირობებით ადეკვატური განათლების მიღების შესაძლებლობას - ჰიბრიდული ან დისტანციური სწავლებით.


3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება დისტანციური სწავლება. ასევე მოდულებში გამოყენებულია სწავლების ინტერაქციული მეთოდები: ინტერაქციული ლექცია, სემინარი, დისკუსია, შემთხვევის ანალიზი, პრაქტიკული მეცადინეობა მეთვალყურეობის ქვეშ. კლინიკური სწავლებისთვის შერჩეული პროვაიდერების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, აღჭურვილია დარგის თანამედროვე ტექნოლოგიებით.

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. დირექტორის 2022 წლის 31 იანვრის N02-62 ბრძანებით დამტკიცებული შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულებით განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პირობები. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროება დგება მაშინ, როდესაც:

- სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტი/მსმენელი, ვერ აღწევს სწავლის შედეგებს.
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობით გადმოსული (გარე ან შიდა მობილობის შემთხვევაში) პროფესიული სტუდენტისთვის, რომლის სწავლის შედეგები განსხვავებულია კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:







- პროფესიული სტუდენტი, რომელსაც შეჩერებული ჰქონდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი, აგრეთვე პროფესიული სტუდენტი, რომელსაც საპატიო მიზეზით გაუცდა (ავადმყოფობა, მშობიარობა და ა.შ.) სასწავლო პროცესი და მიზეზების აღმოფხვრის შემდეგ, საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას.

შემუშავებულ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი. პროფესიული სტუდენტი/მსმენელი უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში, ხოლო არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის/მსმენელის, შშმ პროფესიული სტუდენტის/მსმენელის შემთხვევაში - მისი კანონიერი წარმომადგენელი.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით. დოკუმენტი ითვალისწინებს როგორც უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის, ისე დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, პერსონალური მონაცემების დაცვის ვალდებულებულებებს. გარდა ამისა, კლინიკური სწავლებისთვის აუცილებელი სახარჯი მასალის გამოყოფას და პროფესიული სტუდენტებისთვის სავალდებულო ინსტრუქტაჟის ჩატარებას. განსაზღვრულია განსახორციელებელი მოდულები, მათი მოცულობა, პრაქტიკის ობიექტზე მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობა და მოთხოვნები პრაქტიკის განმახორციელებელი პირების მიმართ. დაწესებულებას საექთნო საქმის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის ხელშეკრულება გაფორმებული აქვს ხუთ კლინიკასთან:

- შპს „აკად. გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი“ (12.06.2019) პროგრამის ფარგლებში 60 პროფესიული სტუდენტი (შეთანხმება - კლინიკური სწავლა-სწავლის პროცესში ჩართული პირების საკვალიფიკაციო მოთხოვნები, მატერიალური რესურსი კლინიკური სწავლების განხორციელების თაობაზე - 26.09.2021);
- სს „კ. ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნული ცენტრი“ (12.06.2019) - პროგრამის ფარგლებში 60 პროფესიული სტუდენტი (შეთანხმება - კლინიკური სწავლა-სწავლის პროცესში ჩართული პირების საკვალიფიკაციო მოთხოვნები, მატერიალური რესურსი კლინიკური სწავლების განხორციელების თაობაზე - 25.09.2021);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:


125


- შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“ (14.06.2019) - პროგრამის ფარგლებში 60 პროფესიული სტუდენტი (შეთანხმება - კლინიკური სწავლა-სწავლის პროცესში ჩართული პირების საკვალიფიკაციო მოთხოვნები, მატერიალური რესურსი კლინიკური სწავლების განხორციელების თაობაზე - 13.04.2022);
- შპს „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და ინგოროყვას მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო კლინიკა“ (07.04.2022) - პროგრამის ფარგლებში 60 პროფესიული სტუდენტი;
- შპს „თბილისის ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფო“ (04.06.2019) - პროგრამის ფარგლებში 60 პროფესიული სტუდენტი.


პარტნიორ კლინიკებში სწავლებას უზრუნველყოფენ პასუხისმგებელი პირები თანაფარდობით - 1/7. ვიზიტის ფარგლებში დაწესებულებამ წარმოადგინა სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტი, რითიც დასტურდება, რომ პრაქტიკის ობიექტებს კანონმდებლობით დადგენილი წესით გააჩნიათ სწავლების მოდულით გათვალისწინებული მიმართულებით საქმიანობის უფლება.


6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვას, ხოლო პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულებით განსაზღვრულია, რომ კოლეჯში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა ხორციელდება ნარჩენების კლასიფიკაციის, მახასიათებლებისა და შემადგენლობის მიხედვით ისე, რომ მაქსიმალურად გამოირიცხოს გარემოს დაბინძურება და ადამიანის ჯანმრთელობაზე მავნე ზემოქმედება. რეგულაციით ასევე განსაზღვრულია, რომ კოლეჯში ხორციელდება სასწავლო პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების უსაფრთხო სეპარაცია (სარისკო და არასარისკო ნარჩენების განცალკევებული შეგროვება წარმოქმნის ადგილზევე), შეგროვება, შენახვა, გატანა ან დამუშავება ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:


126



- პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულებით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით;
- პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუს შედეგებით.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას.




1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებაში შეფასების სისტემასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება დირექტორის 2022 წლის 31 იანვრის N02-62 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულებით. დებულების შეფასებისას გამოიკვეთა შემდეგი:

- ქართული ენის მოდულების (A2 და B1) მიზანია არაქართულენოვანი სტუდენტები მოამზადოს ქართულ ენაზე პროგრამის გასავლელად. შესაბამისად, ქართული ენის მოდულების გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს არაქართულ ენაზე ტესტირების გავლის გზით. პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულებით განსაზღვრულია, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს სასწავლო პროცესის დაწყებიდან 5 სამუშაო დღეში მოითხოვოს ქართული ენის მოდულის A2 ან/და B1 სწავლის შედეგების დადასტურება. ამისთვის, პროფესიული სტუდენტი წერილობითი განცხადებით მიმართვს სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერს,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:


127



რომლის დავალებით ქართული ენის მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებელი შეიმუშავებს საგამოცდო საკითხებს, რომელსაც ათანხმებს სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერთან. „ქართული ენა A2“-ის ან/და „ქართული ენა B1“-ის შესაბამისი შედეგების დასადასტურებლად პროფესიულ სტუდენტს უტარდება გასაუბრება ქართული ენის პროფესიულ მასწავლებელთან და ასევე წერითი გამოცდა. გასაუბრებისა და წერითი გამოცდის საკითხები უნდა ფარავდეს მოდულის „ქართული ენა A2“-ის ან/და „ქართული ენა B1“-ით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს. გასაუბრებისა და გამოცდის შედეგად შესაბამისი მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგების დადასტურების შემდეგ, კოლეჯის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის მიერ დგება ოქმი, რომლის საფუძველზეც კოლეჯის დირექტორი გამოსცემს სამართლებრივ აქტს „ქართული ენა A2“-ის ან/და „ქართული ენა B1“-ის დადასტურების თაობაზე და პროფესიული სტუდენტი სასწავლო პროცესს იწყებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის შესაბამისად, ქართული ენის მოდულის გავლის გარეშე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები, რომლითაც განსაზღვრულია, რომ „შერჩევა შესაძლებელია განხორციელდეს რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენებზე. დაწესებულება ვალდებულია ამ გზით ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის პროგრამაზე სწავლება დაიწყოს ქართული ენის მოდულით. ქართული ენის მოდულის დაუმღევლობის შემთხვევაში, პირს უწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი. ქართული ენის მოდულის დაძლევის შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტი სარგებლობს გარდამავალი (მომლოდინე) პროფესიული სტუდენტის სტატუსით“. შესაბამისად, მიზანშეწონილია დაწესებულებამ შიდა მარეგულირებელი წესი შესაბამისობაში მოიყვანოს მინისტრის ბრძანებით დამტკიცებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესთან და პირობებთან.

- რეგულაციით განსაზღვრულია, რომ მოდული/შედეგი, რომელზეც პროფესიულმა სტუდენტმა მიიღო უარყოფითი შეფასება, განმეორებით შეფასებაზე გასვლის უფლების გამოყენების შემდეგ, მოცემულ მოდულზე პროფესიული სტუდენტისთვის დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და პროფესიული სტუდენტი დაჩქარებულ რეჟიმში (შესაბამისი წინაპირობიანი მოდულის დაწყებამდე) ხელახლა შეისწავლის მოცემულ მოდულს. მაგალითად, კლინიკური მოდულების დროს, როდესაც პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა უტოლდება ხშირად 40 საათს, დაჩქარებულ რეჟიმში შეუძლებელია მოდულების სწავლება. ამასთან გასათვალისწინებელია ~~იგივე რეგულაცია,~~

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:


128



რომლითაც განსაზღვრულია, რომ პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს 40 საათს. ასევე, იმ მოდულებზე, რომლებზეც დაშვების წინაპირობები გათვალისწინებული არაა, დაჩქარებულ რეჟიმში, შესაბამისი წინაპირობიანი მოდულის დაწყებამდე სწავლება შეუძლებელია.

- დებულებით განსაზღვრულია, რომ პროფესიული სტუდენტი, რომელიც ინდივიდუალური სასწავლო გეგმით ხელახლა გადის იმ მოდულს/სწავლის შედეგს, რომლის ფარგლებშიც მიიღო უარყოფითი შეფასება, განმეორებით შეფასებაზე გასვლის უფლების გამოყენების შემდეგ, პარალელურად უფლება აქვს გაიაროს ის მოდულიები, რომლებისთვისაც მოცემული მოდული არ წარმოადგენს დაშვების წინაპირობას. ამ შემთხვევაშიც გასათვალისწინებელია სტუდენტის კვირეული დატვირთვა, რადგან თეორიული მოდულების განხორციელების დროსაც კვირეული დატვირთვა ზოგჯერ უტოლდება 40 საათს.
- დებულებით განსაზღვრულია, რომ „მოდულების განხორციელების დაგეგმვისას დაცულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობები, დროის შუალედი განმეორებითი შეფასებისათვის და პროფესიული სტუდენტისათვის კვირეული დატვირთვა (არაუმეტეს 40 სთ კვირაში).“ ამასთან, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელთან და მოდულის განმახორციელებელ პროფესიულ მასწავლებელთან ერთად განიხილავს იმ პროფესიულ სტუდენტთა საკითხს, რომლებიც საპატიო მიზეზის გამო ვერ გამოცხადდნენ განმსაზღვრელ შეფასებაზე და ნიშნავს დამატებით განმსაზღვრელ შეფასებას 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში. აღნიშნული ჩანაწერები წინააღმდეგობაში მოდის პროგრამასთან, რომელშიც მოდულებზე დაშვების წინაპირობები ნაწილობრივ გათვალისწინებული არაა.

მიზანშეწონილია პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულება გადაიხედოს, რადგან მათში გაწერილი წესები და ვადები სრულად გამომდინარეობდეს ერთმანეთისგან და ასევე კანონმდებლობიდან. ამ პირობებში სტანდარტი ფასდება როგორც „არ შეესაბამება“.

დებულების შეფასებისას ასევე გამოიკვეთა შემდეგი:


ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:




129

- რეგულაციით განსაზღვრულია, რომ განმეორებით შეფასებაზე იცვლება შეფასების ინსტრუმენტით მოცემული ტესტური დავალებათა თანმიმდევრობა. სასურველია შეიცვალოს ტესტურ დავალებათა ნაწილი და არა მისი თანმიმდევრობა.
- რეგულაციით განსაზღვრულია, რომ პროფესიული სტუდენტი, რომელიც სწავლობს იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომლის პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, ვალდებულია ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა. ეს ჩანაწერი ეხება იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, რომლებიც დუალური მიდგომით ხორციელდება და არ ეხება საექთნო საქმის პროგრამას. საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულია, რომ „კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს ამ ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა და ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა.“ საექთნო საქმის პროგრამის ფარგლებში, საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებასთან დაკავშირებით რეგულაციაში ჩანაწერი არაა, განსაზღვრულია, რომ „პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად, პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს ყველა, შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები.“ შესაბამისად, მიზანშეწონილია რეგულაციით იკვეთებოდეს, რომ საექთნო საქმის პროფესიული სტუდენტი ვალდებულია პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების დაგროვების შემდეგ გავიდეს საკვალიფიკაციო გამოცდაზე, მით უფრო, რომ რეგულაციით განსაზღვრულია საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების პროცედურა.
- სააპელაციო კომისია უფლებამოსილია პროფესიული სტუდენტის/მსმენელის შეფასება დატოვოს, შეცვალოს ან საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს განმეორებითი განმსაზღვრელი შეფასების/საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარება, თუმცა რეგულაციით არ იკვეთება, როგორ ხდება ამის შესახებ პროფესიული სტუდენტის ინფორმირება. რეგულაციით ინფორმირება განსაზღვრულია განმეორებითი განმსაზღვრელი შეფასების/საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგის შესახებ.

სასურველია პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულება გადაიხედოს რეკომენდაციების შესაბამისად, რადგან მათში გაწერილი წესები და ვადები სრულად გამომდინარეობდეს ერთმანეთისგან, ასევე კანონმდებლობიდან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. დირექტორის 2022 წლის 9 თებერვლის N02-64 ბრძანებით დამტკიცებულია შპს „ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის“ შიდა ვერიფიკაციის წესი. ვერიფიკაციის პროცესი მოიცავს სამ ეტაპს: გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაციას; შეფასების პროცესის ვერიფიკაციას; შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაციას. ვერიფიკაციის პროცესი გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს, რადგან რეგულაციით განსაზღვრულია, რომ შიდა ვერიფიკაციის პროცესში არ უნდა იყოს ჩართული ის პირი, რომელმაც შეფასების ინსტრუმენტი შეიმუშავა ან მონაწილეობდა შემუშავების პროცესში.


ვერიფიკაციაზე პასუხისმგებელია ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების მენეჯერი, რომელმაც წესის შესაბამისად განსაზღვრული რისკების გათვალისწინებით უნდა წარმართოს ვერიფიკაციის პროცესი.

კოლეჯის დირექტორის მიერ სამართლებრივი აქტით მტკიცდება შიდა ვერიფიკაციის პროცესში მონაწილე შიდა ვერიფიკაციის ჯგუფის/წევრების შემადგენლობა და ფუნქციები, რომელთა მიერ შედგენილი დასკვნა უნდა იყოს ნათელი, სრულყოფილი და იდენტიფიცირებული უნდა იყოს ყველა პრობლემური საკითხი. დასკვნას, თან უნდა დაერთოს ვერიფიკაციის პროცესში ვერიფიკატორების მიერ შევსებული სპეციალური ფორმები (შეფასების ინსტრუმენტის შემოწმების ჩექლისტი, მტკიცებულებების შემოწმების ჩექლისტი, ვერიფიკატორის ანგარიშის ფორმა). ვერიფიკატორების მიერ შედგენილი დასკვნის საფუძველზე, ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების მენეჯერი ამზადებს ანგარიშს, რომელსაც წარუდგენს დირექტორს. დასკვნიდან გამომდინარე, ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების მენეჯერი აცნობს შენიშვნებს/ რეკომენდაციებს სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერს.

დაწესებულებაში დასტურდება შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესი, თუმცა სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს ვერიფიკაციის პროცესის განხორციელება.

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულებით პროფესიულ სტუდენტთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაცია/შეფასების ინსტრუმენტები, პროფესიულ სტუდენტთა ნაშრომები ინახება, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერთან, მათი მოპოვებიდან 3 წლის ვადით, რის შემდეგაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:


131


ნადგურდება. განმსაზღვრელი შეფასების უწყისები სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ ინახება მუდმივად, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერთან.

ვიზიტის პერიოდში, ექსპერტების მიერ, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოები. პროცედურების შესაბამისად მოცემულია ჩეკლისტები, რითიც დასტურდება პროფესიული სტუდენტის შეძენილი კომპეტენციები (განმსაზღვრელი შეფასების მტკიცებულება). შეფასების ფურცელს ხელს აწერს როგორც პროფესიული სტუდენტი, ასევე პროფესიული განათლების მასწავლებელი.



კლინიკური სწავლების მოდულების შეფასების ინსტრუმენტად და მტკიცებულებად, გამოყენებულია პროფესიული სტუდენტის მიერ შევსებული და კლინიკური მოდულის განმახორციელებელი პირის მიერ ხელმოწერით დადასტურებული ჩანაწერების ჟურნალი.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისთვის. პსდ-ს შეფასების სისტემა ითვალისწინებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. განმავითარებელი შეფასება ხორციელდება სისტემატურად და შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპის გამოყენებით. განმავითარებელი შეფასების შემდეგ, მასწავლებელი აანალიზებს მიღებულ შედეგებს, რის საფუძველზეც პროფესიულ სტუდენტებს ეძლევათ უკუკავშირი და რეკომენდაციები. განმავითარებელი შეფასება საკონტაქტო საათის აქტივობათა განუყოფელი ნაწილია და ის ხორციელდება პროფესიული განათლების მასწავლებლის გადაწყვეტილების შესაბამისად. განმსაზღვრელი შეფასების შედეგების მიწოდება ხდება ინდივიდუალურად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიულ მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, დაწესებულების პარტნიორებთან ინტერვიუს შედეგებით;
- შპს „ქართულ-ამერიკულ საექთნო საზოგადოებრივ კოლეჯში“ შიდა ვერიფიკაციის წესით;
- სტუდენტების პორტფოლიოებით, შეფასების ინსტრუმენტებით, მტკიცებულებებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:


132


- პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულებით.

შეფასება:

- ☐ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☒ არ შეესაბამება

XIV. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი;

დანართი 2. დირექტორის 2022 წლის 15 მარტის N02-67 ბრძანება;

დანართი 3. დირექტორის 2020 წლის 12 თებერვლის N02-36 ბრძანება;

დანართი 4. წერილი;



დანართი 5. შემოსული და გასული ელექტრონული კორესპოდენციების აღრიცხვის ჟურნალი;

დანართი 6. დირექტორის ბრძანება ჩარიცხვის შესახებ;

დანართი 7. დირექტორის ბრძანება ჩარიცხვის შესახებ;

დანართი 8. დირექტორის ბრძანება ჩარიცხვის შესახებ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:


133


დანართი 9. შპს „ქართულ-ამერიკულ საექთნო საზოგადოებრივ კოლეჯში“ პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, მიღებული განათლების აღიარების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების და საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების წესი;

დანართი 10. დირექტორის 2022 წლის 14 აპრილის N02-68 ბრძანება;

დანართი 11. პროფესიული სტუდენტის პირადი საქმე;

დანართი 12. პროფესიული სტუდენტის სასწავლო ხელშეკრულება;

დანართი 13. დირექტორის 2019 წლის 18 ნოემბრის N01-04 ბრძანება;

დანართი 14. დირექტორის 2019 წლის 18 ოქტომბრის N01-02 ბრძანება;

დანართი 15. დირექტორის 2020 წლის 16 ოქტომბრის N01-09 ბრძანება;

დანართი 16. დირექტორის 2020 წლის 30 სექტემბრის N01-05 ბრძანება;

დანართი 17. დირექტორის 2021 წლის 9 ოქტომბრის N01-11 ბრძანება;

დანართი 18. პირადი საქმე - პროფესიული სტუდენტის სასწავლო ხელშეკრულება;

დანართი 19. პროფესიული სტუდენტის სასწავლო ხელშეკრულება;

დანართი 20. პირადი საქმე - პროფესიული სტუდენტის სასწავლო ხელშეკრულება;

დანართი 21. პროფესიული სტუდენტის სასწავლო ხელშეკრულება;

დანართი 22. დირექტორის 2020 წლის 17 აგვისტოს N02-50 ბრძანება;

დანართი 23. დირექტორის 2022 წლის 12 იანვრის N01-17 ბრძანება;

დანართი 24. სოციალური ქსელის ჯგუფებში განთავსებული ვაკანსიები;

დანართი 25. დირექტორის 2021 წლის 17 დეკემბრის N02-58¹ ბრძანება;

დანართი 26. დირექტორის 2021 წლის 25 ნოემბრის N02-58 ბრძანება;


დანართი 27. დირექტორის 2022 წლის 14 აპრილის N02-72 ბრძანება;

დანართი 28. დირექტორის ბრძანება და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ე.წ. „სკრინი“;

დანართი 29. დირექტორის ბრძანება და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ე.წ. „სკრინი“;

დანართი 30. წერილები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:




134

დანართი 31. დირექტორის საოქმო გადაწყვეტილება;
დანართი 32. შეფასების ინსტრუმენტი;
დანართი 33. შედეგების დადასტურების უწყისი;
დანართი 34. გაფორმებული ხელშეკრულება;
დანართი 35. გაფორმებული ხელშეკრულება;
დანართი 36. დირექტორის 2022 წლის 15 მარტის N02-67¹ ბრძანება;
დანართი 37. წერილი;
დანართი 38. ხელშეკრულება;
დანართი 39. კოლეჯის სურათები.

25.05.2022

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:


135
